ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 059 (12 435) 12 მარტი ოთხშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





ექტორ კუპერი პარმაში დაინიშნა

მსოფლიო ფეხბურთი »» 5-9

## გამიშვით!

შევჩენკო აბრამოვიჩს შეხვდა, ბერლუსკონი მზადაა...

»» 5

## ვინ ყიდულობს თბილისის დინამოს

» 2



საქართველოს თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

## დინამოს სპარტაკი ემძიმა

» 3

დღეს: ზესტაფონი ოლიმპი 14:30 LIVE მზე

## ყველა ნაკრებში ქართველი მწვრთნელი

» 3



# წითლები მოსკოვისკენ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### ჩემპიონთა ლიგა ინგლისური დომინაციით

„ინტერმა", რომელსაც "ლივერპულის" დასამარცხებლად სამი უპასუხო გოლი სჭირდებოდა, სამი კი არა, 90 წუთის მანძილზე ერთი ხეირიანი საგოლე მომენტიც ვერ შექმნა. ასე რომ, ერთადერთი გუნდი, ვინც მეოთხედფინალში იტალიას წარმოადგენს, "რომაა", მაშინ, როცა პრემიერლიგას აქ ერთბაშად ოთხი კლუბი ჰყავს. ამდენად, დიდია შანსი, რომ არამარტო მეოთხედფინალში, თვით ტურნირის დასკვნით შეხვედრაშიც კი ინგლისური დერბის მოწმენი გავხდეთ...

მანამდე კი "ლივერპულმა" "სან სიროზე" ბრწყინვალედ ითამაშა. ეს არის **რაფა ბენიტესის** სკოლა. მან გუნდი ჭეშმარიტ სალიგო მებრძოლად აქცია. ბენიტესმა ზუსტად იცოდა, როგორ უნდა განეწყო ბიჭები სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩისთვის...

"ინტერმა" მაღალ ტემპში კი დაიწყო თამაში, მაგრამ ეს უფრო ფაციფუცი იყო, ვიდრე გააზრება, ალარაფერს ვამბობთ ელემენტარულ იმპროვიზაციაზე. ერთი სიტყვით, "ინტერი" არის ის, რაც არის: იტალიაში მაგარია, მაგრამ ევროპაში თამაში ვერა და ვერ ისწავლა...

ინგლისური კრებული კი მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს. ბურთსაც იჭერდა, კონტრთამაშშიც ვარგოდა და მომენტებსაც ქმნიდა. ფაქტია, **ჟულიო სეზარს** გაცილებით მეტი საქმე და სანერვიულო ჰქონდა, ვიდრე **რეინას**. "ინტერს" პრობლემა შეუქმნა **ბურდისოს** გაძევებამაც. სწორედ დაცვაში გაჩენილმა ბზარმა მოიტანა გოლი, რომელიც 64-ე წუთზე **ფერნანდო ტორესმა** გაიტანა. "ელ ნინიომ" კარიდან 15 მეტრში, ზურგით მდგომმა მიიღო ბურთი, კარგად შემოტრიალდა და ახლო კუთხეში დასცხო. ესპანელს ვერც კივუმ შეუშალა ხელი და მეკარემაც ცოტა ჩაყვინთა - 0:1.

ტექნიკური შედეგები »»»» 15

| მეოთხედფინალში | |
|---|---|
| შალკე | არსენალი |
| მანჩესტერი | ბარსელონა |
| რომა | ჩელსი |
| ლივერპული | ფენერბაჰჩე |

*წილისყრა 14 მარტს. პირველი მატჩები 1/2 აპრილს, საპასუხო 8/9 აპრილს*




გუშინ, მილანში: სტივენ ჯერარდი და ფერნანდო ტორესი გამარჯვების შემდეგ

# რუსეთში მოიტყუეს

## სირაძე ყაბარდოშიც ოთხი და სამია



დავით სირაძე

**დამდეგ** უქმეებზე რუსული პრემიერლიგა იწყება, სადაც ქართულ ლეგიონს მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნიდან" ნალჩიკის "სპარტაკში" გადასული დავით სირაძე შეემატა.

"ნალჩიკი" სამი დღეა, რაც თურქეთიდან შინ დაბრუნდა. სირაძეს კი გუშინ დავურეკეთ ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში...

**- რუსულ პრესაში დაიწერა, "სპარტაკმა" დავით სირაძე ოთხთვიანი იჯარით აიყვანა "პადერბორნიდანო"...**

- არა, ეს ინფორმაცია სწორი არ არის. "ნალჩიკმა" "პადერბორნიდან" გამომისყიდა და ახალ გუნდთან ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

**- "სპარტაკმა" "პადერბორნზე" უკეთესი პირობები შემოგთავაზა?**

- ურიგო პირობები არც "პადერბორნში" მქონდა. ნალჩიკელებმა უკეთესი პირობები კი შემომთავაზეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, რის გამოც "სპარტაკში" გადავედი. რუსული პრემიერლიგა მეორე ბუნდესლიგას არაფრით ჩამოუვარდება. გერმანია მაინც ევროპაა და იქ სულ სხვა ატმოსფეროა, მაგრამ მეორე ბუნდესლიგა მაინც ქვედა ლიგაა, პრემიერლიგა კი - პირველი.

**- "პადერბორნში" ძალიან მწირი სათამაშო პრაქტიკა გქონდა. გუნდი კი გამოიცვალე, მაგრამ ალბათ "ნალჩიკშიც" მძაფრი კონკურენციაა ძირითადში მოსახვედრად...**

- მასეა, აქ ჩემ გარდა კიდევ ერთი ახალი ფორვარდი მოვიდა - ბრაზილიელი ფელიპე. მის გარდა თავდასხმაში ჩემი კონკურენტები ხუტოვი და კაჟაროვი არიან.

**- შეკრებაზე რამდენი საკონტროლო მატჩი ითამაშე?**

- ორი, გოლი კი ახალ გუნდში ჯერ არ გამიტანია. პრემიერლიგაში პირველი მატჩი 15 მარტს გვაქვს შინ "სატურნთან" და ვნახოთ...

**- მთავარი მწვრთნელი იური კრასნოჟანი შეგპირდა, რომ პრემიერლიგის პირველივე მატჩებში სასტარტოში გაგამწესებს?**

- "სპარტაკში" იმიტომ მივედი, რომ რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს. რა თქმა უნდა, ამ თემაზე მქონდა საუბარი კრასნოჟანთან. მას იმედი აქვს, რომ გოლებს გავიტან და გუნდს დავეხმარები. თერთმეტეულში კი ადგილი გარანტირებული არავის აქვს - რუსულ პრემიერლიგაში ძალიან დიდი კონკურენციაა.

**- "ნალჩიკში" რა ნომერი იქნები?**

- ის ნომერი ავილე, რაც ნაკრებში მაქვს - 43. გოგიტა გოგუას კი შვიდი ნომერი ერგო.

**- "სპარტაკში" გოგუა რომ დაგხვდა, ახალ გუნდთან ადაპტაცია ალბათ გაგიადვილდა...**

- მასეა, მისი დახმარებით ადვილად შევეგუე ახალ სიტუაციას. მთელმა გუნდმა ძალიან კარგად მიმიღო, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ამ გუნდში ადრეც ვიყავი. ახლა მთავარია, ახალ ჩემპიონატს შევეწყო.

**- რამდენიმე დღეა, რაც ნალჩიკში ხარ - ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრებას როგორ ეგუები?**

- პირველი ღამე არ მეძინა, თუმცა ნალჩიკი საკმაოდ ნორმალური ქალაქია. რაც მთავარია, გუნდს კარგი ბაზა და სტადიონი აქვს, ხალხი კი ნალჩიკში ფეხბურთით ცხოვრობს - ეს უკვე ვიგრძენი.

**- რა ფეხბურთის მიმდევარი ჩანს იური კრასნოჟანის "სპარტაკი"?**

- ესპანურ და ანთალიურ შეკრებაზე ბევრს ვმუშაობდით ტაქტიკაზე, კომბინაციურ თამაშზე, თუმცა "ნალჩიკის" კოზირი სულ სხვა არის - სტანდარტული სიტუაციები. მითხრეს, წინა სეზონში მეტწილად ასე გაგვქონდა გოლებიო.

**- და შენ რა დაგევალება - ჯარიმის დარტყმა თუ ჯარიმიდან ან კუთხურიდან ჩამოწოდებულზე თავურის დახვედრება?**

- ერთიც და მეორეც, მერე გამოჩნდება, უფრო რომელი. კრასნოჟანს ჯერ თავდამსხმელად ვუნდივარ, თუმც არ არის გამორიცხული, ნახევარდაცვაშიც ვითამაშო.

დავით **თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. გამოტოვებული მატჩი

# ფეხბურთი წყალბურთის ელემენტებით

**მგლები-მესხეთი**

**1:0**

**11.03. ზუგდიდი. თ. თუთბერიძე მაყურებელი**

1:0 კრასოვსკი (71. ჭკადუას პასით)

მგლები: ივარდავა, ექონია, ყვანია, კაკაბაძე, მაჭავარიანი, ქომეთიანი (59. ჭკადუა), ხოხონიშვილი, დ. ქირია (89. გ. ქირია), ნურნუმია (71. ხუხია), კრასოვსკი, კუტალია

მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ნადირაშვილი, მერებაშვილი, ლონლაძე, ლეკიშვილი, გვირჯიშვილი, კოშკაძე, ინასარიძე (71. თაყაძე), ხანიშვილი (78. სუდაძე), მუშკუდიანი (69. სამადაშვილი)

გაფრთხილება: ლეკიშვილი (39), მაჭავარიანი (40), რაქვიაშვილი (58), ლონლაძე (62), ქირია (83), ხუხია (85), გ. ქირია (90).

არბიტრი: ო. ხეცაძე

**4.** მერებაშვილის თავური ივარდავამ მოიგერია.

**21.** ქომეთიანი მარჯვენა ფლანგზე კარგად გაიყვანა კუტალიამ, მის ჩაწოდებულს კი კრასოვსკიმ დაჰკრა თავი. ბურთი სულ ოდნავ ასცდა მარცხენა ძელს.

**33.** ნურნუმიას შორიდან დარტყმული მცირედთ სცდება კარს.

**34.** ინასარიძემ გამოზომილი პასით პირისპირ გაიყვანა გვირჯიშვილი, რომელმაც ცუდად დაარტყა და ვერ შეძლო გატანა.

**35.** ინასარიძის ძლიერი დარტყმული მეკარემ მოიგერია.

**38.** კუტალიას თავური ოდნავ ცდება სამიზნეს.

**41.** ექონიას გამოზომილი პასი და მეკარის ბაქანთან მდგომი კუტალია საგოლე მომენტს ვერ იყენებს, მისი თავური სანტიმეტრებში სცდება კარს.

**65.** ინასარიძე გასცდა ორ მცველს და ძლიერად დაარტყა, ივარდავამ ნახტომში შეძლო ბურთის აღება.

**71.** 1:0 ჭკადუას სწრაფ ფლანგურს ჩაწოდება მოყვა, რომელზეც კარგად გავიდა კრასოვსკი და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

"მგლებისა" და "მესხეთის" შეხვედრას უამინდობა თითქოს თან სდევს. ჯერ იყო და განახლებული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი თოვლის გამო გადაიდო, ამჯერად კი მართალია შედგა, მაგრამ ისეთ პირობებში მოუწიათ ფეხბურთელებს თამაში, ბურთაობას ვინ ჩივის, ძლივს მოძრაობდნენ მინდორზე. აქაური მინდვრის მდგომარეობაზე ნამდვილად შეიძლებოდა გეთქვა კაცს: "გარედან მტერს უვსებს თვალს, შიგნიდან კი მოყვარესო".

სატურნირო ცხრილის შუაში მეზობლად მყოფი მეტოქეებისგან ყველა დაძაბულ პაექრობას ელოდა და იგი მართლაც შედგა. კარგად ნაცნობი მეტოქენი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე შეუდგნენ საქმეს და უკვე მეოთხე წუთზე შეიქმნა საგოლე მომენტი - სტუმარი **მერებაშვილის** თავურს აკრობატული ნახტომით დახვდა მასპინძელი მეკარე **ივარდავა**. ამის შემდეგ ხისტი თამაში წავიდა, რომელიც მოედნის კიდეებზე დაგუბებული წყლის გამო დროდადრო წყალბურთში გადადიოდა. მასპინძლებს ამ "ნაზავში" ორჯერ ჰქონდათ გატანის შესაძლებლობა - ჯერ **კრასოვსკიმ** ააცილა ხელსაყრელიდან პოზიციიდან თავით, შემდეგ კი **ნურნუმიას** უმტყუნა სამიზნემ. ამის შემდეგ სტუმართა ჯერი დადგა და მეკარესთან პირისპირ გასულ **გვირჯიშვილს** მართებდა გატანა, თუმცა ვერ შეძლო - ააცილა სამიზნეს. მალე ამას **ინასარიძის** გასროლა მოჰყვა, რომელიც ივარდავამ ძლივს მოიგერია. ტაიმის ბოლოს კი ისევ "მგლები" გააქტიურდა და ახალგაზრდა კუტალიას ორჯერ შეეძლო გატანა.

მეორე ტაიმის დასაწყისი ასევე პოზიციურ ორთაბრძოლებით აღინიშა და მეტოქეებმა ორი სახიფათო მომენტი გაცვალეს. ჯერ მასპინძელმა კრასოვსკიმ დაარტყა, მერე კი სტუმარმა ინასარიძემ - ორივე შემთხვევაში კიპერები იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. თუმცა მალე სტუმართა დარაჯი უძლური აღმოჩნდა - **ჭკადუას** ფლანგიდან მოწოდებულ ბურთს კრასოვსკიმ ზუსტი თავურით **სომხიშვილის** კარში მიუჩინა ადგილი. გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები უპირატესობას დაეუფლენ, უფრო მეტად შეუტიეს, თუმცა ანგარიში ვერ შეცვალეს.

**მერაბ ბრძელიძე**
ზუგდიდიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42-9 | 42 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30-9 | 40 |
| 3. ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 31-9 | 38 |
| 4. ოლიმპი | 16 | 9 | 3 | 5 | 17-11 | 30 |
| 5. ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 26-17 | 28 |
| 6. ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-15 | 28 |
| 7. მგლები | 16 | 7 | 1 | 8 | 16-19 | 22 |
| 8. მესხეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-22 | 21 |
| 9. სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-20 | 19 |
| 10. სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 11. მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8-25 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 16 | 3 | 2 | 11 | 9-23 | 11 |
| 13. დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7-28 | 7 |
| 14 ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6-30 | 6 |

**მომდევნო ტური**

| 15 მარტი, შაბათი | |
|---|---|
| 15:00 | ბორჯომი-ბათუმი |
| 15:00 | სპარტაკი-მგლები |
| 15:00 | მერანი-დინამო |
| **15 მარტი, კვირა** | |
| 15:00 | ლოკომოტივი-ზესტაფონი |
| 15:00 | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია |
| 15:00 | დილა-მესხეთი |
| 15:00 | სიონი-ამერი |

# დინამო აბრეშუმის გზაზე?

**ჯერ** კიდევ შარშან დაირხა ხმები - კომპანია silk road group-ს საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" შეძენა სურსო, თუმცა საქმე ამის იქით არ წასულა.

ახლა კი ერთხელაც გაჩნდა ჩქამი, ამ კომპანიას ისევ სურს უტიტულოვანესი ქართული კლუბის ყიდვაო. ვინძლო,"დინამოს" პრეზიდენტისა და მფლობელის **ბადრი პატარკაციშვილის** გარდაცვალების შემდეგ ეს თემა უფრო აქტუალურიც კი გახდა, მაგრამ ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება, რომ silk road-ი "დინამოს" ყიდვას აპირებს.

"დინამო" პატარკაციშვილის მიერ შექმნილ ერთ-ერთ ქართულ ჰოლდინგ "სელფორდში" შედის და გუშინ ლონდონში შევეხმიანეთ მის დირექტორ **ირაკლი რუხაძეს**.

- ამ კომპანიისგან "დინამოს" ყიდვის სურვილზე პირველად თქვენგან გავიგე - მოკლედ მოგვიჭრა რუხაძემ.

დავით **თავართქილაძე**


# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში ინვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.
მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.
დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.
მომზადების პროცესი ფასიანია.



ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები. დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან). მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 11 მარტიდან 24 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი:
899 23-55-20

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი, საპასუხო მატჩები
დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება
www.pfl.ge

# საჩუქრად კოდალაევისგან



დინამოს ნახევარფინალის საგზური ხმალაძის ამ თავურმა მოუტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**დინამო-სპარტაკი**

**2:1**

**11.03. თბილისი. თ. თუთბერიძე**
**100 მაყურებელი**

**პირველი მატჩი 0:0**

0:1 მ. ღონლაძე (29), 1:1 კრშკო (59), 2:1 ხმალაძე (76)

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი (83. გ. კაშია), კრშკო, დობეში - ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, მერებაშვილი, ხუციშვილი (57. სპასოევიჩი) - ვანაძე (90. თომაშვილი)

*სათადარიგოები: ლორია, გველესიანი, ფირცხალავა, ნერგაძე*

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი - დათუნაშვილი (69. კუპრეიშვილი), თარხნიშვილი, გოგოხია, ძარია (79. თექთურმანიძე), ტყეშელაშვილი (78. ვ. კვარაცხელია) - მ. ღონლაძე

*სათადარიგოები: ქვილითაია, ქავთარაძე, ქორიძე, ხიზანიშვილი*

გაფრთხილება: გოგოხია (58), ვანაძე (63), ხაჭიპერაძე (88), სპასოევიჩი (90)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**14.** ხუციშვილის შორეული დარტყმა მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**25.** დათუნაშვილმა შორიდან ააცილა.

**26.** ხმალაძის დარტყმას კოდალაევი იოლად დაეუფლა.

**29.** 0:1 - მამუკა ღონლაძემ კრშკოს აჯობა, ოვონოსთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა.

**38.** "დინამომ" რეალური საგოლე მომენტი გააფუჭა. ერთ ეპიზოდში თავის გამოჩენა ერთბაშად სამ ფეხბურთელს შეეძლო - მერებაშვილს, ხმალაძესა და ვანაძეს.

**42.** ვანაძემ თავური ააცილა.

**45.** კოდალაევმა კარი ზელიჩის შორეული დარტყმისგან იხსნა.

**54.** მერებაშვილს "სპარტაკის" მეკარემ აუღო.

**59.** 1:1 - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კრშკომ თავით გაგზავნა სტუმართა კარში. კოდალაევის უხეში შეცდომის წყალობით, ბურთი ბადეში აღმოჩნდა.

**75.** მერებაშვილის მიერ დაგორებული ბურთს ვანაძემ არაზუსტი მიმართულება მისცა.

**76.** 2:1 - დილმელაშვილმა კუთხური მოაწოდა, ხმალაძემ თავით ყველას დაასწრო.

**90.** ვანაძის დარტყმულს კოდალაევი დაეუფლა.

გამარჯვებულს არასოდეს ასამართლებენ, მაგრამ გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. მატჩის 59-ე წუთზე "სპარტაკის" მეკარე **ბესარიონ კოდალაევმა**, რომელიც მანამდე უშეცდომო იყო, **მილოშ კრშკოს** სუსტი თავური თითქოს ხელებში დააფიქსირა, შემდეგ კი... ბურთი მისი გუნდის კარის ბადეში აღმოჩნდა. ანგარიშიდან ნათლად ჩანს, ეს გოლი რომ არა, ნახევარფინალში ალბათ, "სპარტაკი" უფრო გავიდოდა. დარჩენილ დროში "დინამო" **ლევან ხმალაძემ** დააწინაურა და ყველაფერი ნათელი გახდა, "სპარტაკს" გათანაბრების რესურსი აღარ ჰქონდა. პირველი თამაში გორში უგოლო ფრით დასრულდა და ლოგიკური იყო, რომ გუშინ "დინამო" გოლზე დაიგეშა. ასევე ლოგიკურად, **კობა ჟორჟიკაშვილმა** დაცვითი ტაქტიკა აირჩია. პირველ ტაიმში თავისი საქმე სტუმრებს გაცილებით უკეთ გამოსდიოდათ. "სპარტაკის" დაცვა გამოცდილი **რევაზ ქემოკლიძის** ხელმძღვანელობით თავს უშეცდომოდ იცავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ "დინამო" მაინცდამაინც მწვავედ ვერ უტევდა. წინა ხაზში უჰრინის ფეხბურთელებს სწრაფი გადაწყვეტილების მიღება უჭირდათ და შესაბამისად, მათთვის ხელსაყრელი სიტუაციებიც არცთუ ხშირად იქმნებოდა. შესვენებამდე მასპინძელთა ყველაზე რეალური საგოლე მომენტი 38-ე წუთზე ვიხილეთ. მერებაშვილის დარტყმა კოდალაევმა მოიგერია, დამატებაზე კი ჯერ ხმალაძემ ვერ ივარგა, მერე კი **ვანაძემ**.

მანამდე კი "სპარტაკის" უიშვიათესმა კონტრშეტევამ გამოიღო შედეგი. სტუმართა ეულმა ფორვარდმა **მამუკა ღონლაძემ** კრშკოს ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო, **ოვონოს** მიუახლოვდა და გაბონელ მეკარეს აუღელვებლად გაუტანა.

"დინამომ" შესვენების შემდეგ ტემპს დიდად ვერ მოუმატა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ უჰრინის ფეხბურთელები გადამწვარები იყვნენ. დინამოელები კვლავ დუნედ მოძრაობდნენ, ხშირი იყო ტექნიკური წუნი. მასპინძელთაგან ვინმეს გამორჩევა გაჭირდება, შედარებით აქტიური მაინც **მერებაშვილი** იყო, რომელსაც ძირითადში **აკირემის** ნაცვლად გამწესებული ვანაძე დროდადრო ნორმალურად უგებდა. თუმცა "დინამოს" წევრთა უმრავლესობამ საშუალოზე

დაბალ დონეზე ითამაშა. იდეალურად არც სპარტაკელები გარჯილან, მაგრამ დაგვეთანხმებით, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი და ჩემპიონობის მოსურნე გუნდების გარჯა ერთი კრიტერიუმით არ უნდა შევაფასოთ. ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს თავდადებით იბრძოლეს და სენსაციამდე სულ ცოტა დააკლდათ. თასისთვის ბრძოლას კი "დინამო" აგრძელებს.

დაველოდოთ წილისყრას და ვნახოთ, უჰრინის გუნდს ბედი პირდაპირ ფინალს დაანახებს თუ დინამოელთა წინაშე რთული ნახევარფინალური ბარიერი აღიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**ბორჯომი-დილა**

**3:1**

**11.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი**
**500 მაყურებელი**

**პირველი მატჩი 2:3**

1:0 ჯიუსი (6), 1:1 სადალაშვილი (40), 2:1 ფეიქრიშვილი (55), 3:1 ჩირიკაშვილი (60)

# ყველა ნაკრებში ქართველი მწვრთნელი

## საქმე დაწყებულია, გაგრძელება იქნება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას **კლაუს ტოპმიოლერთან** ახალი კონტრაქტი ჯერ კიდევ შარშან უნდა გაეფორმებინა, თუმცა საქმის მოკვარახჭინებას დღემდე არ დაადგა საშველი.

და, აი: *"ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩამდე ჩვენ ამ საკითხს ბოლომდე მივიყვანთ. კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი მომავალ კვირაში გაფორმდება და ბელფასტში სამწვრთნელო შტაბი თბილისიდან გაემგზავრება"*, - გუშინ "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** და სამწვრთნელო საქმიანობასთან დაკავშირებით სხვაც ბევრი ისაუბრა.



ნოდარ ახალკაცი

გეცოდინებათ ტოპმიოლერის თანაშემწის პოსტზე **თემურ ქეცბაიას** კანდიდატურა რომ განიხილება. ჰოდა ქეცბაიასთან მოსალაპარაკებლად ახალკაცი კვიპროსზე უნდა ჩასულიყო, თუმცა სავიზო ფორმალობების მოუგვარებლობის გამო ეს არ მოხერხდა.

*"თემურთან გუშინაც მქონდა საუბარი და შევთავაზე თუ დროს გამონახავდა, ბელფასტში ჩამოსულიყო. ვნახოთ, რამდენად მოახერხებს ამას ქეცბაია."*

ქეცბაია ამჟამად კვიპროსში, ფამაგუსტის "ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელია და კუნძულელებს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი საქართველოსთვის არ ეთმობათ. კომპრომისზე ფედერაცია მიდის: *"ჩვენი მხრიდან თანამშრომლობის სურვილი ძალიან დიდია. თემურის მხრიდანაც დავინახე მზადყოფნა. თუნდაც, მზადყოფნა აქტიური მსჯელობისთვის ჩემთვის სერიოზული ინდიკატორია. ფედერაცია თანახმაა, რომ თემურმა კლუბში გააგრძელოს მუშაობა. ვფიქრობ, თანამშრომლობის გარკვეულ ფორმაზე ჩვენ შეთანხმებას მივაღწევთ".*

ხომ არ ნიშნავს ქეცბაიაზე ფსონის დადება იმას, რომ ნაკრების მომავალი მწვრთნელი სწორედ ის იქნება? *"გამორიცხული არაფერია - ამბობს ახალკაცი - ჩვენი ამოცანა პირველივე დღიდან გერმანელ სპეციალისტებთან ქართველი მწვრთნელების ინტეგრაცია იყო. ყველამ ვიცით, რომ ნაკრებ გუნდებში ადრე კორუფცია იყო. ეს უკვე მოიშალა, რაშიც გერმანელმა მწვრთნელებმა ლომის წვლილი შეიტანეს. დღეს არა თუ კორუფციას, არამედ პროტექციას ვერავინ ბედავს. ეროვნულ ნაკრებშია მამუკა აბუსერიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, ზაურ სვანაძე ისევ რჩება შტაბში...*

*მინდა ისეთი გარემო შევქმნათ, რომ დღეს მოქმედი ფეხბურთელები მომავალში ქართულ ფეხბურთში დასაქმდნენ - კალაძე, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, იაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი, მუჯირი... არ მინდა ვინმე გამომრჩეს."*

მათ რიცხვში მოხვდა შოთა არველაძეც, რომელსაც ადრეც უთქვამს, ალბათ, მწვრთნელობას დავიწყებო.

*"შოთა იმდენადაა გაწვალებული ტრავმით, რომ შესაძლოა ხვალ-ზეგ მწვრთნელობა დაიწყოს. ის წლების განმავლობაში ემზადება საამისოდ და რამდენადაც ვიცი, მწვრთნელობისთვის გარკვეული ჩანაწერებიც კი აქვს.*

*ბედნიერი ვიქნებით, თუ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ნაკრებს ქართველი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. კლაუს ტოპმიოლერის აზრიც ესაა და ჩვენ სწორედ აქეთკენ მივდივართ. ჩვენი ძალისხმევა სწორედ ქართველი მწვრთნელების განვითარებისკენაა მიმართული. ყველას ხელს შევუწყობთ, თუნდაც ისეთს, რომელსაც დიდი ფეხბურთი არ უთამაშია. საამისოდ თამაზ პერტიას მაგალითიც გამოდგება. მას მაღალი დონის ლიგაშიAარ უთამაშია, მაგრამ დღეს ლატვიური "დინაბურგის" მთავარი მწვრთნელია. ამიტომაა უეფა გაცვლით პროგრამაზე რომ დავითანხმეთ".*

**დავით ცაბაძე**

# კორლალიძის პირველი გოლი

ქართველმა ნახევარმცველმა **ლევან კორლალაძემ** მოლდოვურ კარიერაში პირველი ოფიციალური გოლი გაიატანა. ეს გუშინ კიშინოვში მოხდა, სადაც კორლალიძის და **ჯაბა დვალის** „დაჩიამ" „ტირასპოლი" გაანადგურა – 4:0. ამ განადგურებას საფუძველი სწორედ კორლალიძემ ჩაუყარა, რომელმაც თამაშის 21-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში „ტირასპოლის" კარში გოლები **მარტინმა**, **შოიმუმ** და **ორბუმ** გაიტანეს. „დაჩიას" 44 ქულა აქვს და ოთხი ქულით ჩამორჩება მარადმწვანე ჩემპიონ „შერიფს", თუმცა დნესტრისპირულ კლუბს ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული – დღეს ტურის ცენტრალურ მატჩში **ვაჟა თარხნიშვილის** გუნდი **მამუკა ლომიძის** „ზიმბრუს" მასპინძლობს.



ლევან კორლალიძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ორბების მოულოდნელი ფრე აზერბაიჯანში

თბილისის "ორბები" საკონტროლო შეხვედრის გასამართად მეზობელ აზერბაიჯანს ესტუმრა და ზაქათალის "სიმურგს" შეხვდა. თბილისელები საქართველოს რეგიონალლიგის ლიდერები არიან, "სიმურგი" კი ინტერტოტოს გათამაშებაში მოსახვედრად იბრძვის.

ამდენად, მოულოდნელი გახლდათ ქართული გუნდის გასვლითი ფრე - 1:1. "ორბებს" წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი **თემურ ჩხაიძე** ავარჯიშებს. თბილისელებმა პირველი ბურთი საკუთარ კარში მიიღეს: 76-ე წუთზე მასპინძელთა თავდამსხმელმა **მალიგინმა** გაიტანა.

სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება მატჩის მიწურულს მოახერხეს - 85-ე წუთზე თავი **ნეფარიძემ** გამოიჩინა.

ზაქათალელთა ძირითადში ქართველმა ლეგიონერებმა, **დავით ბოლქვაძემ** და **კახა ჩხეტიანმა** ითამაშეს.

აღსანიშნავია, რომ "ორბებში" საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატები **ერეკლე კილაძე** და **გიორგი სარალიძე** ირიცხებიან. გუნდიც მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა ჩხეტიანი



დავით ბოლქვაძე

# აღმოსავლეთის დასავლეთის გრიგალმა გადაუარა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნული **გელა შეყილაძე** და მისი ასისტენტები **ლევან ხომერიკი** და **ასლან ბალაძე** საქმეს შეუდგნენ. ტალანტების შერჩევა ორი თვის წინათ დაიწყეს და როგორც გვითხრეს, უკვე 1200 ბავშვი გასინჯეს. მთლიანად კი, პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ინფორმაცია 3085 ბავშვზე შეაგროვეს.

შერჩევის ერთ-ერთი ბოლო ეტაპი გუშინ გორში გაიმართა, სადაც ერთმანეთს დასავლეთისა' და აღმოსავლეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. თუმცა აღმოსავლელებში არ იყვნენ თბილისელი ბავშვები. "დასავლეთს" ორი ფეხბურთელი ავადმყოფობის გამო დააკლდა და მათ ნაცვლად "აღმოსავლეთიდან" დილმელაშვილი დაიმატეს. ტაიმები 40-40 წუთიანი გახლდათ.

'"აღმოსავლეთს" გორელი სპეციალისტი **მამუკა ვარდოსანიძე** ავარჯიშებდა, დასავლეთს კი ზუგდიდის "ბაიას" მთავარი მწვრთნელი **ვალერი გულორდავა**. შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად დაიწყო, მაგრამ "დასავლეთმა" ტემპი და ზეწოლა ნელ-ნელა გაზარდა და მეტოქე 5:0 გაანადგურა. ანგარიში **ჩანგელიამ** 35-ე წუთე გახსნა. "აღმოსავლეთი" თამაშგარე მდგომარეობის შექმნის დროს შეცდა და ზუგდიდის "ბაიას" ფორვარდმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამის შემდეგ ქუთაისის "იმედის" თავდამსხმელის, **ხარაბაძის** დრო დადგა. ტანმაღალმა, ერთი შეხედვით სუსტმა ფეხბურთელმა ისე ივარგა, ჰეთტრიქი შეასრულა. ბოლოს კი თავი ისევ ზუგდიდელმა ჩანგელიამ გამოიჩინა.

დასავლელთა შორის ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, **რეზო ჩელებაძის** ვაჟმა **გიორგი ჩელებაძემ** ითამაშა. მამისგან განსხვავებით, გიორგი ცენტრალური ნახევარმცველია და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

გორის მატჩს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პეტარ სეგრტი** ადევნებდნენ თვალს.

მატჩის შემდეგ "ლელო" 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გელა შეყილაძეს ესაუბრა:

- დღეს იყო ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა. საბოლოოდ გავფილტრეთ სია, მათგან საუკეთესოებს 2 მარტს თბილისის ნაკრებს შევახვედრებთ და ამის შემდეგ გვეცოდინება, ნაკრებში ვინ ითამაშებს.

**- სულ რამდენი ბავშვი შეარჩიეთ?**

- ნაკრებისთვის ბავშვების შერჩევა 24 ნოემბრიდან დავიწყეთ და თითქმის ყველა საინტერესო ფეხბურთელი ვნახეთ. მარტო 1992 წელს დაბადებულებში 1295 ბავშვი გავსინჯეთ, 1993-ში დაბადებულებში კი - 1790. სულ ინფორმაცია 3085 ბავშვზე შევაგროვეთ. ჩვენამდე ცანკერმაც დიდი სამუშაო ჩაატარა და 1500 ფეხბურთელი ნახა. ასე რომ, ფედერაციის მონაცემთა ბაზაში 4585 ბავშვზე ვფლობთ ინფორმაციას. ეს პატარა ციფრი არაა.

**- სელექცია რთული საქმეა. გაუთავებელი მოგზაურობა მოგიწევთ...**

- უკვე 35 საკონტროლო შეხვედრა მოვაწყვეთ. რთული პროცესია, მაგრამ სასიამოვნოც, როდესაც თუნდაც ერთ ტალანტს აღმოაჩენ. სხვათა შორის, იანვარ-თებერვალში, როდესაც ყველაზე საშინელი ყინვები იდგა, დღე არ ჩაგვიგდია და მგონი, ყინვაგამძლეები გავხდით.

ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ხალხის უზომო ინტერესი. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში თამაშს 500 მაყურებელი დაესწრო.

დასავლეთ საქართველოში საქმე ხუთიანზე ავაწყვეთ, აღმოსავლეთში ოდნავ პრობლემებია, მაგალითად, ქვემო ქართლში.



გელა შეყილაძე

**აღმოსავლეთი 0:5 დასავლეთი**

გორი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი.

0:1 ჩანგელია (35), 0:2 ხარაბაძე (55), 0:3 ხარაბაძე (64), 0:4 ხარაბაძე (70), 0:5 ჩანგელია (78).

აღმოსავლეთი: ყულარიძე (გორი) - სამხარაძე (გორი), ბექაშვილი (კახეთი), რუსიშვილი (გორი), კანკია (რუსთავი) - ღარიბაშვილი (გორი), ბარიხაშვილი (კახეთი), ორდენიძე (კახეთი), იობაშვილი (ბორჯომი) - ბუზალაძე (გორი), გრძელივანიშვილი (კახეთი).

*შეცვლაზე შევიდნენ: პაპუნაშვილი (კახეთი), თარიმანიშვილი (კახეთი), ნიჟარაძე (კახეთი), ლობჟანიძე (გორი), სირბილაძე (გორი),*

დასავლეთი: მეშველიანი (ქუთაისი) - დილმელაშვილი (კახეთი), სირაძე (იმერეთი), აფაქიძე (ზუგდიდის "ბაია"), კირკიტაძე (ზესტაფონი) - კუხიანიძე (ქუთაისი) ჩელებაძე (ქობულეთი), ვახანია (ფოთი), ჯანაძე (ლანჩხუთი) - ხარაბაძე (ქუთაისი), ჩანგელია (ზუგდიდის "ბაია").

*შეცვლაზე შევიდნენ: მაქაცარია (ზუგდიდის "ბაია"), მირცხულავა (ქუთაისი), კვეკვესკირი (ზუგდიდის "ბაია"), ქვარცხავა (ზუგდიდის "ბაია"), ძალამიძე (ზუგდიდის "ბაია").*

გაფრთხილება: სამხარაძე (31).

სხვათა შორის, საინტერესო ბავშვებს არა მარტო საქართველოში, არამედ, უცხოეთშიც ვეძებთ, მაგალითად რუსეთში, სადაც ბოლო წლებში უამრავი ქართველი გადავიდა. შევიტყვეთ, რომ როსტოვის სკა-ში ფლანგის ნახევარმცველი, საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელი **გედენიძე** იზრდება და მას აუცილებლად დავუკავშირდებით.

**- ამდენი ბავშვი გინახავთ და საინტერესოა, თქვენი აზრით, ნიჭიერი თაობა მოდის?**

- რა თქმა უნდა მოდის! სხვა საქმეა, რომ მათ სწორი საფეხბურთო განათლება უნდა მიიღონ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვინ თქვა, რომ თაობა არ იზრდება...

## ქართველები ბენფიკაში, ემპოლისა და სპარტაკში

გუშინ, გორში, 17-წლამდელთა ნაკრების შესარჩევ მატჩში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა. ვინ თქვა, თაობა არ იზრდებაო?

ჯერ ერთი გამოჩნდა, რომ ქართული ფეხბურთის დიდი და ჯერაც აუთვისებელი რეზერვი სწორედ იქაა, სადაც ყველაზე მეტად უჭირს, ანუ დასავლეთ საქართველოში.

არადა, უმაღლეს ლიგაში ტრადიციული საფეხბურთო წყარო მწირადაა წარმოდგენილი, გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ქუთაისურ ფეხბურთს პირველ ლიგა ეკადრება? ან იმავე გურიასა და აჭარას?

ბიზნესმენები წესით ქუთაისის, ზუგდიდისა და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ფეხბურთში ფულის დაბანდებას ერთმანეთს უნდა ასწრებდნენ. იქ ისეთი ტალანტები იზრდებიან, საფეხბურთო ინვესტიციას აზრი ნამდვილად აქვს.

მაგალითად ფაქტები უნდა მოვიყვანოთ: დასავლეთ საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ორი ფეხბურთელი პორტუგალიის ყველაზე პოპულარული კლუბის, ლისაბონის "ბენფიკის" საფეხბურთო აკადემიაში მიიწვიეს - ზუგდიდის "ბაიას" ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე** და ქუთაისის "ტორპედოს" ცენტრალური მცველი **ბაქარ მირცხულავა**.

მატჩის შემდეგ ნიკა ძალამიძეს გავესაუბრეთ.

**- ნიკა, "ბენფიკაში" შენი ჩარიცხვა გადაწყვეტილია?**

- რამდენიმე ხნის წინათ მე და ბაქარ მირცხულავა პორტუგალიაში გასინჯვაზე ვიმყოფებოდით. ტესტირება ორი კვირა გაგრძელდა, "ბენფიკის" საფეხბურთო აკადემიაში ვვარჯიშობდით და ვიცი, რომ ჩვენი ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია.

**- პორტუგალიაში როდის უნდა ნახვიდე?**

- ჯერ ზუსტად არც ვიცი, მაგრამ უნდა დაგვიკავშირდნენ და ლისაბონში მალე უნდა გავემგზავროთ.

თუკი ძალამიძისა და მირცხულავას საკითხი ჯერ კიდევ ბეჭედდასასმელია, გელა შეყილაძეს ორი ლეგიონერი უკვე ჰყავს. 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის თქმით, მოსკოვის "სპარტაკის" საფეხბურთო აკადემიაში ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე **ჯანო ანანიძე** თამაშობს და მის მოწვევას აუცილებლად აპირებს. ამას გარდა, თურმე, **ლევან მჭედლიძესთან** ერთად, "ემპოლიში" კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელია - 16 წლის **ირაკლი შეყილაძე**, რომელიც გუნდის საბავშვო სკოლაში ოსტატდება. ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მხოლოდ მოგვარეა და მასთან ნათესაობა არ აკავშირებს.

**მერაბ მამულაშვილი**



ემპოლიში ლევან მჭედლიძესთან ერთად კიდევ ერთი ქართველია

მეტოქე. იტალია

# დონადონის კონტრაქტი ჰაერშია

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და **რობერტო დონადონი** ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან. გუშინ, მწვრთნელსა და პრეზიდენტ **ჯანკარლო აბეტეს** შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა, თუმცა მხარეები ერთმანეთს კვლავ უშედეგოდ დაშორდნენ. ერთადერთი, რაც პრესამ ამ შეხვედრის შემდეგ გაიგო, ისაა, რომ ყველაფერი 26 მარტს გაირკვევა. აი, აბეტეს მცირე კომენტარიც:

*"ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. ამ დღეებში კიდევ ვისაუბრებთ, ოღონდ არა კონტრაქტზე, არამედ ნაკრების საევროპოდ მომზადების საკითხებზე. უამრავი რამ არის გასარკვევი. რაც შეეხება კონტრაქტს, ბუნებრივია, ამაზეც გაგრძელდება დიალოგი. ეს არ არის უბრალო თემა. ყველა შემთხვევაში, გადაწყვეტილება მაისამდე უნდა მივიღოთ. თუმცა აქამდე გაჭელვაც არ არის აუცილებელი. ვფიქრობ, სიტუაცია 26 მარტისთვის გაირკვევა".*

26 მარტს "სკუადრა აძურას" ესპანეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი აქვს გასამართი. როგორც ჩანს, ფეხბურთის ფედერაცია ფეხს ითრევს. დონადონის ოთხწლიანი ხელშეკრულება სურს, საუბარი მიდის ანაზღაურების გაზრდაზეც. მაგრამ აბეტეს მიაჩნია, რომ იმ სიტუაციაში, როცა წინ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია, ოთხწლიან ხელშეკრულებაზე საუბარი უაზრობაა. შესაძლოა, "სკუადრა აძურამ" ევრო 2008 ჩააგდოს, ხოლო თუ ფედერაცია დონადონის ოთხი წლით დაიბევებს, გამოვა, რომ მას საქმე ექნება მწვრთნელთან, რომელსაც ტიფოზები ნაკლებად ენდობიან. ამ სიტუაციაში მუშაობა კი ძალიან ძნელია. აბეტეს სურს, ისეთი მექანიზმი შეიმუშაოს, რომ მწვრთნელის ვადაზე ადრე გადაყენების შემთხვევაში, მხოლოდ ორი წლის კომპენსაცია ჰქონდეს გასასტუმრებელი. იტალიის ნაკრებს ევროპაზე გასვლა რომ არ გასჭირვებოდა, მაშინ გაცილებით მარტივად იქნებოდა საქმე. აშკარაა, რომ ფედერაცია "დონის" მუშაობით, მაინც და მაინც, აღფრთოვანებული არ არის.



დონადონი კონტრაქტს ელოდება

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნასვლა მინდა!

## შევჩენკო აბრამოვიჩს შეხვდა, ბერლუსკონი მზადაა...



ანდრეი შევჩენკოს ჩელსიში აღარ უნდა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ანდრეი შევჩენკოს** მილანური ტრანსფერი დროის ამბავია. იტალიური პრესა ბრიტანულ "დეილი ექსპრესზე" დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს უკრაინელმა ფორვარდმა **რომან აბრამოვიჩს** უკმაყოფილების მიზეზი უკვე გაანდო და მზადაა, "როსონერიში" დაბრუნდეს. ისიც ითქვა, რომ თურმე შევას მეორე ნახევარი **კირსტენ პაზიკი** მილანშიც ბრძანებულა და ახალი აპარტამენტიც შეურჩევია. იგივე "დეილი ექსპრესის" ცნობით, აბრამოვიჩი შევჩენკოში 78 მილიონ ევროს მოითხოვს. ეს, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, რადგან ანდრეი "ჩელსიში" 26 მილიონ ევროდ გადავიდა, დროის უმეტეს ნაწილს კი სათადარიგოთა სკამზე ატარებს. "ჩელსიში" **ნიკოლა ანელკას** მისვლამ მისი პოზიციები კიდევ უფრო შეასუსტა. მისთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა "არისტოკრატები" ჩემპიონთა ლიგაში "ოლიმპიაკოსს" ხვდებოდნენ, შევა "რედინგის" სარეზერვო გუნდის წინააღმდეგ აგორებდა ბურთს...

აქედან გამომდინარე, სათამაშო პრაქტიკას მოკლებულ ფეხბურთელს ამ ფასად არავინ იყიდის. ის ჯერ **ჟოზე მოურინიომ** მოიძულა, მერე კი აღარც **ავრაამ გრანტი** ენდობოდა. არადა, შევა აბრამოვიჩის ფავორიტია, ფავორიტებს კი იოლად არ თმობენ. სწორედ ამაზე მიანიშნებს ეს არარეალური ფასიც. ამით, ჩუკოტკელ მაგნატს სურს, უკრაინელის ტრანსფერი დაბლოკოს, გრანტს კი მოელაპარაკოს, რომ ამიერიდან შევჩენკოს მეტი სათამაშო დრო ჰქონდეს.

თავის მხრივ, **სილვიო ბერლუსკონი** მზადაა, შევჩენკო დაიბრუნოს. საერთოდ, "მილანის" ფეხბურთელთა უმრავლესობა მოწადინებულია, ძველი მეგობარი თავის გვერდით იხილოს, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრმა მისი წასვლა ნეგატიურად შეაფასა. ერთადერთი, ვინც ანდრეის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, **კლარენს ზეედორფია**. მაგრამ ამას მოევლება, მთავარი ხომ ბერლუსკონია. სხვა საკითხია, გადაიხდის თუ არა ის 78 მილიონ ევროს. სავარაუდოდ, აბრამოვიჩი უკან დაიხევს, მაგრამ რამდენით?

პრობლემა

# ადრიანოს ეშინია...

## იმპერატორი: შეიძლება, იტალიამ აღარ მიმიღოს

**ადრიანოს** მომავალი გაურკვეველი რჩება. "სან პაულოში" განათხოვრებით, "ინტერმა" მას გამოსწორების შანსი მისცა. რა თქმა უნდა, ფორვარდს კლასი არ დაუკარგავს, მაგრამ რეჟიმისადმი მწყრალი დამოკიდებულება ამ კლასის დემონსტრირებაში უშლის ხელს. ვერ ვიტყვით, რომ სამშობლოში დაბრუნებით მის ცხოვრებაში რაიმე ძირეულად შეიცვალა. უდისციპლინობაში იქაც გამოიჭირეს. ჯერ იყო ღამის ბარებში სეირნობა, მერე ვარჯიშზე საათნახევრით დაგვიანება და იმავე ვარჯიშის ნაადრევად დატოვება. ბრაზილიური კლუბის უფროსობამ მას სოლიდური ჯარიმა აჰკიდა და გააფრთხილა, რომ ეს ბოლო შემთხვევა უნდა ყოფილიყო. ყურად იღებს თუ არა ადრიანო ამ გაფრთხილებას, მომავალში გამოჩნდება.

ერთი პოზიტიური შედეგი კი უკვე სახეზეა: ის ხვდება, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ესპანურ გაზეთ "პლაკარისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან შიში გამოთქვა, რომ იტალიაში, შეიძლება, აღარ მიიღონ. თავის მხრივ, "ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა - თუ ადრიანო შეცდომებს აღარ დაუშვებს, დაბრუნდებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ "ნერაძურის" ჭირვეულ ფორვარდზე ხელი არ აუღია. სხვა საქმეა, როგორ მიიღებს ამას **რობერტო მანჩინი**, ვისთანაც ადრიანოს მუდმივად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა...

რაც შეეხება "იმპერატორისა" და ესპანელი ჟურნალისტის საუბარს: *"ძალიან მინდა იტალიაში დაბრუნება და იმის დამტკიცება, რომ ისევ ის ადრიანო ვარ. მაგრამ ახლა გაურკვევლობაში ვიმყოფები იმის გამო, რაც აქამდე მოხდა. დიახ, შეცდომები დავუშვი და ამას ყოველთვის ვაღიარებ. დღეს კი შეშფოთებული ვარ იმით, რომ იტალიელებმა, განსაკუთრებით კი იქაურმა პრესამ, შეიძლება მხარი აღარ დამიჭირონ, ან საერთოდ აღარ მიმიღონ, როგორც ფეხბურთელი. ვიცი, რომ კარიერისა და ცხოვრების ერთი წელი დავკარგე. ახლა ერთადერთი მიზანი მაქვს, რომ "სან პაულოში" ძველი ფორმა აღვიდგინო, თავიდან აღმოვაჩინო საკუთარი თავი და თუნდაც ბრაზილიის ნაკრებში დავბრუნდე. მოკლედ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული".*

არადა, ადრიანო არც ბრაზილიის ნაკრებისთვისაა დასაკარგი კაცი. "სელესაოს" მაისურით მან დღემდე 41 მატჩი ჩაატარა და 27 გოლი გაიტანა. ცხადია, ფეხბურთელის რეაბილიტაციით **კარლოს დუნგაცაა** დაინტერესებული...



გამოსწორდება ადრიანო?

დანიშვნა

# კუპერის ტესტი პარმისთვის

## სკალამ ყულფში თავის გაყოფა არ ისურვა, კუპერი გადაწყვეტილია


ექტორ კუპერი, შეიძლება, იტალიაში დაბრუნდეს

**ნევიო სკალამ** "პარმაში" დაბრუნებაზე უარი თქვა. ეტყობა, კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს იმედი არ ჰქონდა, რომ გუნდს გავარდნისგან იხსნიდა. მან ტრიბუნიდან ადევნა თვალი "სამპდორიასთან" მატჩს და ჩათვალა, რომ იმ სიყვარულის დაკარგვა, რაც "ენიო ტარდინიზე" შვიდწლიანი მოღვაწეობისას მოიპოვა, სასწორზე შემოსადებად არ ღირდა. ხოლო ჟურნალისტების კითხვაზე, თუ რატომ დაესწრო საკვირაო მატჩს, სკალას პასუხი ასეთი იყო - პარმაში ჩემი სახლი მოვინახულე, მერე დრო მქონდა და თამაშსაც დავესწარიო...

ის პირველი იყო, ვისაც "პარმის" პრეზიდენტმა **ტომაზო გირარდიმ** ვაკანტური პოსტი შესთავაზა. ბუნებრივია, იყვნენ სხვებიც, ვინც ყულფში თავი ნებაყოფლობით არ გაჰყო. ის, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტური დარჩენილი, ხოლო "პარმა" გასავარდნი ზონის მეზობლად იმყოფება, ახალი მწვრთნელისთვის მომხიბლავ პერსპექტივად ვერ ჩაითვლება. ამავე მიზეზით თქვა უარი **ალბერტო ძაკერონიმაც**, რომელიც ასევე ფიგურირებდა გირარდის სიაში. ძაკის ურყევი პრინციპია, არ ჩაიბაროს გუნდი სეზონის მსვლელობის დროს, მით უმეტეს, ამ მდგომარეობაში და ამ სტადიაზე. ეს გაკვეთილი მან "ინტერში" მუშაობის შემდეგ გაითავისა და ერთ მდინარეში მეორედ შესვლა არ ისურვა. პრესაში მუსირებდა **ჯანი დე ბიაზისა** და **კარლო მაცონეს** ვარიანტებიც. პირველი უმუშევარია მას მერე, რაც "ლევანტედან" დაითხოვეს, მაცონე კი უკვე ასაკშია (67) და თავს ექსპერტობით იქცევს...

მაშ, რა გამოსავალი ჰქონდა გირარდის? სულ ბოლო ვერსია, რომელიც აპენინურ მედიაში გაჩნდა, **ექტორ კუპერს** უკავშირდებოდა. ცალკეული გაზეთების მტკიცებით, არგენტინელი სპეციალისტი, მას მერე, რაც სკალამ და ძაკერონიმ უარი თქვეს, გირარდის უპირველეს ფავორიტად იქცა. დეკემბერში კუპერი "ბეტისიდან" გაუშვეს. ალბათ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ სინიორ ექტორი სერია A-ს კარგად იცნობს. 2002 წელს მან "ინტერი" კინაღამ ჩემპიონი გახადა. მაგრამ ეს "კინაღამ" კუპერს მუდმივად თან სდევდა. ბოლო ტურში დაკარგული სკუდეტოს გარდა, გავიხსენოთ ჩემპიონთა ლიგასა თუ თასების თასზე წაგებული ფინალებიც. აქედან გამომდინარე, გირარდი ამ კაცის ფატალურ უიღბლობაზეც უნდა დაფიქრებულიყო...

მაგრამ ამ ეტაპზე ის გამოცდილებას დაეყრდნო. საქმე სასწრაფოდაა გამოსასწორებელი. გუშინ პარმელთა ბოსმა პრესას გაანდო, რომ კუპერის დანიშვნა გადაწყვეტილია: *"მართალია, ამ მომენტისთვის კონტრაქტი გაფორმებული არ არის, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ გარიგება შედგა. ჩვენ გვქონდა მხოლოდ 36 საათი იმისთვის, რათა გადაწყვეტილება მიგვეღო. საბოლოოდ, არჩევანი გამოცდილებაზე გავაკეთეთ. ბატონი კუპერი ის სპეციალისტია, რომელსაც შეუძლია, სიტუაცია მალე გამოასწოროს".*

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარსელო სალაიეტა

ნაპოლი

# სალაიეტა: სეზონი მორჩა?

"ნაპოლიმ" მძიმე დარტყმა მიიღო. "რომასთან" საკვირაო მატჩში **მარსელო სალაიეტა** დაშავდა. თავიდან, ტრავმა სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ გუშინდელი გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ურუგვაელ ფორვარდს მარცხენა მუხლზე ჯვარედინი მყესები აქვს განყვეტილი. 29 წლის ფეხბურთელი საოპერაციოა. ექიმების ვარაუდით, სალაიეტა ამ სეზონში ველარ ითამაშებს. აღდგენითი პერიოდი დაახლოებით ორ თვეს გასტანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფორვარდი "ნაპოლის" ველარ დაეხმარება. არადა, კამპანიელებს სერიოზული ამოცანები აქვთ დასახული. **ედოარდო რეიას** გუნდი უეფას ზონაში მოსახვედრად იბრძვის. სალაიეტა კი გუნდის-ბომბარდირია. 21 მატჩში მას 8 გოლი აქვს გატანილი.

ურუგვაელი ნეაპოლში "იუვენტუსიდან" არენდით გადავიდა. ტურინული გრანდი დღესაც ფლობს სალაიეტას სატრანსფერო უფლებების ნახევარს. რაკი მარსელო კარგ ფორმაში იყო, "ნაპოლი" აპირებდა, მისი ტრანსფერი სრულად გამოესყიდა. დღევანდელი მდგომარეობით, არ არის გამორიცხული, ტრავმამ სიტუაცია კარდინალურად შეცვალოს.

მომავალ ტურში "ნაპოლი" სწორედ "ბებერ ქალბატონს" ხვდება. სალაიეტას ნაცვლად, რეია სასტარტოში **ემანუელე კალაიოს** დააყენებს. კალაიო შარშან გუნდის სნაიპერი იყო და დიდი როლიც შეასრულა სერია A-ში დაბრუნების საქმეში. მაგრამ ამ სეზონში ის სწორედ სალაიეტამ ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან. ახლა, კალაიოს შანსი უჩნდება, "ნაპოლის" მწვრთნელს თავისი პოტენციალი დაუმტკიცოს.

იუვენტუსი

# ძანეტის ერთი თვე

"იუვენტუსს" **კრისტიანო ძანეტი** გამოაკლდა. საყრდენი ნახევარმცველი, რომელსაც **კლაუდიო რანიერი** გუნდის "დინამოს" უწოდებს, მინიმუმ 25 დღეს დაისვენებს. "ჯენოასთან" მატჩში მას კუნთი გაუწყდა. იყო საშიშროება, რომ ძანეტის სეზონის დარჩენილი ნაწილი გაუცდებოდა, მაგრამ ექიმებმა რანიერი დააიმედეს - პრობლემა არც ისე სერიოზულიაო. 30 წლის ნახევარმცველს "ნაპოლისთან", "ემპოლისთან", "ინტერთან" და "პარმასთან" მატჩები გაუცდება. სავარაუდოდ, ის მზად იქნება 6 აპრილს "პალერმოსთან" შესახვედრად.

მაგრამ რანიერის მარტო ძანეტის პრობლემა როდი აწუხებს. "ნაპოლისთან" მომავალ უიქენდზე მას დისკვალიფიცირებული **ჯონათან ზებინა, ნიკოლა ლეგროტალიე** და **მაურო კამორანეზიც** არ ეყოლება.

ჩელსი

# საგანგებო კრება

## გრანტმა შეგირდებს პრობლემის ერთად გადაჭრა შესთავაზა

გასულ შაბათს "ჩელსი" ინგლისის ასოციაციის თასს გამოეთიშა. კვირას ფეხბურთელებს დასვენების დღე უნდა ჰქონოდათ. ამის მიუხედავად, **ავრამ გრანტმა** შეგირდებთან შეხვედრა მოისურვა. დანიშნულ დროს ის კლუბის ბაზაზე გამოცხადდა. საუბარი, რა თქმა უნდა, დახურულ კარს მიღმა შედგა. ინგლისურმა ტაბლოიდებმა სანდო წყაროსგან საინტერესო დეტალები შეიტყვეს. გრანტს ფეხბურთელებისთვის უთქვამს: ლიგის თასის დაკარგვამ და ასოციაციის თასიდან გავარდნამ არა მხოლოდ ჩემი, თქვენი პოზიციებიც შეასუსტა. ამიტომ ყველამ ერთად მდგომარეობის გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთო.

ფეხბურთელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მწვრთნელის სკამი ნამდვილად შეირყა. გრანტის გარდა, დათხოვნა ემუქრება მის ასისტენტ **ჰენკ თენ კეიტს**. ჰოლანდიელი სპეციალისტი უხეში მანერებითაა ცნობილი. ლიგის თასის ფინალის წინა დღეს ის გუნდის კაპიტან **ჯონ ტერის** წაეჩხუბა. "ჩელსი" ინციდენტის მიჩქმალვას შეეცადა. თენ კეიტმა კი ამბის გახმაურება ფეხბურთელებს დააბრალა.

გრანტს "ტოტენჰემთან" მატჩამდე საქმეები კარგად მისდიოდა. მიმომხილველები მისი და **ჟოზე მოურინიოს** სტატისტიკას ადარებდნენ და ასკვნიდნენ, რომ მისტერ ავრამს არანაკლები შედეგები ჰქონდა. მისი კვალიფიკაცია მხოლოდ "ტოტენჰემთან" თამაშის შემდეგ დააყენეს ეჭვქვეშ. "ბარნსლისთან" მატჩმა ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა.

"სანის" ცნობით, **რომან აბრამოვიჩი** შედეგებით უკმაყოფილოა. "ბარნსლისთან" ასოციაციის თასის მეოთხედფინალში წაგება ყველაზე დიდი ჩავარდნაა, რომელიც "ჩელსის" მისი მისვლის შემდეგ ჰქონია. ტაბლოიდის მტკიცებით, გრანტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს პოსტს, თუ მოსკოვში ჩემპიონთა თასს დაეუფლება. მან ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ სამი მოიგო. დანარჩენი ხუთი შეხვედრიდან ორი წააგო და სამი ფრედ დაასრულა. სხვათა შორის, მოურინიოს დათხოვნას წინ უსწრებდა სამმატჩიანი მოუგებელი სერია: ერთი წაგება და ორი ფრე.

"სანის" მტკიცებით, "ჩელსის" ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელზე იწყებს ფიქრს. ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა, თუმცა ინგლისურმა და ესპანურმა სააგენტოებმა ერთი პოტენციური კანდიდატის გვარი უკვე გააჟღერეს. ესაა "ხეტაფეს" თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპი**. ინფორმაცია მისი შესაძლო დანიშვნის თაობაზე გუშინდელ ნომერში მოგაწოდეთ.

დასასრულს, ორი სატრანსფერო ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. გაზეთი "მარკა" იუწყება, რომ ლონდონელები "რეკრეატივოს" მცველ **მარტინ კასერესით** დაინტერესდნენ. ტაბლოიდის მტკიცებით, "ჩელსი" მზადაა, 20 წლის ურუგვაელი ფეხბურთელი 10 მილიონ ევროდ შეიძინოს. კასერესის სატრანსფერო უფლებებს "ვილიარეალი" ფლობს. ის უელვაში ერთწლიანი იჯარითაა მივლინებული. ერთი კვირის წინ "ვილიარეალის" გენერალური მენეჯერი **ხოსე მანუელ ლიანესა** ლონდონში იმყოფებოდა. ის კასერესის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. მიმდინარე სეზონში მარტინმა "რეკრეატივოს" შემადგენლობაში 26 მატჩი ჩაატარა, ორი გოლი გაიტანა და ექვსი ყვითელი ბარათი მიიღო.

„ჩელსის" ესპანეთიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის წაყვანა უნდა. საუბარია „ატლეტიკოს" თავდამსხმელ **სერხიო აგუეროზე**. 19 წლის არგენტინელზე "ინტერიც" აცხადებს პრეტენზიას. მადრიდელებს ფეხბურთელის შენარჩუნება სურთ. ამიტომ მის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას, 28 მილიონ ევროს ითხოვენ. "დიარიო სპორტის" აზრით, ჩელსის აგუერო **დიდიე დროგბას** შემცვლელად სჭირდება. კოტდივუარელი თავდამსხმელი სამსახურის შეცვლას აპირებს. მას ესპანეთში ან იტალიაში გადასვლა სურს.



ავრამ გრანტი




სანტიაგო კანისარესი

ვალენსია. მოსალოდნელი ტრანსფერები

# კანისარესი: ბოლტონი თუ ვესტ ჰემი?

**სანტიაგო კანისარესი,** შეიძლება, ინგლისში წავიდეს. ესპანური სააგენტოების ცნობით, ვალენსიელ გოლკიპერს "ბოლტონმა" და "ვესტ ჰემმა" დაადგეს თვალი. 38 წლის ვეტერანი სამსახურს ეძებს. ვალენსიელთა თავკაცმა **რონალდ კუმანმა** ის აითვალწუნა და ტრანსფერზე დააყენა. გახმაურებული მოვლენების შემდეგ, კანისარესს "ღამურების" შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშია. "ვალენსიის" კარს გერმანელი **ტიმო ჰილდებრანდი** იცავს. სპეკულაციების თანახმად, "ბოლტონი" მას იმ შემთხვევაში გაუფორმებსკონტრაქტს, თუ ფინელი გოლკიპერი **იუსი იაასკელაინენი** "ნიუკასლში" ან "სელტიკში" წავა. "ვესტ ჰემი" ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე მზადაა, სანტიაგოს ერთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს.

კიდევ ერთი ინფორმაცია ვალენსიელთა ბანაკიდან. გუნდი "მალიორკის" მარცხენა მცველ **ფერნანდო ნავაროს** ეპატიჟება. 25 წლის ფეხბურთელს იტალიელი ემილიანო მორეტის შემცვლელად განიხილავენ. გასულ ზაფხულს ნავაროს გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" ეპატიჟებოდა, მაგრამ მალიორკელებმა გერმანელები უარით გაისტუმრეს. მოსალოდნელი ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

ინგლისის ასოციაციის თასი

# კარდიფი ინგლისის სახელით ვერ გამოვა

## განსაკუთრებული ვითარება, რომელიც ინგლისის ასოციაციის თასის წლევანდელ გათამაშებაში შეიქმნა...

ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალში უნიკალური ვითარება შეიქმნა. საუკეთესო ოთხეულში პრემიერლიგის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი მოხვდა და ისიც საშუალოზე საშუალო დონის კლუბია. "პორტსმუთზე" მოგახსენებთ. დანარჩენი სამი ნახევარფინალისტი ერთი დონით დაბალ დივიზიონს წარმოადგენს. ინგლისურ ფეხბურთს ასეთი რამ მთელი საუკუნეა, არ უნახავს. ნახევარფინალში უმაღლეს ლიგას მხოლოდ ერთი წარმომადგენელი უკანასკნელად 1908 წელს ჰყავდა.

1991 წლის შემდეგ ასოციაციის თასის ფინალში დიდი ოთხეულის ("მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი", "ჩელსი" და "ლივერპული") ერთი წარმომადგენელი მაინც გადიოდა. ზუსტად 17 წლის წინანდელ ფინალში "ტოტენჰემი" "ნოტინგემ ფორესტს" შეხვდა. 17-წლიანი პაუზის შემდეგ წლევანდელი ფინალი ისევ ოთხი გრანდის გარეშე ჩაივლის. ნახევარფინალში გასული გუნდებიდან ყველაზე ტიტულოვანი "ვესტ ბრომვიჩ ალბიონია". ის ასოციაციის თასის ხუთგზის გამარჯვებულია. "ვესტ ბრომვიჩმა" ტიტული უკანასკნელად 1968 წელს მოიპოვა.

გუშინწინ ჩატარებულმა კენჭისყრამ გუნდები ასე დააწყვილა: "ვესტ ბრომვიჩი"-"პორტსმუთი" და "ბარნსლი"-"კარდიფი".

ნახევარფინალებს, ფინალის მსგავსად, "უემბლი" უმასპინძლებს. მატჩები 5 და 6 აპრილს გაიმართება. თუ "პორტსმუთი" გავარდება, 1889 წლის შემდეგ პირველად, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში უმაღლესი დივიზიონის კლუბი არ ითამაშებს. ვითარება კიდევ იმიტომაა განსაკუთრებული, რომ ოთხიდან მხოლოდ სამი კლუბია ინგლისური. მეოთხე, "კარდიფი", უელსური კოლექტივია და ინგლისის ჩემპიონატში ასპარეზობს.

კარდიფელები საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობენ. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ თუ ისინი ინგლისის ასოციაციის თასს დაეუფლებიან (ასეთი რამ უკანასკნელად 1927 წელს მოხდა), უეფას თასის საგზურს მაინც არ მისცემენ. მართალია, "კარდიფი" ინგლისში თამაშობს, მაგრამ ინგლისური კლუბი არ არის. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია თავისი წილი საგზურების უცხოური კლუბისთვის გადაცემას არ აპირებს.

"კარდიფ სიტისთვის" ინგლისის კვოტით ევროტურნირებზე ასპარეზობის საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში, მაგრამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ კატეგორიული პოზიცია დაიკავა: *"კარდიფ სიტის" ხელმძღვანელობა შესანიშნავად იცნობს იმ ტურნირის რეგლამენტს, რომელშიც ასპარეზობს. მათ მხოლოდ ამ წესების გაცნობის შემდეგ მიეცათ ინგლისის ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება. ინგლისის წილი ევროპული საგზურები მხოლოდ ინგლისურ კლუბებზე განაწილდება."*



ბარნსლის ქომაგები წლევანდელ ასოციაციის თასზე მომხდარ ყველაზე დიდი სენსაციას ზეიმობენ

შალკე

# წყალში გადაყრილი 6 მილიონი?

## სლომკამ ამოისუნთქა, მაგრამ რამდენი ხნით?



"შალკემ" ბუნდესლიგის პირველი წრე მე-5 ადგილზე დაასრულა, რის გამოც გელზენკირხენული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე 6 მილიონი ევრო დახარჯა, მაგრამ ამ ქმედებამ შედეგი არ გამოიღო – **ლევან კობიაშვილის** გუნდი 23-ე ტურის შემდეგაც მე-5 ადგილზეა, შეძენილი ფეხბურთელები სათადარიგოთა სკამს ხეხავენ, მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** კი ფონს ისევ ძველი შემადგენლობით გადის. გამოდის, რომ მიულერმა 6 მილიონი წყალში გადაყარა?

საუბარია **ალბერტ შტრაიტზე**, რომელიც "ხუმარებმა" ფრანკფურტის "აინტრახტიდან" იყიდეს (2 მილიონი), **ზე რობერტოზე**, რომლის სანაცვლოდაც "შალკემ" 3 მილიონი გაიღო და ურუგვაელ თავდამსხმელ **ვისენტე სანჩესზე** (1 მილიონი). ამ სამეულმა მეორე წრეში მოედანზე სულ რაღაც 224 წუთი გაატარა, ანუ, გამოდის, რომ თითოეულ მათგანს 2.5 თამაში ჩაუტარებია. როგორც ხედავთ, ბალანსი ძალიან ცუდია!

სახელდობრ, შტრაიტს იმდენად უხაროდა "შალკეში" გადასვლა, რომ როცა ტრანსფერი გადაწყდა, საქვეყნოდ განაცხადა, ეს საუკეთესო საშობაო საჩუქარიაო. დღესდღეობით კი ძალიან ნანობს და რამის შეცვლა რომ შეეძლოს, ალბათ, "შალკეში" არ გადავიდოდა, რადგან ფაქტია, სლომკას გეგმებში შტრაიტს, ჯერჯერობით, არანაირი როლი არა აქვს. დაახლოებით იგივე ითქმის სანჩესსა და ზე რობერტოზეც, რომელთა ტრანსფერებმაც შედეგი, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ნამდვილად არ მოიტანა.

არადა, მიულერი სამივე მათგანს აფასებდა. მაგალითად, სანჩესზე ამბობდა, ჩვენთვის აბსოლუტურად სასურველი ფეხბურთელია, რომელიც თავდასხმას ძალიან გააძლიერებსო. ასეთივე აზრის გახლდათ სლომკაც, რომელიც ამბობდა, ურუგვაელი ჩვენს წინა ხაზს ტემპს შემატებსო. სანჩესის სისწრაფე ჯერჯერობით, მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა ეს უკანასკნელი სათადარიგოთა სკამიდან დგება და გახურებას იწყებს. უმეტეს შემთხვევებში მოედანზე შესვლა არც უწევს ხოლმე.

რაც შეეხება ზე რობერტოს – ეს უკანასკნელი თითქმის საერთოდ არ თამაშობს. დეკემბერში ჩატარებული სამედიცინო ტესტი მან კინაღამ ჩააგდო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძლივს გაიარა. ახლა კი ტრავმა აქვს და სლომკას რომც უნდოდეს, ვერ ათამაშებს. ამიტომაცაა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისი** რომ ამბობს, აშკარაა, რომ ახლებმა იმედები ჯერ ვერ გაამართლესო. პრეზიდენტი **იოზეფ შნუზენბერგი** კი ამბობს, უკვე ძალიან ბევრი რამ მიკვირსო. ერთი სიტყვით, მიულერის მიერ გადახდილი 6 მილიონი ჯერჯერობით, წყალში გადაყრილად მიიჩნევა და თუ ზემოთ ხსენებულმა სამეულმა უახლოეს მომავალში შესაძლებლობების დამტკიცება ვერ მოახერხა, ვინიცობაა, სლომკაზე მეტი პრობლემა მიულერს შეექმნას. რაც შეეხება სლომკას, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლით და გასულ შაბათს "არმინიის" დამარცხებით მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემსუბუქდა.

"არმინიასთან" მოგებულ მატჩში "შალკე" ცოტათი "ბაიერნსაც" ჰგავდა. ცხადია, ჩვენ არ ვგულისხმობთ იმ სანახობრივ ფეხბურთს, რომელსაც მიუნხენური გიგანტი ბოლო დღეებში აჩვენებს. პარალელების გავლება სხვა მხრივ შეიძლება. კერძოდ, "შალკემ" სწორედ "ბაიერნის" სტილში შეძლო ჩემპიონთა ლიგიდან ბუნდესლიგაზე კონცენტრირება, მით უმეტეს, რომ შუა კვირაში გელზენკირხენელებს "პორტუსთან" ძალიან დამღლელი, 120-წუთიანი ჯახი ჰქონდათ. "არმინიასთან" "შალკემ" ძალიან პრაგმატული ფეხბურთი აჩვენა და შეიძლება ითქვას, რომ ძალების ზედმეტი დახარჯვის გარეშე მოიგო.

მოკლედ, ოთხი დღის განმავლობაში ორი თამაშის მოგებამ სლომკას ამოსუნთქვის საშუალება მისცა. როგორც იცით, მირკოს ულტიმატუმი ჰქონდა წაყენებული. მართალია, "ბაიერნთან" წააგო, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლამ და ბუნდესლიგაში სამმატჩიანი წაგებების სერიის შეწყვეტამ სლომკას თავზე თავშეყრილი ღრუბლები განდევნა და მირკოს თანამდებობა გადაურჩინა. ასე რომ, მისი სკამი ახლა გაცილებით მყარად დგას, ვიდრე 8 დღის წინ, მაგრამ კრიზისის სიმპტომები ბოლომდე გამქრალი არ არის.

*"ჯერჯერობით, კრიზისი ბოლომდე დაძლეული არ არის. თუმცა პირველი ნაბიჯი ნამდვილად გადადგმულია,"* – ამბობს მიულერი. ფაქტია, რომ უმთავრესი ნაკლი (თამაშის ჩამოყალიბებული კულტურა) ჯერ კიდევ სახეზეა. მიულერის მიიჩნევს, რომ "შალკეს" შემტევი ხაზი უფრო აგრესიული უნდა გახდეს.

ფაქტია ისიც, რომ გელზენკირხენული კლუბის ქომაგებს იმედი ბოლო დღეებში მეტწილად **მანუელ ნოიერზეა** დამყარებული. ახალგაზრდა მეკარემ "პორტუსთან" შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და მატჩის გმირი გახდა. ნოიერმა "არმინიასთანაც" ძალიან კარგად ითამაშა. ამასთან, "შალკეს" **კრისტიან პანდერი** და **გუსტავო ვარელაც** გამოუჯანმრთელდნენ, ამ უკანასკნელმა შაბათს სულაც გოლი გაიტანა. თავდასხმაში **ჰალილ ალთინთოფს** დაეტყო პროგრესი.

ამ ყველაფრის შესაბამისად, სეზონის წინ დასახული მიზანი (სამეულში მოხვედრა) ძველებურად აქტუალური გახდა. ნოიერის თქმით, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ "შალკეს" ამ მიზნისთვის ბრძოლაში კონკურენტებიც ბლომად ჰყავს: "ვერდერი", "ჰამბურგი" და "ლევერკუზენი". ანუ, ოთხისთვის ორი ადგილია დარჩენილი (მოდით შევთანხმდეთ, რომ "ბაიერნის" ჩემპიონობას წყალი არ გაუვა).

რაც მთავარია, სლომკას გაგდება ამ ეტაპზე აღარ ემუქრება და შეუძლია, მუშაობა მშვიდად განაგრძოს. ისე, მირკოს იშვიათი იღბალი აქვს – უკვე მესამედ წაუყენეს ულტიმატუმი და კიდევ ერთხელ გადარჩა. *"წინა კვირა მთელი გუნდისთვის ძალიან პოზიტიური იყო. აშკარად გამოჩნდა, რომ გუნდი ცოცხალი ორგანიზმია,"* – ამბობს სლომკა. იმისთვის, რომ წნეხი შემსუბუქდეს, ცხადია, აუცილებელია, რომ "შალკემ" მომდევნო შეხვედრებიც მოიგოს...

**გოტფრიდ ლენცი**

---

დორტმუნდი

# დოლს შეგირდებმა შეუტიეს!

## გუნდი ფიზიკურად ცუდ ფორმაშია, მწვრთნელი არასწორ ტაქტიკას ირჩევსო...

დორტმუნდის "ბორუსია" ბუნდესლიგაში ერთ ადგილს ტკეპნის. წესითა და რიგით, მეორე წრიდან კარგი დროება უნდა დაწყებულიყო, ისევე, როგორც საერთოდ სეზონის წინ უნდა დაწყებულიყო უკეთესი დროება. მაგრამ არაფერი შეცვლილა: ვესტფალიური კლუბი მე-13 ადგილზეა, ანუ, არც ვარდება და ვერც ზემოთ ადის, არც იქეთ არის და არც აქეთ. სამაგიეროდ, BVB-ს კულისებში დიდი ამბები ხდება.

"ჰერტასთან" მატჩის შემდეგ ფეხბურთელებმა მწვრთნელი **თომას დოლი** გააკრიტიკეს. *"აშკარაა, რომ ფიზიკურად ცუდ ფორმაში ვართ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ "ჰერტას" ფიზმოზადების მხრივ ვერ ვაჯობეთ, ბოლოს უკვე ძალიან დაღლილები ვიყავით,"* – ეს სიტყვები **მლადენ პეტრიჩს** ეკუთვნის. და რაც ყველაზე საინტერესოა, პეტრიჩი არ არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ასეთი მოსაზრება აქვს. "ბილდის" ინფორმაციით "ბორუსიის" ფეხბურთელები დოლს უჩივიან, ვარჯიშებზე სისხლს გვიშრობს და ამიტომაცაა, თამაშების დროს მალე რომ ვიღლებითო.

ამას გარდა, ფეხბურთელები უკმაყოფილოები არიან იმ ტაქტიკითაც, რომელიც დოლმა "ჰერტასთან" აირჩია. იმის გამო, რომ დოლს **ფლორიან კრინგეს**, **იაკუბ ბლაშჩიკოვსკისა** და **მარკ-ანდრე კრუსკას** სახით ერთდროულად სამი კრეატიული ნახევარმცველი აკლდა, დოლმა ტაქტიკა შეცვალა და გუნდი 4-2-3-1 სისტემით ათამაშა. "დორტმუნდი" კი ამ ტაქტიკით თამაშს მიჩვეული არ არის. *"ასეთი სტრატეგია ჩვენთვის მიუღებელი იყო, რადგან ეს ტაქტიკა არ დაგვიმუშავებია. მწვრთნელს ვარჯიშზე ისიც კი არ უთქვამს, რომ ახალი ტაქტიკით თამაშს ვაპირებდით,"* – აცხადებს ფეხბურთელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. შესაბამისად, უშუალოდ მატჩის დროს "ბორუსია" ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი არ იყო – ფეხბურთელები ერთმანეთს ვერ უგებდნენ. *"არ მიკვირს, რომ ძალიან გაგვიჭირდა, რადგან ნორმალური კომბინაცია, ფაქტობრივად, არ გაგვითამაშებია. ჩვენსკენ, თავდამსხმელებისკენ მხოლოდ მაღალი ბურთები მოდიოდა,"* – კრიტიკულია პეტრიჩიც. მომდევნო ტურში, მომავალ შაბათს "ბორუსია" დოლის ყოფილ გუნდ "ჰამბურგს" ხვდება...



თომას დოლი და სებასტიან კელი. მწვრთნელს შეგირდები აუჯანყდნენ

---

ლევერკუზენი

# გეკასი აზრზე მოვიდა

## როგორც იქნა: ბერძენ თავდამსხმელს ბაი არენაზე ტაში დაუკრეს!



თეოფანის გეკასმა იმედების გამართლება დაიწყო

"ლევერკუზენი" ხუთშაბათს, უეფას თასზე "ჰამბურგს" შეხვდა და მოუგო. მერე, ბუნდესლიგის კალენდარულ შეხვედრაში "ფარმაცევტები" უკვე "ჰანოვერს" დაუპირისპირდნენ, მაგრამ მეტწილად მაინც "ჰამბურგზე" ფიქრობდნენ – ჩრდილოგერმანული კლუბი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ხომ "ბაიერის" უმთავრესი კონკურენტია. **მიხაელ სკიბეს** გუნდმა ეს თამაშიც მოიგო და ახლა უკვე შესანიშნავი შანსი აქვს, რომ გაისად ყველაზე ელიტარულ ევროტურნირში იასპარეზოს. ყოველ შემთხვევაში, ოცნება რეალურია!

მოკლედ, "ლევერკუზენს", ასე ვთქვათ, ჰამბურგული კვირა ჰქონდა, რომელიც საბოლოოდ **თეოფანის გეკასის** კვირად გადაიქცა. უეფას თასზე "ჰამბურგს" ერთადერთი გოლი მან გაუტანა და დიდად გაიხარა, რადგან მას მერე, რაც მეორე წრე დაიწყო, სკიბე ბერძენ თავდამსხმელს, რომელიც წინა სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (ოღონდ ბოხუმში), ძალიან იშვიათად ენდობოდა ხოლმე. "ჰანოვერთან" კი სულაც გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა. არცაა გასაკვირი, საფინალო სასტვენის შემდეგ "ბაი არენაზე" შეკრებილი ქომაგები გეკასის სახელსა და გვარს რომ სკანდირებდნენ. ბერძენმა კი, თავის მხრივ, გოლის შემდეგ კუთხურის ალამთან სირტაკი იცეკვა, რითაც ფანები კიდევ უფრო მეტად გაამხიარულა. მერე კი, ჟურნალისტებთან საუბრისას დასძინა, იმედი მაქვს, რომ ამ ცეკვის შესრულება ამიერიდან უფრო ხშირად მომიწევსო.

ბერძენი არ მალავს, რომ "ლევერკუზენში" გადასვლის შემდეგ გარკვეული წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. *"აქ გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის რანგში გადმოვედი და რა გასაკვირია, რომ ზეწოლა უდიდესი იყო. იმედი მაქვს, რომ მძიმე დროება წარსულს ჩაბარდა. მწვრთნელს დავუმტკიცე, რომ გოლების გატანა შემიძლია,"* – აცხადებს გეკასი. მართალია, მეტწილად სათადარიგოთა სკამს ხეხავდა, მაგრამ თეოფანისმა მიმდინარე სეზონში 9 გოლის გატანა უკვე მოასწრო...

---

რუსეთის პრემიერლიგა

# რუსული ფეხბურთის მილიონები

## რუსეთის პრემიერლიგა მანჩესტერ იუნაიტედს გაუთანაბრდა

რუსული საააგენტოები საინტერესო ინფორმაციას ავრცელებენ. ახალ სეზონში რუსეთის პრემიერლიგის ფინანსური ბრუნვა ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამ თანხით "მანჩესტერ იუნაიტედის" შენახვა შეიძლება. უფრო მეტიც, "სევილიის" შესანახი ფულიც დარჩებაო, ხუმრობენ რუსი ჟურნალისტები.

პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი **დიკ ადვოკაატია**. "ზენიტის" თავკაცს ოქროს მედლების დაუფლებისთვის მეფური საჩუქარი გაუკეთეს. მან შარშანდელი სეზონის დასრულებისთანავე ახალი კონტრაქტი გააფორმა. ადვოკაატის წლიური ანაზღაურება 4 მილიონი ევროთი განისაზღვრა, რაც ორჯერ აღემატება მის შარშანდელ ხელფასს.

მეორე ადგილზეა "მოსკვას" თავკაცი **ოლეგ ბლოხინი**. უკრაინის ნაკრების ყოფილ დამრიგებელს თვეში 300 ათას ევროს უხდიან. ადვოკაატის გაუმჯობესებული პირობები რომ არა, რუსეთის ყველაზე მდიდარი მწვრთნელი ბლოხინი იქნებოდა. მის ასისტენტებს, კიევის "დინამოს" ყოფილ ვარსკვლავებს, **ანდრეი ბალსა** და **ოლეგ კუზნეცოვს** ბევრად უფრო მოკრძალებული ჯამაგირი აქვთ - წლიურად 160 ათასი და 140 ათასი ევრო. შედარებისთვის, ბლოხინის წინამორბედ **ლეონიდ სლუცკის** თვეში მხოლოდ 13 ათას ევროს უხდიდნენ.

პრემიერლიგის უმდიდრეს მწვრთნელთა ქქვსეული ასე გამოიყურება: დიკ ადვოკაატი (ზენიტი) - წელიწადში 4 მილიონი ევრო; ოლეგ ბლოხინი (მოსკვა) - 3.6 მილიონი; ვალერი გაზაევი - 1.5 მილიონი; გაჯი გაჯიევი (სატურნი) - 1 მილიონი; რაშინ რახიმოვი (ლოკომოტივი) - 0.86 მილიონი; სტანისლავ ჩერჩესოვი (სპარტაკი) - 0.62 მილიონი.

აქვე, რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელებსაც გაგაცნობთ. ყველაზე მეტს, წელიწადში 2.5 მილიონ ევროს, მხოლოდ ორ მოთამაშეს უხდიან. ესენი არიან ლოკომოტიველი **პიტერ ოდემვინგი** და დინამოელი **ალექსანდრ კერჟაკოვი**. მილიონ ევროზე მაღალი ხელფასი კიდევ ცხრა ფეხბურთელს აქვს. აი, მათი სიაც: ფატიჰ თექე (ზენიტი) - 2.2 მილიონი; სერგეი სემაკი (რუბინი) - 2.1 მილიონი; ანდრეი არშავინი (ზენიტი) - 2 მილიონი; ალეხანდრო დომინგესი (ზენიტი) - 2 მილიონი; ანატოლი ტიმოშჩუკი (ზენიტი) - 2 მილიონი; დანი (დინამო) - 1.8 მილიონი; მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი) - 1.8 მილიონი; დმიტრი ლოსკოვი (სატურნი) - 1.5 მილიონი; სერგეი რებროვი (რუბინი) - 1.5 მილიონი.

ბარსელონა

# კატალონია ვარსკვლავებისა და რაიკაარდის წინააღმდეგ

## კატალონიური გრანდის ბაზასთან შეკრებილმა ინჩასებმა რონალდინიოს, ანრის, ეტოოსა და მთავარ მწვრთნელს სერიოზული ობსტრუქცია მოუწყვეს

**"ბარსელონას" პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორი მატჩი 2006 წლის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული. კატალონიურმა გრანდმა ამჯერად ჯერ "ატლეტიკოსთან" შეირცხვინა თავი, გასულ უქმეებზე კი მშობლიურ "კამპ ნოუზე" "ვილიარეალთან" დამარცხდა. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ზედიზედ წაგებული მატჩების გამო, "ბარსამ" "რეალს" ისევ რვა ქულით დაწინაურების საშუალება მისცა. არადა, ორი კვირის წინ სხვაობა სულ რაღაც ორ ქულას შეადგენდა. გასაკვირი არ არის, რომ ჰანდიკაპის კიდევ ერთხელ გაზრდას გულშემატკივრები ძალიან დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, კატალონიის დედაქალაქში "ბარსელონის" ფეხბურთელებისა და მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ სერიოზული საპროტესტო ტალღა აგორდა. მტკიცებულებად უშუალოდ გუნდის ბაზასთან განვითარებული მოვლენებისა და წამყვანი გაზეთების მიერ ჩატარებული გამოკითხვების მოყვანა შეიძლება.**

დავიწყოთ, ბაზაზე მომხდარი ფაქტით. გუშინ სავარჯიშოდ მისულ ფეხბურთელებს კართან გაცოფებული ინჩასების დიდი არმია დახვდათ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ საკუთარი უკმაყოფილება ღიად გამოეხატათ. რას არ ყვიროდნენ და გაიძახოდნენ, **რონალდინიო, ეტოო, ანრი** და **რაიკაარდი** ყველაზე მეტად შეურაცხყვეს. კიდევ კარგი, ფანებს კეთილგონიერება ეყოთ და საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილა. ბუნებრივია, ბარსელონელებს განწყობა ძალიან გაუფუჭდათ და მთელი ვარჯიში ისე ჩაატარეს, ერთხელაც არ გაულიმიათ. ბაზიდან შინ დაბრუნების შემდეგ ბიჭები გაზეთების ვებგვერდებს თვალს თუ გადაავლებდნენ, დაინახავდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ის ადამიანებიც დაილაშქრნენ, რომლებიც ბაზის შესასვლელთან არ მისულან. მაგალითისთვის მოგახსენებთ, რომ მარტო "დიარიო სპორტის" მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში 40 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფრენკ რაიკაარდმა გუნდი უნდა დატოვოს. გარდა ამისა, ისინი წარუმატებლობებში ისევ და ისევ, რონალდინიოს, ანრისა და ეტოოს ტრიოს ადანაშაულებენ. რატომღაც ყველაზე დიდი დაუნდობლობა ეტოოს მიმართ იქნა გამოჩენილი. ბარსელონისტები ფიქრობენ, რომ სამუელი მხოლოდ დაბალი დონის გუნდებთან ახერხებს გოლების გატანას. მეტ-ნაკლებად ძლიერი კლუბების წინააღმდეგ კი სრულიად უძლურია. სხვათა შორის, სტატისტიკური მონაცემები სწორედ ამაზე მეტყველებს. კამერუნელმა ფორვარდმა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება წყალწაღებული აუტსაიდერების, "ლევანტესა" და "მურსიის" წინააღმდეგ დატოვა. ანრის ტრანსფერს კი გამოკითხულთა დიდი ნაწილი წლის ერთ-ერთ უმთავრეს შეცდომად აცხადებს. ქომაგთა საერთო განწყობა ფრიად საინტერესოა: ხალხის აზრით, **ლეო მესის** გარეშე "ბარსელონა" "ბარსელონა" არ არის. ამასთან, საზოგადოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ხელმძღვანელობამ სასწრაფო ღონისძიებები გაატაროს, რათა რაიკაარდის შემცვლელი მონახონ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ინჩასების ფავორიტი **ჟოზე მოურინიოა**. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი სპეციალისტი ბოლო წლების განმავლობაში "ჩელსის" იმ ფეხბურთს არ ათამაშებდა, რომელსაც კატალონიელები აღმერთებენ, მაინც ფიქრობენ, რომ მოურინიოა ის კაცი, რომელიც "ბარსას" უმაღლეს მწვერვალებზე დააბრუნებს. მეორე ადგილზე **არსენ ვენგერია**. მის მხარდამჭერებს იმედი აქვთ, რომ ფრანგი სპეციალისტის დანიშვნის შემთხვევაში შემტევი ფეხბურთით სახელგანთქმული გრანდი არც ჩვეულ სახეს დაკარგავს და სასურველ შედეგებსაც მიაღწევს. მოკლედ, რაიკაარდს მომხრეები, ფაქტობრივად, აღარ დარჩა. შვიდპროცენტიანი მხარდაჭერა განა სალაპარაკოა?

შექმნილი სიტუაციით გაოგნებულმა **ერიკ აბიდალმა** (სხვათა შორის, მას არავინ ერჩის. პირიქით, ერთ-ერთ ყველაზე შრომისმოყვარე მოთამაშედ მიიჩნევენ და დიდად ემადლიერებიან) სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და ისეთი რამ თქვა, ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი გამოიწვია: *"არ დაგიმალავთ, რაც "ბარსელონაში" გადმოვედი, ჩემთვის ბევრი რამ გაურკვეველია. ადრე ვთქვი, რომ დაწინაურების შემდეგ ანგარიშის შესანარჩუნებლად ტაქტიკას არ ვცვლით-მეთქი. დღესაც ასე ვფიქრობ. გასვლით შეხვედრებში თუ გოლს გაიტან და წინ წახვალ, ჩემი აზრით, აუცილებელი არ არის, ყოველთვის ისევ 4-3-3 ტაქტიკით გააგრძელო ასპარეზობა. ვფიქრობ, დაცვას მეტ ყურადღებას თუ დავუთმობთ, მოგებულები დავრჩებით. რატომღაც არაფერი იცვლება, თუმცა ეს ძველი ისტორიაა. ახალს კი იმას გეტყვით, რომ პირადად ჩემთვის "ბარსელონის" ვარჯიშის სტილიც ძალიან გაუგებარია. აქ ყველა იმას აკეთებს, რაც თავად სურს. მსგავსი რამ სხვაგან არსად მინახავს. თითქოს, ფეხბურთელებმა თავად იციან, რა უნდა გააკეთონ ვარჯიშებზე და მწვრთნელის მოსაზრებები მეორეხარისხოვანია. სიმართლე გითხრათ, მე საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ვერასოდეს მოვიწონებ. იმისათვის, რომ გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს, აუცილებელია, საერთო წესები მოქმედებდეს და მას აბსოლუტურად ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდეს."*

ამასობაში, "ბარსელონის" სამედიცინო შტაბმა უკიდურესად უსიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა. **იაია ტურემ** საკმაოდ მძიმე და რაც ყველაზე ცუდია, საშიში ტრავმა მიიღო. მას ხერხემლის მალა დაეწია. სხვათა შორის, ტურე ხერხემალს თებერვლის დასაწყისიდან იტკიებდა. ექიმები რაიკაარდს ურჩევდნენ, რომ აფრიკელი დიდად არ დაეტვირთა, მაგრამ **რაფა მარკესის** ტრავმის გათვალისწინებით, მთავარი მწვრთნელი იძულებული გახდა, იაია რამდენიმე მატჩში 90 წუთი ეთამაშებინა. შედეგმაც არ დააყოვნა. როგორც გითხარით, ფეხბურთელს ხერხემლის მალა დაეწია. არსებობდა საფრთხე იმისა, რომ მკურნალობას ქირურგიული ჩარევა დასჭირდებოდა, თუმცა გუშინ ბარსელონის მუნიციპალური კლინიკის საუკეთესო ექიმებმა საგულდაგულო გამოკვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ოპერაცია საჭირო არ არის. მიუხედავად ამისა, რაიკაარდს ტურე სულ მცირე ერთი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. კოტდივუარელი ნანობს, რომ მწვრთნელს კატეგორიულად არ დაუსვა საკითხი: *"ცხოვრებამ დამანახა, რომ ჯანმრთელობით გარისკვა არ შეიძლება. რაიკაარდს არაფერი დაუძალებია. უბრალოდ, მითხრა, რომ მარკესის არყოფნა სერიოზულ პრობლემას უქმნიდა გუნდს. ამას, რა თქმა უნდა, უთქმელადაც ვხედავდი და დავასკვენი, რომ კაპრიზების დრო არ იყო. ძალიან ვნანობ, მთავარ მწვრთნელს მატჩების სრულად ჩატარებაზე კატეგორიული უარი რომ არ განვუცხადე. ახლა ისღა დამრჩენია, ვილოცო, რომ ოპერაცია არ დამჭირდეს. კი მეუბნებიან, საოპერაციო მაგიდაზე არ დაგაწვენთო, მაგრამ შეიძლება მკურნალობა პროგნოზს არ დაექვემდებაროს და ექიმებმა გადაწყვეტილება შეცვალონ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ფრანკ რაიკაარდი



ვისენტე დელ ბოსკე

ესპანეთის ნაკრები

# სელექსიონს მშვიდი დელ ბოსკე უთავკაცებს

## დიარიო მარკა სენსაციურ ინფორმაციას აქვეყნებს...

დიახ, "დიარიო მარკა" ტრადიციას არ ღალატობს. მადრიდულ სპორტულ გამოცემას სხვადასხვა ფედერაციასა, თუ კლუბში ინფორმატორები ჰყავს და მათი მეშვეობით მნიშვნელოვან ინფორმაციებს წინასწარ მოიპოვებს ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც...

მაშ ასე, "დიარიო მარკა" გვამცნობს, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ **ლუის არაგონესი** ესპანეთის ნაკრებს დატოვებს და მის თანამდებობას **ვისენტე დელ ბოსკე** დაიკავებს. მადრიდელი ჟურნალისტის **ხოსე ფელიქს დიასის** ინკოგნიტო ინფორმატორის განცხადებით, დელ ბოსკე ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტ, **ანხელ მარია ვილიართან** ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა და გუშინ საბოლოო დეტალებთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწია. მარტივად რომ ვთქვათ, დელ ბოსკე ფედერაციის უმაღლეს ხელისუფალს დათანხმდა, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ "სელექსიონს" ჩაიბარებს და მას 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ეტაპისთვის მოამზადებს. სავარაუდოდ, სენიორ ვისენტე ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. იმავე ინფორმატორის მტკიცებით, ორი დღის წინ "სელტას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენებული **ლოპეს კარო** 21-წლამდელთა ნაკრებს ჩაიბარებს. ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და გავიგოთ, გამართლდება თუ არა "დიარიო მარკას" წინასწარმეტყველება. ისე კი, როგორც ჩანს, ინფორმაცია სანდოა, რადგან ეს თემა გაზეთმა პირველ გვერდზე გაიტანა და დიდი ასოებით დაწერა, ესპანეთს მშვიდი კაცი უხელმძღვანელებსო...

## მანჩესტერი ისევ სპორტინგისკენ

„მანჩესტერ იუნაიტედი" ლისაბონის "სპორტინგის" [illegible] ელოდება. "მენიუს" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეიროში** რეკომენდაციას უწევს 20 წლის მარჯვენა ნახევარმცველ **ბრუნო პერეირინიოს**. "იუნაიტედს" მიზანში ჰყავს ამოღებული კიდევ ერთი სპორტინგელი **მიგელ ველოსა**, თუმცა ეს ამბავი ყველასათვის კარგადაა ცნობილი. "სპორტინგსა" და "იუნაიტედს" მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. თანამშრომლობის შედეგია **კრისტიანო რონალდოსა** (2004 წელს) და **ნანის** (2007 წელს) ტრანსფერები.

## არსენალი ბაკარი სანიას ელოდება

"არსენალი" ნიცელი თავდამსხმელით **ბაკარი კონეთი** დაინტერესდა. კონე 26 წლისაა. ის კოტდივუარის ნაკრებში თამაშობს და ფრანგული კონტრაქტი გაისად ზაფხულში ეწურება. მისი ფასი უცნობია. სეზონის ბოლოს "არსენალს" 19 წლის მექსიკელი თავდამსხმელი **კარლოს ველაც** შეუერთდება. "მეთოფეებმა" ის ერთი წლის წინ შეიძინეს და იჯარით მაშინვე "ოსასუნაში" მიავლინეს. ინგლისში დაბრუნებამდე ველა ესპანეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებს.

## კერბიშლი მშვიდადაა?

"ვესტჰემში" კრიზისული ვითარება შეიქმნა. ლონდონელებმა ზედიზედ სამი თამაში წააგეს. მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. "ჩაქუჩებმა" სამივე შეხვედრაში ოთხი უპასუხო გოლი გაუშვეს. მათ "ჩელსიმ", "ლივერპულმა" და "ტოტენჰემმა" გადაუარეს. გასაკვირი არ არის, რომ მთავარი მწვრთნელის **ალან კერბიშლის** პოზიციები შესუსტდა, მაგრამ არც იმდენად, რომ "ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობა რადიკალური ზომების მიღებას ფიქრობდეს. ლონდონური კლუბი ცხრილის შუაგულში იმყოფება. მას პრემიერლიგიდან გავარდნას არ ემუქრება, მაგრამ ვეღარც ევროპული საგზურისათვის მოახერხებს ბრძოლას. "ვესტ ჰემი" კერბიშლის სრულ ნდობას უცხადებს და მწვრთნელთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილების მიღებას კატეგორიულად გამორიცხავს.

## დეკუს ატლეტიკო გამოუჩნდა

"ატლეტიკო" **დეკუ სოუზათი** დაინტერესდა. გაზეთი "მარკა" გვაუწყებს, რომ "ბარსელონიდან" წასვლის შემთხვევაში, ფეხბურთელს მადრიდელები დაუკავშირდებიან და სარფიან გარიგებას შესთავაზებენ. იტალიური სააგენტოების ცნობით, დეკუს შეძენა "ინტერსაც" სურს, მაგრამ მილანელებს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებიათ. "ატლეტიკოში" დეკუს მეგობარი **სიმაო საბროსა** თამაშობს. ამიტომ მან არჩევანი, შეიძლება, "როხიბლანკოს" სასარგებლოდ გააკეთოს. პორტუგალიელი ვარსკვლავი "კამპ ნოუზე" 2004 წლიდან მოღვაწეობს.

## არნე ფრიდრიხი რომაში?

2006 წლის დეკემბერში ბერლინის "ჰერტას" და გერმანიის ნაკრების მცველმა **არნე ფრიდრიხმა** განაცხადა, არ არსებობს ფეხბურთელი ბუნდესლიგაში, რომელსაც უცხოეთზე არ უოცნებიაო. ფრიდრიხს ამ ოცნების ასრულების შანსი გაუჩნდა. "ბილდის" ინფორმაციით მას "რომა" ეპატიჟება. რაკი "ჯალოროსი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა და დამატებით რამდენიმე მილიონი ევრო გაიფორმა, რომაელებმა უკვე დაგეგმეს ტრანსფერები და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, **ლუჩანო სპალეტის** სამომავლო გეგმაში გერმანელ მცველს ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს. ფრიდრიხი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 55 მატჩი აქვს ჩატარებული, "ჰერტაში" 2002 წლიდან თამაშობს და მის კონტრაქტს ვადა 2009 წელს ეწურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## იტალიის დანიშნულება თავდაცვის ესთეტიკა

იტალია და მისი ესთეტიკა, იტალია და მისი იდეები, იტალია და საფეხბურთო დაუკმაყოფილებლობა. თუ გვჯერა, რომ ფეხბურთი ერის ხასიათს გამოხატავს, მაშინ როგორია ამ მხრივ იტალია?

უფროსმა **მალდინიმ** იტალიური ფეხბურთი გამოქვაბულის პრინციპით ააგო: სიღრმეში სამი პერსონალური მეურვე, მათ უკან კიდევ ლიბერო, რომელიც ერთგვარად ზედამხედველის (რათა ყველაფერი გაითვალისწინოს) ფუნქციებს ასრულებს, მოედნის შუაში დაცვითი პროფილის კიდევ ოთხი ფეხბურთელი და ორი შემტევი. მოძრაობა უნდა იყოს პიანო, პიანო (ნელი, ნელი) - ამტკიცებდა მალდინი. მაგრამ საით: წინ თუ უკან?

ცნობილია, რომ კატენაჩო - ეს მთელი სკოლაა. არსებობს მთელი რიგი სახელმძღვანელოები, რომლებიც ამ სისტემის ათასგვარ ნაირსახეობას გვთავაზობს. მე კი ამ სისტემაში ღალატს ვხედავ, რადგან ფეხბურთი მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს: თავგადასავლების ძებნას, ღია მინდორზე ხასიათების შეჯახებას, პიროვნების აღმოჩენას. ჩემი აზრით, კატენაჩო ეს არის აუცილებელი და ბუნებრივი სწრაფვისა იქეთკენ, რათა საკუთარი ღარიბი რესურსების კომპენსირება მოახდინო (ძლიერისადმი სუსტის ფსიქოლოგია ყოველთვის თავდაცვითია), მაგრამ ყოველთვის უარვყოფ ამ სისტემას, როცა მას სათამაშო შესაძლობლობების სრული არსენალის მფლობელი გუნდი იყენებს. მას იტალიაში ცინიზმით ეპყრობიან: აკრიტიკებენ ნაგების შემთხვევაში და მთავარ მიზეზად ასახელებენ, როცა იგებენ. იტალიელი ფეხბურთელი - ეს განსაკუთრებული რასაა. ის მოთამაშეები, რომლებიც ამ ფეხბურთის გარემოს მოერგნენ, ჰყვებიან, რომ გზად სტადიონზე, ავტობუსში აბსოლუტური სიჩუმეა. ეს ეჭვს ბადებს, რომ ფეხბურთში არ არსებობს მომხიბვლელობა. ამ მდგომარეობას პრესაც ამძიმებს, მინდორზე ხისტი დაპირისპირებები იმართება და მატჩები ინფარქტამდე მიმყვანი ანგარიშებით (0:0, 1:0, 1:1...) სრულდება. ამასთან, არ შეიძლება არ აღფრთოვანდე **ტოლდოს** კონცენტრაციით, **ნესტას** ბუნებრივობით, **მალდინის** ოსტატობით, **ალბერტინის** პროფესიონალიზმით, **კონტეს** გულუხვობით, **ტოტის** გამომგონებლობით, ინძაგის მობილურობით. მაგრამ შეუმჩნეველი არც ის უნდა დაგვრჩეს, რომ ამ ფეხბურთს ვერ მოერგნენ უნიჭიერესი **ანრი, ბერგკამპი, კლუივერტი**, იტალიამ ზურგი აქცია **დავიდსს, სიმეონეს, სამორანოს** და მხოლოდ ფიზიკური ძალა შესძინა ისეთ გიგანტებს, როგორებიც არიან **ზიდანი, რუი კოშტა** და **ნედვედი**.

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე, რუმინეთთან მატჩში პირველი გოლის დროს, როცა ინძაგი მეკარე **სტელეასთან** პირისპირ გავიდა, თავდამსხმელი კარგად ხვდებოდა, რომ იმ საღამოს ასეთი შანსი მას შეიძლებოდა აღარ მისცემოდა, რომ სისტემა ასეთი ეპიზოდების რეალიზაციაზეა დამოკიდებული და შეცდომა შეიძლება მას ძირითადში ადგილის დაკარგვად დაჯდომოდა. სწორედ ასე, ტოტი ყოველთვის **დელ პიეროს** ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. ეს შეჯიბრებითი სიგიჟე იტალიელებს სისხლში აქვთ, ამის გამო, ისინი სულ მცირე დეტალებშიც კი მაქსიმალურად ყურადღებით და აბსურდამდე კატეგორიულები არიან.

წარმოიდგინეთ იტალიელი მცველი, რომელიც ბურთის მოშორებას აპირებს. და უცებ, მის წინ გაშლილი ფეხებით მეტოქის თავდამსხმელი აღმართა, პირობითად ნორვეგიელი. მაცდუნებელი შეთავაზებაა მეტოქეს ფეხებში გაუტარო ბურთი. თავისუფალი ადამიანი ამ ცდუნებას ვერ გაუძლებდა. იტალიელს ასეთი რამ არ ახასიათებს. როგორც მოთამაშე, როგორც მწვრთნელი და როგორც მაყურებელი, გაგიმხელთ ასეთი სიჯიუტის მიზეზს: გულის სიღრმეში იტალიელებს ტექნიკის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. ამიტომ ხომ არ უყვირიან ისინი ოლე-ს იმას, ვინც გარემოებათა გამო ატყუებს ერთს, მეორეს, მესამე მეტოქეს? რა თქმა უნდა, თუ ეს თავხედობა წარმატებით სრულდება.

### ერთმანეთის შემცვლელი ჯარისკაცები

ტაქტიკა - იდეალური ნავსაყუდელია უფერულობისთვის. რა თქმა უნდა, იტალიური საფეხბურთო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებს ის არ აფუჭებს. ზოგიერთ ფეხბურთელს გაუფერულობა ნამდვილად ემუქრება, ხოლო კარგი შემსრულებლებით იტალიის ნაკრების მწვრთნელებს პრობლემები არასოდეს შექმნიათ, არ ჰქონდა მნიშვნელობა, სამი კაცით თამაშობდნენ დაცვაში და ხუთით მოედნის ცენტრში ან პირიქით, ხუთით დაცვაში და სამით ნახევარდაცვაში.

### მისი უდიდებულესობა ნიჭი

ალესანდრო დელ პიერო, კარიერის დასაწყისში ინტუიციის ფეხბურთელი, არასტაბილური, საკმაოდ სუსტი. მან მოკლე დროში შეძლო სხვა ფორმების მიღება და ამის წყალობით საუკეთესოთა შორის დაიწყო გზის გაკვლევა. მისი მხრები ორჯერ გაიზარდა, მაგრამ არ დაუკარგავს მოქნილობა, თვითდაჯერებულობა შეიძინა და შესძლო თავისი ნიჭის განვითარება. "იუვენტუსში" მან დასაყრდენი და წარმატებისკენ მიმავალი გზა იპოვნა. "იუვეში" დელ პიეროს ახალი ამპლუა განუსაზღვრეს: ნახევარმცველიდან თავდამსხმელად გადაიქცა, თანაც შეინარჩუნა თამაშში ერთ-ერთი მთავარი როლი და შედეგიანობასაც უმატა.

შექმნა და შედეგიანობა - მისი მთავარი ღირსებებია. როცა ის კარიდან 25 მეტრის მოშორებით ბურთთან კონტაქტში შედის, მისი ფეხბურთი არაპროგნოზირებადია, გადაწყვეტილებები კი, მომაკვდინებელი. დელ პიეროს ძალიან კარგი დარტყმა აქვს: მოძრაობაშიც და სტანდარტული მდგომარეობების დროს, მაგრამ ყველაზე საოცარია მისი ბურთზე ბატონობის უნარი, რომლითაც ის მოედანზე ყველაზე ცხელ წერტილებში ჩნდება. იქ, სადაც ფეხბურთელთა 99 პროცენტი "იწვება", ის სიმშვიდეს ინარჩუნებს, ახერხებს თავის აწევას, მოულოდნელი პასის გაკეთებას ან ზუსტი დარტყმის შესრულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილება ყველაზე სწორი და გამართლებულია.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, შვედეთის ნაკრებთან მატჩში, **დინო ძოფი** მისგან მეტ აგრესიულობას ითხოვდა. ყოფილმა მეკარემ ვერ გაითავისა, რომ აგრესიულობა არ ნიშნავს უაზრო ნაქცევებს, უკვე გადასული ბურთისთვის გიჟივით სირბილს ან მეტოქისთვის სადაც მოგიხვდება, იქ ფეხის მირტყმას (ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა). ნიჭი სულ სხვა რამ არის. დელ პიერომ კუთხური ჩააწოდა, რასაც **დი ბაიჯოს** გოლი მოჰყვა. შემდეგ კი, მთელს თამაშში ერთადერთი ღირსეული გადაცემა მიიღო. რადგან ეს იყო დელ პიერო, ჩვენ იქამდე ვიცოდით, რომ ყველაფერი გოლით დასრულდებოდა, სანამ ეს გოლი შედგებოდა. და მოლოდინით გავინაბეთ. მან მიზანი დაინახა და აჩქარდა. მცველმა სივრცე "შეჭამა", მაგრამ ეს არ იყო სირბილში შეჯიბრება. საჯარიმოს ხაზთან, იტალიელმა ბურთი მარჯვნიდან მარცხენა ფეხზე გადაიტანა და ერთი მოძრაობით დაიბრუნა უპირატესობა, რომელიც სისწრაფეში შეჯიბრისას დაკარგა (თუ ტექნიკა სრულყოფილია, ის დროის ეკონომიის საშუალებას იძლევა). ყველაფერი მარცხენათი დარტყმით დასრულდა, ზუსტი, ძლიერი და მეკარისთვის უხერხული სიმაღლით.

### ფასი და ღირებულება

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საგიჟეთში, სადაც კარგმა თამაშმა შეიძლება სათადარიგოდ გაქციოს, ცუდმა - ძირითადში დაგამკვიდროს. დელ პიერო უმძიმესი ტრავმის შემდეგ დაბრუნდა და შორს იყო ოპტიმალური ფორმისგან. ის არა მეტოქეებს, არამედ ბურთს ებრძოდა. მთელი სეზონის განმავლობაში "იუვე" ითმენდა მის შეუცვლელობას. მეორე წრეში (მხოლოდ ერთი გოლი თამაშიდან) ის ყველაზე უარესი იყო მეორე ფორვარდის ამპლუაში როგორც ჩემპიონატში, ასევე გუნდში, რომელმაც ჩემპიონის ტიტული ბოლო ტურში დაკარგა.

ერთადერთი, რაც მაშინ დელ პიეროს ძირითად შემადგენლობაში ყოფნას ამართლებდა - მისი ღირებულება იყო. ნუ გაგიკვირდებათ, ბაზარს თავისი კანონები აქვს, უკვე დაწერილიც კი: იაპონელი **ნაკატას** კონტრაქტი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ფეხბურთელი "რომას" მატჩების 60 პროცენტში ძირითადში მოხვდებოდა (სხვა რაღა რჩებოდა მწვრთნელს?!).

მხოლოდ ასეთ ძვირფას ტალანტს აქვს მსგავსი გარანტია და ისიც მხოლოდ საკუთარ გუნდში. ნაკრებში არანაირი პრივილეგიები არ ვრცელდება და შენ არსებობისთვის ბრძოლა და უფერულობასთან დაპირისპირება გიწევს. აი ამიტომაც, როცა სკუადრა აძურა თამაშობს, ჩვენ ხშირად ვხედავთ დელ პიეროს სათადარიგოთა სკამზე. ის იქ ფარაონივით ზის, ოღონდ სახე აქვს ნაღვლიანი და სკეპტიკური.

გაგრძელება იქნება





შტეფან ბაინლიხმა ტრავმა მიიღო და იძულებულია, კარიერა ნაადრევად დაასრულოს

ჰანზა

# ბაინლიხის უიღბლო დასასრული

## 36 წლის გამთამაშებელი მოედანზე ალბათ ველარ დაბრუნდება

ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი **შტეფან ბაინლიხი** მოედანს ალბათ, ველარასოდეს დაუბრუნდება. როსტოკის "ჰანზას" 36 წლის ნახევარმცველმა გასულ შაბათს, გერმანიის ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრაში (დუისბურგთან 1:1) სერიოზული ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა. ბაინლიხს ოპერაცია გუშინ გაუკეთეს.

*"ექიმები მეუბნებიან, რომ დაახლოებით ერთთვიანი იძულებითი პაუზა მექნება. მინიმუმ ორი კვირა ფორმის აღდგენას დასჭირდება. ისე, მეგონა, რომ ტრავმა გაცილებით სერიოზული იქნებოდა, მაგრამ ჩემს ასაკში თვენახევრიანი იძულებითი პაუზაც ძალიან დიდია. ეჭვი მეპარება, რომ მოედანზე დაბრუნება შევძლო, უფრო სწორად, ამას არანაირი აზრი აღარ ექნება,"* – აცხადებს ბაინლიხი. ტრავმამდე ის "დუისბურგთან" ძალიან კარგად თამაშობდა და საგოლე პასიც მიითვალა, რაც მიმდინარე სეზონში მისთვის მეორე შედეგიანი პასია. ამ სეზონში შტეფანი როსტოკულ კლუბს მხოლოდ 9 შეხვედრაში დაეხმარა, რადგან მუდმივად მცირე ტრავმები აწუხებდა (ორი პასი, "კიკერის" საშუალო შეფასება 4.36). და ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ცხრა თამაშიდან "ჰანზამ" ვერცერთი მოიგო (0-3-6).

შტეფან ბაინლიხს ბუნდესლიგაში სულ 288 თამაში აქვს ჩატარებული და შანსი იმისა, რომ ეს რიცხვი შეიცვალოს, ძალიან მცირეა. ვეტერან გამთამაშებელს როსტოკულ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება. "ჰანზას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჰორსტ კლინკმანმა მას უკვე შესთავაზა სამსახური კლუბში. ბაინლიხს სახელი "ჰანზაში" თამაშით არ გაუთქვამს, მანამდე ის "ლევერკუზენის", "ჰერტასა" და "ჰამბურგის" ღირსებას იცავდა და ბუნდესლიგაში 288 თამაშში 56 გოლს მოუყარა თავი.

მერხზე

# მათეუსი ვერდერში, შააფთან!

## ლოთარმა სწავლა დაიწყო, პრაქტიკას კი ბრემენში გაივლის



ლოთარ მათეუსი

**ლოთარ მათეუსს** ძალიან უნდოდა "ბაიერნში" მუშაობა, მაგრამ მიუნხენური კლუბის ბოსებმა მთავარ მწვრთნელად მისი მოსისხლე მტერი **იურგენ კლინსმანი** აირჩიეს. მოკლედ, "ბაიერნი" არ გამოუვიდა, სამაგიეროდ გამოუვიდა "ვერდერი" – თუმცაღა, არა მთავარი მწვრთნელის, არამედ პრაქტიკანტის რანგში და ისიც მხოლოდ ერთი კვირით.

გუშინ, მიუნხენის უბან ობერჰახინგში მდებარე სპორტულ სკოლაში გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი სამწვრთნელო ლიცენზიის ასაღებად სწავლას შეუდგა. როგორც იცით, სპეციალურად მათეუსისთვის სწავლის კურსი მოკლე, სამთვიანი იქნება. ამ სამი თვის განმავლობაში ლოთარს 300 ლექციას წაუკითხავენ, რის შემდეგაც, მაისის ბოლოს ის მწვრთნელის ლიცენზიას მიიღებს. აქტიურ სპორტულ კარიერაში უაღრესად წარმატებულ მათეუსს ძალიან უნდა, რომ სამწვრთნელო კარიერაც წარმატებული ჰქონდეს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აქამდე ეს არ გამოსდიოდა – მიუხედავად იმისა, რომ არაერთ გუნდში სცადა ბედი. თუმცა ახლა ყველაფერს გაცილებით სერიოზულად მიუდგა და როგორც ხედავთ, "ვერდერში" პრაქტიკაც გაჩარხა.

პრაქტიკა სწავლის უმთავრესი ნაწილია, მათეუსის ბრემენულ კლუბში მივლინება კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის მთავარი ლექტორის, **ერიხ რუტემიოლერის** იდეა გახლდათ, რომელმაც "ვერდერს" მათეუსი ორი კვირის წინათ შესთავაზა. *"დარწმუნებული ვარ, რომ ამ ერთ კვირაში უდიდეს გამოცდილებას მივიღებ,"* – აცხადებს ლოთარი.

"ვერდერი" და მათეუსი – რამდენად უხდებიან ისინი ერთმანეთს? *"ჩვენ წინასწარ მოვილაპარაკებთ, რა და როგორ იქნება. ეს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკაა – არც მეტი, არც ნაკლები. ეს არის შემთხვევა, როცა პირადი ინტერესები უკანა პლანზეა გადაწეული. ვფიქრობ, ლოთარისთვის ამის ახსნა საჭირო არც არის,"* – ეს "ვერდერის" სპორტული დირექტორის, **კლაუს ალოფსის** სიტყვებია. და რაც მთავარია, "მუსიკოსების" მთავარი მწვრთნელი **თომას შააფიც** ფიქრობს, რომ ერთი კვირით მასთან ლოთარის მიმაგრება პრობლემას არ წარმოადგენს. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს - **იურიცა ვრანიეში**: *"მშვენიერი იდეა, მათეუსი შააფისგან ბევრს ისწავლის."*

ჰო, თორემ სადაც მივიდა და იმუშავა, ლოთარმა შედეგი ვერსად აჩვენა...

მძლეოსნობა. ინტერვიუ მარიამ ქევხიშვილთან

# ამოცანა ფინალში გასვლაა

ახლახან, მარიამ ქევხიშვილმა ქართველ მძლეოსანთაგან პირველმა მოიპოვა პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზური. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოვარჯიშე ყარამან საბანაშვილის შეგირდმა, აიოვის შტატში გამართულ ტურნირზე, ბირთვი 17,44 მეტრზე გადააგდო და პეკინის ლიცენზია გაინაღდა (ოლიმპიური ნორმატივი 17,20 მეტრია).

მარიამს ამერიკაში შევეხმიანეთ, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ ზედიზედ მეორე ოლიმპიურ თამაშებზე წარდგება და მომავალს იმედიანი თვალით უყურებს.

- ოლიმპიური ნორმატივი რომ შევასრულე, ძალიან ბედნიერ ადამიანად ვიგრძენი თავი. შარშან, ამერიკაში ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, ოპტიმალურ ფორმაში შესვლა ვერ მოვასწარი და შესაბამისად, ნორმატივის შესრულება გამიჭირდა. წლეულს კი საუკეთესო ფორმას მივუახლოვდი და შეჯიბრების წინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ პეკინის ოლიმპიადის საგზურს აუცილებლად მოვიპოვებდი.



მარიამ ქევხიშვილი

**- 17,44 მეტრი ამჟამად შენი მაქსიმუმია თუ ოლიმპიადამდე გააუმჯობესებ შედეგს?**

- აუცილებლად უნდა გავაუმჯობესო. საერთოდ, ზამთარში მუდამ შედარებით მოკრძალებული შედეგები ფიქსირდება ხოლმე, რადგან ამ დროს სხეული და კუნთები შეკუმშულია. ამდენად, წესითა და რიგით, საზაფხულოდ უფრო შორს უნდა ვტორცნო ბირთვი. ახლახან, შტატების პირველობაზე გამოვედი, სადაც მეორე ადგილი დავიკავე და ოლიმპიური ნორმატივი კიდევ ერთხელ შევასრულე. ეს იმას ნიშნავს, რომ სტაბილურობას მივაღწიე. ახლა კი წინსვლაზე უნდა ვიფიქრო.

**- უკვე მეორე ოლიმპიურ თამაშებზე გამოხვალ. წინა ოლიმპიადამ რა შეგძინა?**

- უპირველე ყოვლისა, რაღა თქმა უნდა გამოცდილება. ათენში 18 წლის დებიუტანტი ვიყავი, მაშინ ჩემთვის ოლიმპიური თამაშები რაღაც დაუჯერებელი ზღაპარივით იყო და იმ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა მიჭირს. მოკლედ, წინა ოლიმპიადაზე ვნახე, საკუთარ თავზე გამოვცადე და ვიცი ის, რაც პეკინში მიმავალი უამრავი დებიუტანტისთვის ჯერაც უცხო ხილია. შევეცდები, ეს გამოცდილება გამოვიყენო და უკეთესი შედეგი ვაჩვენო.

**- უკეთესი შედეგი ალბათ ფინალში გასულ 12 ბირთვის მკვრელს შორის მოხვედრა იქნება...**

- რა თქმა უნდა. ჩემი მთავარი ამოცანა სწორედ ფინალში გასვლა იქნება და ვიმედოვნებ, ღვთის ნებით, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

**- ოლიმპიადამდე ამერიკაში მოემზადები?**

- აქ ვცხოვრობ, ვსწავლობ და ვვარჯიშობ. თანაც საკმაოდ კარგი პირობები მაქვს და უამრავი სერიოზული შეჯიბრება იმართება. შესაბამისად, გარემოს გამოცვლა და სხვაგან მომზადება არ მიღირს. საქართველოში ყოველდღიური კონტაქტი მაქვს ეროვნული ნაკრების თავკაც ყარამან საბანაშვილთან, რომელიც საჭირო რჩევა-დარიგებას მაძლევს.

**- ახლახან, დაოჯახდი. ეს ხელს ხომ არ შეგიშლის სპორტულ კარიერაში?**

- ჩემი მეუღლე დათო მაჭავარიანი თვითონაც სპორტსმენია - ძალისმიერ სამჭიდში ვარჯიშობს და კარგად იცის, რას ნიშნავს სპორტსმენის ცხოვრება. ვაღიარებ, რომ ჩემნაირი ადამიანის მეუღლეობა რთულია (იცინის) - აქეთ სწავლა, იქით ვარჯიშები თუ შეჯიბრებები და ფაქტობრივად, მთელი დღე გასული ვარ სახლიდან. მიუხედავად ამისა, დათო ყველანაირად მიგებს და ხელს მიწყობს. თანაც, ამერიკაში მეუღლის გარდა არავინ მყავს და ის არის ჩემთვის ქმარიც, მშობელიც და მეგობარიც...

**კობა ხატისაშვილი**

ტანვარჯიში. ინტერვიუ ილია გიორგაძესთან

# გედის სიმღერა პეკინსა თუ ლონდონში?



ილია გიორგაძე

**შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენმა უპირველესმა ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძემ ოლიმპიური ლიცენზია მიოპოვა, რითაც ერთგვარი უნიკალური შედეგის მფლობელი გახდა. ილია ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოცდილი სპორტსმენი იქნება პეკინში საქართველოს ოლიმპიურ გუნდში - იგი ზედიზედ მეოთხე ოლიმპიადაზე გამოვა. ამჟამად, გიორგაძე მოსკოვშია და იქ გადის ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებელ ეტაპს.**

- აქტიურად ვვარჯიშობ და ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩემთვის მეოთხე ოლიმპიადას მაქსიმალურად კარგ ფორმაში შევხვდე. ამჟამად, ოპტიმალურ კონდენციებში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ეხლა ეს არც მჭირდება. მოსამზადებელი ეტაპი ისე მაქვს დაგეგმილი, რომ ფორმის პიკზე პეკინში უნდა ვიყო.

**- როგორ ფიქრობ, შეგნევს იმის ძალა, რომ მეოთხე ოლიმპიადაზე მაინც შეწვდე მედალს?**

- წინა ოლიმპიურ თამაშებზე ფატალურად არ მიმართლებდა - მუდამ ცოტა მაკლდებოდა მედლამდე და ახლა რომ ვიხსენებ წინა თამაშებს, ძალიან მტკივა ხოლმე გული. ამდენი იმედგაცრუების შემდეგ, ახლა წინასწარ ლაპარაკი ნამდვილად მიჭირს. შევეცდები, ამ წლებში დაგროვილი დიდი გამოცდილება მაქსიმალურად გამოვიყენო და ფინალში აუცილებლად მოვხვდე, ფინალში კი ყველაფერი ხდება ხოლმე...

**- უკვე 30 წლის ხარ. პეკინი შენი ბოლო ოლიმპიადა იქნება თუ ლონდონისკენაც გიჭირავს თვალი?**

- უპირველეს ყოვლისა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა შედეგს ვაჩვენებ პეკინში. ამასთან, გასათვალისწინებელი იქნება ისიც, როგორ ფორმაში ვიქნები ნაოლიმპიადევს და ამის შემდეგ მივიღებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ისე, ნამდვილად მაქვს ნაფიქრი იმის თაობაზე, თუ რა გზას გავყვები კარიერის დამთავრების შემდეგ. აუცილებლად დავრჩები ტანვარჯიშში და მწვრთნელობას დავიწყებ.

**კობა ხატისაშვილი**

სუმო

მარტის ბაშო

# ქართული დღე ოსაკაში



ასაშორიუს გამარჯვება

ოსაკას ბაშოს მესამე დღეს სამივე ქართველმა სუმოისტმა გაიმარჯვა, აქედან ორი ტურნირზე ჯერაც დაუმარცხებელია. **კოკაი (ლევან ცაგურია)** ელიტურ დივიზიონში ყველაზე მაღალი რანგის რიკიშია ორი დიდი ჩემპიონის შემდეგ, ვისაც სამი გამარჯვება აქვს ტურნირზე, ძურიოს ჩემპიონი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** კი ძალდაუტანებლად უსწორდება მეტოქეებს.

მესამე დღეს კოკაის მეტოქე ელიტის ყველაზე დაბალი რიკიში, ყოფილი კომუსუბი **ტოიონოშიმა** იყო. პატარა გოლიათმა დაჯახების შემდეგ შეძლო კოკაისთვის ორივე ხელის შემოჭდომა, მაგრამ ქართველმა ერთი მოძრაობით ჩამოიცილა მეტოქე, შემდეგ იაპონელმა კიდევ სცადა შეტევა და აქ უკვე შეცდა, კოკაიმ მარცხენა ხელით მეტოქის ზურგი დაიკავა და სუკუინაგეს ილეთი მეტად ეფექტურად შეასრულა. 3-0 ბალანსი ჩვენებურის გარდა რვა რიკიშის აქვს, მათ შორის ორ დიდ ჩემპიონს, **ასაშორიუს** და **ჰაკუჰოს**. დღეს კოკაი 34 წლის ექსოძეკის **დეჯიმას** შეხვდება, რომელსაც ჯერ მოგება არ აქვს ოსაკას ბაშოზე.

გუშინ ძურიოს მეოთხე ნომერმა ტოჩინოშინმა იორიკირით მონღოლი **ჰაკუბა** დაამარცხა. ძურიოს დივიზიონში მხოლოდ სამი რიკიშია დაუმარცხებელი, ლევან გორგაძე, **ჩიოჰაკუჰო** და **კიმურაიამა**. დღეს ქართველის მეტოქე მეორე ძურიო **კორიუ** იქნება.

მაკუშიტას დივიზიონში პირველი გამარჯვება იზეიმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელმაც ოშიდაშით **დაიმანაზურუ** დაამარცხა. გაგამარუს ნულოვანი ბალანსი აქვს – 1-1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)

**9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)**

**მაკუუჩი**

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ტოიონოშიმა 1:0 (სუკუინაგე), ჰაკუჰო-კაკურიუ 1:0, ასაშორიუ-ამინიშიკი 1:0, კისენოსატო-ჩიოტაიკაი 1:0, კაიო-ტაკეკაძე 1:0, კოტოოშუ-მიაბიამა 1:0, ასასეკირიუ-კოტომიცუკი 1:0, ვაკანოჰო-ამა 1:0, კიოკუტენჰო-კოტოშოგიკუ 1:0, ვაკანოსატო-ტოკიტენკუ 1:0, ჰოკუტორიკი-როჰო 1:0, ბარუტო-დეჯიმა 1:0, კასუგაო-გოეიდო 1:0, ტაკამისაკარი-ფუტენო 1:0.

მდგომარეობა. 3-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოკაი (მაეგაშირა 5), ჰოკუტორიკი (მ 7), კასუგაო (მ 9), ტაკამისაკარი (მ 11), ტოჩიოძანი (მ 12), ჰომაშო (მ 13), ოცუკასა (მ 16).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-დეჯიმა, ასაშორიუ-მიაბიამა, ჰაკუჰო-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-ჩიოტაიკაი, კოტოოშუ-კაკურიუ, კოტომიცუკი-ტოიონოშიმა, კაიო-კისენოსატო, ამა-ტაკეკაძე, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ, კიოკუტენჰო-ვაკანოსატო, როჰო-ვაკანოჰო, ჰოკუტორიკი-გოეიდო, ბარუტოივაკიამა, კასუგაო-ფუტენო.

**ძურიო**

მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-ჰაკუბა 1:0 (იორიკირი), ჰოშიჰიკარი-ჰაკუროძანი 1:0, კორიუ-კოტოკასუგა 1:0, ტამანოშიმა-კიტაძაკურა 1:0, ჩიოჰაკუჰო-მოკონამი 1:0.

მდგომარეობა: 3-0: ტოჩინოშინი (ძურიო 4), ჩიოჰაკუჰო (ძ 6), კიმურაიამა (ძ 14).

IV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-კორიუ, ტოსანოუმი-კოტოკასუგა, ჰაკუროძანი-ტამანოშიმა, ჩიოჰაკუჰო-ჰაკუბა, კიტაძაკურა-ჰოჩიამა.

ხელბურთი

# ლიუბეკემ ამოყვინთა



სერგო დათუკაშვილის "ლიუბეკემ" ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა. ქართველი ხელბურთელის მაჩანჩალა ბუნდესლიგურმა კლუბმა მეთორმეტეადგილოსან "მელზუნგენს" 38:33 მოუგო და ფსკერიდან ამოყვინთა. "ლიუბეკემ" მე-15 ადგილამდე აინაცვლა 18-გუნდიან ლიგაში და გასავარდნ ზონას დასცილდა. რაც შეეხება ბომბარდირთა დავას, დათუკაშვილს 24 მატჩში 122 გოლი აქვს გატანილი და მე-17 ადგილზეა.

ლეგიონერები

# მეტალურგების მორიგი სიურპრიზი

**რეზო ჭანტურიას**

"მეტალურგმა" მორიგი სიურპრიზი შესთავაზა საკუთარ გულშემატკივარს. მაკედონიურმა კლუბმა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში, სლოვენიის "კოპერს" უმასპინძლა და 27:24 იმარჯვა.

ქართველმა გარემარბმა 6-ჯერ დაარტყა სლოვენიელთა კარისკენ და 5 გოლი შეაგდო. "მეტალურგები" განმეორებით მატჩს კოპერში შაბათს გამართავენ და თუკი 3 ბურთზე მეტით არ წააგებენ, კიდევ ერთ სენსაციას მოახდენენ და ნახევარფინალში გავლენ.



საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# მელია თუ ძაგნიძე?

მეთერთმეტე ტური: **მაია ლომინეიშვილი-ნანა ძაგნიძე 0:1; სოფიკო გურამიშვილი-ნინო ბაციაშვილი 0,5:0,5; ბელა ხოტენაშვილი-ქეთი ნანალაშვილი 1:0; ინგა ხურცილავა-სოფიო ნიკოლაძე 0,5:0,5; სოფიკო ხუხაშვილი-სალომე მელია 0,5:0,5; სოფიკო ტერლაძე-ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5.**

სატურნირო მდგომარეობა: **1-2. სალომე მელია, ნანა ძაგნიძე - 8; 3. სოფიკო ხუხაშვილი - 7; 4. ინგა ჭარხალაშვილი** (12 პარტიიდან)- 6; 5-8. **სოფიკო გურამიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო ტერელაძე, მაია ლომინეიშვილი - 5,5; 9. ქეთი ნანალაშვილი - 5; 10-11. ინგა ხურცილავა, ნინო ხურციძე - 4,5; 12. სოფიკო ნიკოლაძე - 4; 13. ნინო ბაციაშვილი - 3.**

ბოლო ტურში: **ხურციძე-ლომინეიშვილი, მელია-ტერელაძე, ნიკოლაძე-ხუხაშვილი, ნანალაშვილი-ხურცილავა, ბაციაშვილი-ხოტენაშვილი, ძაგნიძე-გურამიშვილი.**

საქართველოს 65-ე ჩემპიონატი დღეს დასრულდება, თუმც არის შანსი, რომ ერთი დღით გაგრძელდეს - თუ სამეულში თანაბარ ქულებს დააგროვებს ვინმე, მათთვის დამატებითი ორი 25 წუთიანი პარტია დაინიშნება, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. თუკი დამატებულმა პარტიებმაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ ხუთწუთიანი ბლიცები, 10 წამის დამატებით, გათამაშდება. თუ აქაც თანაფარდობა აღინიშნა, მაშინ მატჩის ბედი ერთ პარტიაში, ეგრეთ წოდებულ, "არმაგედონში" გადაწყდება, სადაც თეთრებს 6 წუთი მიეცემათ, შავებს - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე გამოცხადდება. დამატებითი პარტიები კი მომდევნო დღეს უნდა გათამაშდეს.

პირველი სამეულის გამოვლენა იმიტომ დადგინდა ასეთი წესით, რომ ამ ადგილებზე ფსონი ძალიან მაღალია: გარდა სოლიდური საპრიზო ფონდისა , ევროპის პირად პირველობაზე ფედერაციის მიერ სრულად დაფინანსდებიან. ფულადი ჯილდო - 1500 ლარი მეოთხე ადგილოსანსაც მიეცემა, თუმც აქ ქულათა თანაბრობის შემთხვევაში პირველ რიგში ბერგერის სისტემა დაითვლება...

დღეს ბოლო ტური კია, მაგრამ **ინგა ჭარხალაშვილმა** ჩემპიონატი გუშინ დაასრულა. მიზეზი ყველსათვის ცნობილია: **სოფიო გვეტაძის** ტურნირიდან გამოთიშვამ მოიტანა ასეთი ვითარება... ინგამ შავებით **სოფიკო ტერელაძესთან** ქულა გაიყო და 6 ქულით დაასრულა ჩემპიონატი. გუშინ დაისვენა **ნინო ხურციძემ**, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატზე ძალიან ცუდი შედეგი აქვს: 11 შესაძლებლიდან მხოლოდ 4,5 ქულა მოაგროვა. ნინო ბოლო ტურში თეთრებით **მაია ლომინეიშვილს** ხვდება, რომელიც თავის მხრივ ვერ თამაშობს კარგად და 5,5 ქულით მხოლოდ მეოთხე ადგილის დაკავების შანსიღა დაურჩა.

ლომინეიშვილის მეტოქე გუშინ **ნანა ძაგნიძე** იყო. თეთრებით ლომინეიშვილი უტევდა და დებიუტში უკეთესი პოზიციაც მიიღო, ინიციატივისთვის პაიკი შესწირა. შეტევა სოლიდური ჩანდა, მაგრამ ძაგნიძემ კბილებით დაიცვა საკუთარი მეფე; მაიამაც ენდშპილში არაზუსტად ითამაშა, საჭირო ტემპები დაკარგა და ბოლოს ტაქტიკური შეცდომით დაასრულა უსიამოვნო სერია - ეტლი და მხედარი დაკარგა, რაც მარცხის ტოლფასი იყო და გააჩერა კიდეც საათი.

ძაგნიძემ მ გამარჯვებით 8 ქულა და-


სოფიკო გურამიშვილი

აგროვა და **სალომე მელიას** დაეწია. მელიამ და **სოფიკო ხუხაშვილმა** გუშინ ხელი ხელზე უბრძოლველად დაჰკრეს და ყაიმი გააფორმეს. ამით შავებით მოთამაშე მელიამაც წინ წაიგდო საქმე და ხუხაშვილმაც გაინაღდა მესამე ადგილი - 7 ქულა აქვს და ველარავინ დაეწევა, მაგარამ რისკი კი გასწია - ლომინეიშვილს რომ მოეგო ძაგნიძისთვის, ბოლო ტურში გარანტია ველარაფრის ექნებოდა... ორმხრივი ინტერესები გასაგებია, მაგრამ ამ სენს წინასწარ შეთანხმებულ ყაიმებს საჭადრაკო სამყარო თავიდან მაინც ვერ იცილებს, - დამსჯელი არც კაცი ჩანს ვინმე და არც წესი; ამიტომ წლიდან წლამდე როგორც უნდათ ისე ჭრიან და კერავენ. საინტერესოა, ჩემპიონატი რომ დიდ დარბაზში ყოფილიყო და რამდენიმე ასეული მაყურებელი ჰყოლოდა, გაუძლებდნენ თუ არა გულშემატკივართა რისხვას მოჭადრაკეები? ესენი ხომ ტურნირის ლიდერები იყვნენ და მათი დაპირისპირება, წმინდა სპორტული მხარე მაყურებელთა უმთავრესი სანახაობა უნდა გამხდარიყო?! სამწუხაროა, მაგრამ დღევანდელ ჭადრაკში გულშემატკივარს და მაყურებელს ანგარიშს არავინ უწევს, უფრო მკვეთრად რომ არ ვთქვათ...

ბოლოსწინა ტურში კიდევ სამი ყაიმი დაფიქსირდა, მაგრამ სამივეში ბრძოლა იყო: **სოფიკო გურამიშვილმა ნინო ბაციაშვილთან** გაიყო ქულა, **ინგა ხურცილავა სოფიო ნიკოლაძესთან** დაზავდა და **სოფიკო ტერელაძემ** და **ინგა ჭარხალაშვილმა** მოაწერეს ზავს ხელი. ამ შეხვედრაზე ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ არ გვითქვამს, რომ ტერელაძეს უპირატესობა ჰქონდა და უნდა მოეგო. მისდა სამწუხაროდ, მთლად ზუსტად ვერ ითამაშა, სტრატეგიულად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო - ლაზიერი გაცვალა და ზედმეტი პაიკით ეტლების ენდშპილში გადაიყვანა პარტია.

**ბელა ხოტენაშვილისა** და **ქეთი ნანალაშვილის** შეხვედრაში კი გამარჯვებული ხოტენაშვილი გამოვიდა. ქეთი საკმაოდ დახურულ, მაგრამ ოდნავ უარეს პოზიციაში დიდხანს იცავდა თავს, მაგრამ ბელამ შეძლო უპირატესობის რეალიზება და მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი გაიჩინა. ამისათვის მან დღეს შავებით უნდა მოუგოს აუტსაიდერ **ნინო ბაციაშვილს**; კონკურენტებმა კი ვერ იმარჯვონ. სცენარის ბელას სასარგებლოდ გათამაშება სავსებით რეალურია: 5,5 ქულიანი კიდევ სამია: სოფიკო გურამიშვილი, სოფიკო ტერელაძე და მაია ლომინეიშვილი.

ამათგან ყველას ძლიერი მეტოქეები ჰყავს - გურამიშვილი შავებით ხვდება ძაგნიძეს, ტერელაძე ასევე შავებით სალომე მელიას შეერკინება და შავებითვე მოუწევს მოსაგები გზების ძიება ლომინეიშვილს. თუკი თანაბარი ქულები რამდენიმემ დააგროვა, აქ კოეფიციენტი ბერგერის სისტემით დაითვლება, რომლის სპეციფიკა ისეთია, რომ ბოლო წუთამდე ზუსტად ვერაფერს გაარკვევ - ყოველ წუთს და შედეგზე იცვლება მონაცემები... ამ კვარტეტთან ერთად მეოთხე ადგილის დაკავების შანსი ჭარხალაშვილსაც აქვს, მან ექვსი ქულით დაასრულა ჩემპიონატი და მართალია ოთხივეს შეუძლია გადაასწროს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ვერცერთმა ვერ მოახერხოს ქულის მოპოვება; ყაიმის შემთხვევაში კი კვლავ ბერგერის რთული სისტემა ჩაერთვება საქმეში.

**ზვიად შათირიშვილი**



# ქართველები ეგვიპტესა და ისრაელში

ეროვნული ბიბლიოთეკა


ოქსანა კალაშნიკოვა

17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** ჯერჯერობით ურეიტინგო ჩოგბურთელია, ის ისრაელში რამათ-ჰაშარონის ტურნირის (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში მოულოდნელად მოხვდა, თუმცა ქართველმა ბადის დაძლევა შეძლო. სამივე საკვალიფიკაციო წრეში ოქრუაშვილმა მასპინძელი დაამარცხა, მან ჯერ **ნატალი ჰანდლერს** მოუგო – 6:2, 6:2, შემდეგ კი – **ამით ბერკოვიჩს** – 6:0, 6:1. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში მაგდას მეტოქე **დორონ მურავნიკი** იყო, აქ ქართველს ცოტა გაუჭირდა, თუმცა ძირითად ბადეში გაღწევა მან მაინც შეძლო – 6:3, 7:6. ძირითად ბადეში მაგდა ოქრუაშვილმა სლოვაკ **ლენკა იურკოვას** დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ სამ სეტში დამარცხდა – 3:6, 6:3, 4:6. წყვილთა თანრიგში მაგდამ ებრაელ **მიშალ იოგეევთან** ერთად ძირითად ბადეში გააღწია, თუმცა იქ ამერიკულ წყვილთან (**გერშონი, ჰარტმანი**) დამარცხდა – 6:1, 3:6, 7:10.

ქაიროში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა: **ანა ჯიქია**, რომელსაც ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი" მისცეს და **თეონა ცერცვაძე**. სამწუხაროდ, ორივე ჩვენებური დამარცხდა. ანა ჯიქიამ ვერაფერი დაუპირისპირა რუს **ელენა ჩალოვას** (746) – 0:6, 1:6. თეონა ცერცვაძე პოლონელ **კლაუდია გავლიკთან** დამარცხდა – 6:4, 3:6, 4:6. ქაიროს ტურნირში კიდევ ორი ქართველი დარჩა, ძირითად ბადეში **მანანა შაფაქიძე** მეექვსე ნომრად განთესეს, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** – მერვედ. შაფაქიძე „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **მაგი აზიზს** შეხვდება პირველ წრეში, ხოლო კალაშნიკოვა რუს **გალინა ფოკინას** (690) დაუპირისპირდება, რომელიც ოთხი წლის წინათ მსოფლიოს საუკეთესო ასეულში მოსახვედრად იბრძოდა. წყვილთა თანრიგში ჯიქიას გარდა ყველა ჩვენებური ძირითად ბადეშია, ყველა სხვადასხვა პარტნიორთან. მაგალითისთვის, ოქსანა კალაშნიკოვას მეწყვილე ერთეულებში მისი მეტოქე ფოკინაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი. 15 მარტი. რუსეთი-რუმინეთი

# ფავორიტი რუსეთი იქნება

საქართველოს ნაკრების უმთავრესი კონკურენტი რუსეთის ნაკრები შაბათს, 15 მარტს, კრასნოდარში რუმინელთა ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. დარჩენილი შეხვედრებიდან რუსთა ძლევა ჩვენი ნაკრების გარდა სწორედ რუმინელებს ძალუძთ, თუმცა თუ მათ შემადგენლობას გადავხედავთ, სტუმრები ფავორიტები ნამდვილად არ არიან.

რუმინელთა ახალი მწვრთნელი ზელანდიელი **ელის მიჩენი** ძირითადად ისევ შინაურ მორაგბეებს ეყრდნობა და 25-კაციან შემადგენლობაში, რომელიც სარუსეთოდ ემზადება, მხოლოდ ორი ლეგიონერია - პირველხაზელი **იონ პაულიცა** და მეორეხაზელი **ქრისტიან პეტრე**.

**რუმინეთის ნაკრები:**

პირველი ხაზი: ნიკოლაე ნერე, რადუ ბასალაუ, იონ პაულიცა, მიჰატა ლაზარი, ბოგდან ზებეგა, მარჩელ მიჰალაკე.

მეორე ხაზი: ვალენტინ ურსაკე, ალინ კოსტე, ქრისტიან პეტრე.

მესამე ხაზი: ვასილე რუსი, კოსტიცა მერსოიუ, დანიელ კარპო, მიჰაი მაკოვეი.

9: იულიან ანდრეი, ჩიპრიან კაპლესკუ.

10: იონუც დიმოფტე, დანუც დუმბრავა.

12-13: ჩაბა გალი, რობერტ დესკალუ, დან ვლადი.

11-14: ჟორჟიტა ბიჯუ, სტეფან ჩუნტუ, კატალინ ფერკუ.

15: ფლორინ ვლაიკუ, მარინ ალექსანდრუ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 2.რუსეთი | 7 | 6 | 0 | 1 | +121 | 12 |
| 3.რუმინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | +68 | 10 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |

**22 მარტი**
რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**
ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**
რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**
ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**
საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**
ესპანეთი-პორტუგალია

# რატი ურუშაძე ენისეიში ბრუნდება



რატი ურუშაძე

საქართველოს ნაკრების ფლანკერი **რატი ურუშაძე** რუსეთში ბრუნდება. მან საფრანგეთის ფედერალ 1-ში მოასპარეზე "ლონსი" დატოვა და კარიერას კრასნოიარსკის "ენისეიში" გააგრძელებს. ციმბირული კლუბი ამჟამად ანთალიაში იმყოფება შეკრებაზე. იქედან კი რუმინეთში გადაბარგდება სადაც ორ შეხვედრას გამართავს. 23 მარტს "ენისეი" **ბიძინა სამხარაძის, ირაკლი ნატრიაშვილის, კახა უჩავას, დავით ხოსიტაშვილისა და ლაშა თავართქილაძის** "ფარულს" დაუპირისპირდება, 27 მარტს კი რუმინეთის ოცწლამდელთა ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

ლეგიონერები

# პირველი წრე დასრულდა

**საფრანგეთის ჩემპიონატში მორიგი ტურის შეხვედრები მხოლოდ ელიტურ, პირველ დივიზიონში გაიმართა. პირველი წრის ბოლო ტურის შედეგებმა გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის "კლერმონი" სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე მყარად დაამკვიდრა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი საბოლოოდ დაძლია აქვსენტი გიორგაძის "კასტრმა", რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატი იყო, ამჯერად კი მე-5 ადგილზეა და შანსი აქვს, საპლეიოფო ოთხეულში მოხვდეს.**

მე-13 ტურში "კლერმონმა" გასვლითი მატჩი გამართა სტუმრად **ირაკლი გიორგაძის** "დაქსთან" და 40:22 გაიმარჯვა. **ზირაქაშვილმა** თავიდან ბოლომდე ითამაშა, **შველიძე** კი დიდი ხნის შესვენების შემდეგ, მოედანზე 72-ე წუთზე გამოვიდა. ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია ირაკლი გიორგაძეს. მას ფეხის კუნთი აქვს განყვეტილი და გამორიცხული არაა, ვერც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში შეძლოს თამაში 12 აპრილს, რუსეთის წინააღმდეგ.

ირაკლის ძმის, **აქვსენტის** "კასტრმა" ამ დროს საკუთარ მოედანზე საპლეიოფო ოთხეულში მყოფი "ბიარიცი" დაამარცხა 26:19 და ამ გუნდთან ქულათა სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა. "გლობუსა" თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო.

პლეიოფში მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებს **მამუკა გიორგაძის** "მონპელიე", რომელმაც ამჯერად შინ დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძის** "ოში" 29:24. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ასევე შინ დაამარცხა "ბურგუენი" **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივმა" 29:13. საქართველოს ნაკრების პირველხაზელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. კვლავ ტრავმირებულია **ავთანდილ კოპალიანი**, ვისმა "ბაიონმაც" შინ წააგო გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ "ტულუზთან" 10:25.

**I დივიზიონი, XIII ტური. კასტრი-ბიარიცი 26:19, ბრივი-ბურგუენი 29:13, ალბი-მონტობანი 15:25, მონპელიე-ოში 29:24, დაქსი-კლერმონი 22:40, ბაიონი-ტულუზი 10:25, სტად ფრანსე-პერპინიანი 12:23.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულუზი-53 ქულა, 2. კლერმონი-47, 3. სტად ფრანსე-39, 4. ბიარიცი-36, 5. კასტრი-31, 6. მონტობანი-31, 7. მონპელიე-30, 8. პერპინიანი-30, 9. ბურგუენი-28, 10. ბაიონი-28, 11. ბრივი-26, 12. ალბი-21, 13. დაქსი-16, 14. ოში-10.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



გოდერძი შველიძე (მარჯვნივ) დაქსთან მატჩში

# დაგვიანებული თოვლი



**ჩვეულებისამებრ**, დათქმულ დროზე ცოტა ადრე მივედი და დანარჩენებს დავუწყე ლოდინი. სულ 9 ჟურნალისტი ვგროვდებით - თქვენი მონა მორჩილი, გიორგი ჭანიშვილი (სპორტის დეპარტამენტის პრესატაშე), გიორგი არაბული (ოლიმპი), ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი (სარბიელი), ოთო მაღლაკელიძე (ევროსპორტი), ზურა ქსოვრელი (რეზონანსი), კახა ფაჩუაშვილი და ფოტოგრაფი გოგიტა ბუხაიძე (24 საათი).

ოფიციალურად, კონკურენტები ვართ, მაგრამ რეალურად მეგობრები და ბაკურიანისაკენ საერთო საქმისათვის მივიჩქარით - საქართველოში ახლად ფეხადგმულ თოვლის რაგბის ფესტივალზე უნდა ვითამაშოთ პრესის ნაკრების სახელით. უმეტესობას რაგბი არასოდეს უთამაშია, თოვლის რაგბი კი რაღა თქმა უნდა, მთლად უცხო ხილია. თუმცა, ცთუნება იმდენად დიდია, რომ 2 დღით ვწყდებით სამსახურს, ოჯახებს და ოვალური ბურთის გასაგორებლად მივდივართ.

აბა ამდენ ჟურნალისტს რა ამოგვიკერავდა პირს და თბილისიდან ბაკურიანამდე ლაზღანდარაობა-ხითხითით მაქსიმალურად შევიმოკლეთ ორსაათიანი გზა. შევდივართ ბაკურიანში და ეგრევე პატარა იმედგაცრუება ჭრის თვალს - არც თოვს და ძველი თოვლიც ბოგანოს შარვალივით, ალაგ-ალაგ ამოკემსია ბაკურიანს...

მივედით ტურნირის მასპინძელ სასტუმრო "თბილისამდე". მცირე ფორმალობების შემდეგ, ორგანიზატორებმა დაგვაბინავეს, წაგვახემსეს და წილისყრაზე მიგვიწვიეს. გაგვიმართლა - ჯგუფში მოვხვდით "ბრიტიშ პეტროლიუმსა" და "ჩიფსების თაობასთან". მეორე ჯგუფი უფრო ძლიერია - "ჯომარდელები", "სპორტმედია" და "საზოგადოებრივი არხი".

წილისყრას ექვსივე გუნდის მოთამაშეები დაესწრნენ და რაგბზე მწერალი ჟურნალისტების თვალებმა უმალვე დააფიქსირეს, რომ ჩვენ გარდა ყველა გუნდს ჰყავს დამატებული მინიმუმ 1 ვეტერანი ან მოქმედი მორაგბე. *"არა უშავს, რაც არის ეგ არის, ვითამაშოთ და მივიღოთ მაქსიმალური სიამოვნება"* - ვეუბნებით ერთმანეთს და წუმპიანი გზით მივიჩქარით მოედნისაკენ, რომელიც სასტუმროდან დაახლოებით 300 მეტრშია და სანამ იქამდე მივედით, გვარიანად გვიტალახიანდება ბუცები...

ტურნირი საზეიმოდ გაიხსნა, ორგანიზატორთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, "ვერნისაჟის" გოგონებმა წაიცეკვეს და ტურნირიც დაიწყო. ჩვენი თამაში მეოთხეა და ჯერ სხვებს ვაკვირდებით. ყველა გუნდს უჭირს სასტარტო მღელვარების დაძლევა და თოვლიან მოედანთან შეგუება, რომელიც სავსეა თოვლით დაფარული ვერაგული ღრმულებით. ჩვენ ეს ჯერ არ ვიცით და ძალიან გვიკვირს, რატომ უჭირთ ასე მოთამაშეებს. თუმცა დგება ჩვენი ჯერიც და ვხვდებით, რა ადვილია სხვის ომში სიბრძნის გამოჩენა. "ბრიტიშ პეტროლიუმი" ჩვენც გვამარცხებს (3:1) და "ჩიფსების თაობასაც" აშამათებს დამატებით დროში (ლელო 1 ქულაა და ფრე არ მოსულა - ინიშნება დამატებითი დრო ოქროს ლელომდე). ამდენად, ჩვენსა და "ჩიფსები თაობას" შორის მოგებული ნახევარფინალში გადის.

რა დასამალია, და პირველ თამაშში 1 მორაგბე ჩვენც დავიმატეთ. ბაჩო გაძვრა-გამოძვრა და შეკრებაზე მყოფი ლოკომოტიველი ჭაბუკი თემური (გვარი არ ვიცი სამწუხაროდ) მოიყვანა. თუმცა მეორე მატჩის წინ, მწვრთნელმა უხმო და სავარჯიშოდ წაიყვანა. ასე შევრჩით ტურნირის ყველაზე მსუბუქი გუნდი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად მორაგბით გაძლიერებულ, ჯანიან "ჩიფსების თაობას". არადა, მარტო შონზოსაგან გამოიჭრება 3 ჩვენი მოთამაშე...

ნაღდი რაგბი სწორედ ამ შეხვედრაში შევიგრძენით.

უკან დასახევი გზა არ არსებობს, წაგება ჯგუფში გტოვებს... შედიხარ მოედანზე, გული ყელში გებჯინება და გრძნობ რაღაც საოცარი ძალის მოზღვავებას. ვერ ხარ ჯანზე, მაგრამ როცა საჭიროა, შენზე გაცილებით მძიმე მეტოქეს ბოჭავ, გასავათებული ხარ, მაგრამ შეგექმნება მომენტი და საოცარი სისწრაფით მიილტვი ლელოს დასადებად. აი შენც შეგბოჭეს, დაშავდი და ტკივილისაგან გათანგული წვები მოედანზე. პირველად დახმარებას მეტოქის მორაგბე გიწევს და ერთად ებრძვით ტკივილს. მაინც დგები, რადგან შენი მოედანზე .ყოფნა აუცილებელია, კბილების ღრჭიალით გულში იხშობ საკუთარ სატკივარს, ცხვირიდან თუ ტუჩიდან მონადენ სისხლს იწმენდ და აგრძელებ თამაშს...

და მერე ხვდები, რატომაა რაგბი რაინდული სპორტი, ხვდები რატომ არიან მორაგბეები ყველაზე ჯიგრიანი სპორტსმენები და რატომ დადო სასწორზე ლეონსიომ რუმინეთში შესაძლო დაინვალიდება...

ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და ინიშნება დამატებითი დრო. როგორმე ერთი ლელო უნდა გავიტანოთ და ყველაფერი დამთავრდება. და აი მომენტიც. არაბული მარცხენა კიდიდან მაწვდის გრძელ პასს. საპირისპირო კიდეზე ვილებ ბურთს, ჩემ წინ არავინ დგას და მიუხედავად საშინელი დაღლილობისა, უკანასკნელი ძალის მოკრებით გავრბივარ მეტოქის ლელოსკენ. თოვლი ჩიფსივით ხრაშუნობს ჩემს ფეხქვეშ, ვილაც ჩემს დაჭერას ცდილობს, მაგრამ ვუსხლტები და გავრბივარ. ხუთიოდე მეტრილა მრჩება გასარბენი და ამ დროს ვილაცა ყვირის - "წაიქცევა!". უმალვე ფეხი მივარდება თოვლით დაფარულ ღრმულში, ვიქცევი და ზემოდან 2 მეტოქე მეცემა. სული მეხუთება, მაგრამ ახლა ამის დრო არაა, თავს ვწევ და რას ვხედავ - ჭანიშვილია გახსნილი იდეალურად, სულზე მოუსწრია. ეგრევე ვაძლევ პასს და ჭანო ოქროს ლელოს დებს. მორჩა, ნახევარფინალში ვართ! წამოდგომა მინდა, მაგრამ ისე ვარ დაღლილი და დალეწილი, რომ ვერ ვდგები და თოვლში პირქვე ჩამხობილი ვღრიალებ - ცალკე ტკივილით და ცალკე სიხარულით. ბიჭები ჭკუაზე არ არიან, ვინ ვის ეხვევა ვერ გაიგებ...

ეიფორია საკმაოდ დიდხანს გრძელდება, სამახსოვრო ფოტოებს ვიღებთ და სასტუმროში ყველაზე გვიან ვბრუნდებით - დაღლილები და უაღრესად ამაყები. ყველა ერთსულოვნად ვთანხმდებით იმაზე, რომ ასეთ კამპანიაში ბოლო ადგილზე არგასვლა და ნახევარფინალში თამაში ერთგვარი გმირობაა. ჩვენ უკვე გადავახტით საკუთარ თავს და ხვალ ისღა დაგვრჩენია, რომ რაც შეიძლება ღირსეულად დავამთავროთ შეჯიბრება.

სასტუმროში დიდი ხორხოცია. ჩვენ მსგავსად, ყველა საკუთარ თამაშს აანალიზებს. მთელი სასტუმრო რაგბითაა "მოწამლული" და მთელი 2 დღე სხვა თემა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ავდივართ ნომერში და ვერ ვისვენებთ, გვიჭირს ერთ ადგილას გაჩერება. მთელი გუნდი ქუჩაში გავდივართ სასეირნოდ. სამკილომეტრიანი წრე დავარტყით და, რაღა თქმა უნდა, მთელი გზა რაგბზე ვლაპარაკობდით. მოკლედ, მთელი ქვეყანა ჩვენი გვეგონა...

გათენდა მეორე დღე და ისევ გაკვალულ გზას გავუყევით. მოედანი კიდევ უფრო დამძიმებულა - თოვლის ნაწილი გამდნარა და ალაგ-ალაგ მუხლებამდე გუბეები დგას. "წყალი ჩვენი სტიქიაა" - ამბობს რომელიღაც ჯანიანი ჯომარდელი და გუბეში აბოტებს. აუჰ, ჩემი მტერი ეთამაშა ამათ! წინა დღის დაღლილობა და ტკივილები ნაწილობრივ გამოყოლილი გვაქვს, მაგრამ გავდივართ მოედანზე და მომავალ ჩემპიონს მედგარ ბრძოლას ვუმართავთ. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ჯომარდელებს ყველაზე ღირსეული წინააღმდეგობა ჩვენ გავუწიეთ და მხოლოდ 1:2 წავაგეთ.

არა უშავს, წინ მესამე ადგილისთვის მატჩია და აუცილებლად უნდა მოვიგოთ! თუმცა მეორე ნახევარფინალში წაგებული "ბრიტიშ პეტროლიუმი" თამაშზე უარს ამბობს და მესამე ადგილი უბრძოლველად გვრჩება. ფინალში კი ჯომარდელებმა 4:1 მოუგეს "საზოგადოებრივ მაუწყებელს" და ალალად გაჩემპიონდნენ.

სასტუმროში თავაწეულები ვბრუნდებით და "მესამე ტაიმისათვის" ვემზადებით. ტურნირის დახურვის საზეიმო ბანკეტს წინ უძღოდა გრანდიოზული ფეიერვერკები, მერე კი ტურნირის ყველა მონაწილემ მამაპაპურად მოვულხინეთ. ბანკეტიც ისეთივე ლაზათიანი გამოდგა, როგორიც ტურნირი. თუკი რაგბის თამაშში ჟურნალისტები მესამე ადგილს დავჯერდით, ბანკეტზე გამოცხადებულ ცეკვის კონკურსში ვიყოჩაღეთ. ჩვენს გუნდს ბაჩო წარმოადგენდა, რომელიც ფინალში გავიდა სპორტმედიელ ლევან ჯავახიშვილთან ერთად (ბიჭებს მეწყვილეობას "ვერნისაჟის" გოგონები უწევდნენ. ტურნირის ორგანიზატორებმა და ვეტერანმა მორაგბე გია რაფავამ კონკურსის გამარჯვებულისთვის ჯილდოდ ჯამში 850 ლარი დააწესეს. საბოლოოდ, ჟიურიმ გამარჯვებული ვერ შეარჩია და პრიზი ფინალისტებს თანაბრად გაუყო...

"მე მიყვარდა რაგბი და თქვენ რაგბი მაგრძნობინეთ" - ასეთი სამახსოვრო წარწერა დაუტოვა ორგანიზატორებს ტურნირის პლაკატზე ერთ-ერთმა მონაწილემ. ვფიქრობ, ეს ფრაზა თითოეული ჩვენგანის სათქმელი იყო...

ასე დამთავრდა თოვლის რაგბის ფესტივალი და მეორე დილას თბილისში დავბრუნდით. მოვდიოდით უკან დალეწილები, ნაბახუსევები, მაგრამ უაღრესად კმაყოფილები. მოვდიოდით და უკან გვრჩებოდა დილით წამოსული დაგვიანებული თოვლი...

**კობა ხატისაშვილი**
ბაკურიანი-თბილისი

ქართველი NBA-ში

# ატლანტა რვეულს დაუბრუნდა



ზაზა ფაჩულია დუაიტ ჰოვარდის წინააღმდეგ

სათაურის წაკითხვისას გაიფიქრებთ, რომ **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" NBA-ში მორიგი შეხვედრა მოიგო და ამის შემდეგ მოახერხა აღმოსავლეთის კონფერენციაში მეცხრედან მერვე ადგილზე ანაცვლება, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: ჯორჯიელებმა ზაზას ყოფილ კლუბ "ორლანდო მეჯიქს" გასვლაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და 112:123 დამარცხდნენ. "ჰოქსის" ცხრილში წინსვლის მიზეზი კი უშუალო კონკურენტების წაგებები გახლდათ. აღმოსავლეთის კონფერენციაში მერვე-მეშვიდე პოზიციებისთვის "ატლანტა", "ფილადელფია" და "ნიუ ჯერსი" იბრძვიან. "ფილადელფია სიქსერსს" მატჩების 46.9 პროცენტი აქვს მოგებული (30 გამარჯვება, 34 მარცხი), "ჰოქსს" - 41.3 (26 მოგება, 37 წაგება), ხოლო "ნიუ ჯერსი ნეთსს" - 40.6 (26 მოგება, 38 წაგება).

სადღეისოდ მეშვიდე ადგილზეა "სიქსერსი", მერვეა "ატლანტა", ხოლო მეცხრე - "ნეთსი". შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში საუკეთესო რვაეული გადის.

თუ ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელებს რეგულარული ეტაპის გადალახვა სურთ, თამაში ერთი-ორად უნდა გააუმჯობესონ. მათ ხომ მარტში გამართული 6 შეხვედრიდან 5 წაგებული აქვთ. მომდევნო მატჩს "ატლანტა" შინ "ჰიუსტონ როკეტსთან" დღეს, 12 მარტს ჩაატარებს.

ახლა ზაზა ფაჩულიას გამოსვლაზე. მან ორლანდოში მწვრთნელისგან 19 წუთი მიილო, თუმცა შეტევაში თამაში ვერ აეწყო: ოთხივე ორქულიანი მიზანს ააცილა და ხუთივე მოხსნა დაცვითი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ქართველი ცენტრის ანგარიშზე 2 შედეგიანი დადაცემა და 1 ჩაჭრაა.

გასაკვირია, მაგრამ ზაზაზე წუთით ნაკლები ითამაშა მისმა კონკურენტმა **ელ ჰორფორდმა**, რომელმაც ამ დროში 9 ქულა და 3 მოხსნა გაიფორმა. ატლანტელთაგან 50 ქულა **მაიკ ბიბიმ** (23) და **ჯო ჯონსონმა** (27) გაიყვეს, ხოლო "ორლანდოს" წარმატების მთავარი შემოქმედი ცენტრი **დუაით ჰოვარდი** გახდა - 26 ქულა და 16 მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**







გამოკითხვა

# შერმადინი, ჩიტაშვილი, კარგად...

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა გამოკითხვა, რომლის მიზანი სადღეისოდ სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელის, აღმოჩენა და ჩემპიონატის ხარისხის განსაზღვრა.

გამოიკითხა სუპერლიგის ექვსივე გუნდის მთავარი მწვრთნელი. სპეციალისტებს შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცათ პასუხი:

**1. ამ ეტაპზე ვინ არის სუპერლიგის სამი საუკეთესო მოთამაშე?**

**2. ვინ (ან რა) არის სუპერლიგის მიმდინარე სეზონის აღმოჩენა?**

**3. როგორ შეაფასებდით სუპერლიგას – კარგად, ნორმალურად, არადამაკმაყოფილებლად?**

### დავით უსტიაშვილი
(ენერჯი ინვესტი)

1. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი), 2. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 3. იოვან სტეფანოვი (ენერჯი ინვესტი),.

2. "ვითას" დაბრუნება.

3. ძალიან კარგად.

### ნუგზარ □ეიშვილი
(თსუ)

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 2. რიჩარდ მათიაშვილი (თბილავიამშენი), 3. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი).

2. თსუ.

3. კარგად.

### ლევან მოსეშვილი
(თბილავიამშენი)

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 2. იოვან სტეფანოვი (ენერჯი ინვესტი), 3. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი).

2. მიხეილ ჩიტაშვილი.

3. ნორმალურად.

### ზურაბ ტომარაძე
(ვითა)

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 2. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი), 3. მიხეილ ბერიშვილი (ვითა).

2. დავით ბარბაქაძე.

3. კარგად.

### ზაზა ცაგარეიშვილი
(დინამო)

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 2. ვიქტორ სანიკიძე (დინამო), 3. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი).

2. არჩილ ჟღენტის დაბრუნება.

3. კარგად.

### ჰამლეტ ხუხაშვილი
(მაკაბი)

1. გიორგი შერმადინი (მაკაბი), 2. გიორგი გამყრელიძე (ენერჯი ინვესტი), 3. კოტე ტულუში (თბილავიამშენი).

2. მიხეილ ჩიტაშვილი.

3. ძალიან კარგად.

www.gbf.ge



გიორგი შერმადინი

ქართული ლეგიონი

# შენგელია აკადემიას გამოაკლდა, აკადემია ჩემპიონატს

ლიტვის მეორე ლიგაში პირველობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა **ნოდარ შენგელიას** "აკადემია". მარჩულიონისის საკალათბურთო აკადემიის კურსანტებმა "პალანგასთან" სამმატჩიან სერიაში ვერც ერთი თამაშის მოგება ვერ მოახერხეს და ნახევარფინალის საგზური მეტოქეს დაუთმეს.

ნოდარ შენგელიას თანაგუნდელებმა პირველი შეხვედრა სტუმრად 69:76 რომ დათმეს, უკვე გითხარით. იმ მატჩში ქართველმა ფორვარდმა 9 წუთი ითამაშა და 3 ქულას 4 მოხსნა მიამატა.

მეორე მატჩი "აკადემიამ" საკუთარ მოედანზე ჩაატარა და ბოლო წამებზე 6 ქულის სხვაობით დათმო - 75:81. პირველ და მეორე მატჩებს შორის, ვარჯიშზე ნოდარმა ფეხი იტკინა და მეორე თამაშზე ფეხშეხვეულმა მხოლოდ 3 წუთი გაძლო. დროის ამ უმნიშვნელო მონაკვეთში მან ერთადერთი მოხსნა მიითვალა.

"პალანგასთან" მეორე შეხვედრის შემდეგ ექიმებმა შენგელია კარგად გამოიკვლიეს და ფეხის ძვლის მოტეხილობა დაუდგინეს. იმედი ვიქონიოთ, რომ მკურნალობა კარგად ჩაივლის და ნოდარი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების საზაფხულო შეკრებას მწყობრში შეხვდება.

მესამე მატჩი "აკადემიამ" ქართველის გარეშე გამართა და, როგორც უკვე გითხარით, მესამედაც დამარცხდა - 63:74.

"აკადემიაზე" საუბარს შეხსენებით დავასრულებთ - შენგელიასა და შარუნას მარჩულიონისის გუნდი შარშან მეორე ლიგის ჩემპიონი გახდა, თუმცა ელიტ-დივიზიონში არ გადასულა, რადგან ზედა ლიგაში გუნდები წინასწარი კონტრაქტებით თამაშობენ და თუ ახალბედა ფინანსურად ელიტის გუნდებს ჩამორჩება, ლიგაში არ იღებენ.

ახლა **ტატო ვაშაკიძის** "პუნტუკასზე". ეს გუნდი ტურნირს მერვედფინალიდან "დექსტრამ" გამოთიშა - 3:0 მოუგო. ამიტომ "პუნტუკასის" კალათბურთელები მეთერთმეტე-მეთორმეტე ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობენ.

ვაშაკიძის გუნდმა "მერესტასთან" ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში დამარცხდა.

პირველ შემთხვევაში "მერესტა" 100 ქულას მიუახლოვდა - 96:83, ხოლო მეორეში, სტუმრად 82:76 იმარჯვა. ამ წაგებებში ყველაზე ნაკლებად ქართველი გამთამაშებლის დადანაშაულება შეიძლება. ტატომ "მერესტას" მოედანზე 40 წუთი გაატარა, 6-დან 4 ორქულიანი, 12-დან 1 სამიანი, 11-დან 8 საჯარიმო შეასრულა და 19 ქულა მოუგროვდა. გარდა ამისა, ვაშაკიძის ანგარიშზე 5 მოხსნა და 4 პასია. ტატოს სნაიპერობა თანაკლუბელმა ბენას სტეპანოვასმა არ დაუთმო - 21 ქულა ჩააგდო.

საშინაო მატჩში ვაშაკიძემ 10 წუთით ნაკლები ითამაშა და მონაგარიც ოდნავ მოკრძალებული ჰქონდა: 30 წუთში 10 ქულა და 6-6 მოხსნა-პასი.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

## NHL. რეგულარული

**ბაფალო-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პომინვილი-23 (გოსტადი-20, პეხტი-22), 1:1 ტიუტინი-5 (დეივსი-14, შენეპანი-20), 1:2 იაგრი-18 (მ. ეივერი-15, დუბინსკი-21), 2:2 ვანეკი-28 (პომინვილი-42, აფინოგენოვი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** შენეპანი (რეინჯერსი), პომინვილი (ბაფალო), გომესი (რეინჯერსი).

**კალგარი-სენტ ლუისი 7:3**

3:1, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ტანგეი-15 (ნოლანი-12, კონროი-21), 2:0 ჰუსელიუსი-22 (იგინლა-40, ფანოფი-33), 2:1 ბეკსი-10 (ე. მაკდონალდი-29, რუჩინსკი-11), 3:1 იგინლა-41 (ჰუსელიუსი-39, ფანოფი-34), 3:2 ბოიესი-35 (ჯეკმენი-10, კარია-38), 4:2 ლომბარდი-11 (ტანგეი-36, სერიჩი-4), 5:2 მ. ნილსონი-3 (გოდარდი-1, ბოიდი-5), 6:2 ლენგკოუ-26 (იგინლა-41, ფანოფი-35), 6:3 ბოიესი-36 (იანსენი-1), 7:3 ტანგეი-16 (ვანდერმეერი-13).

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ო'სალივანი-19 (დ. ბრაუნი-23, კოპიტარი-40), 1:1 კესლერი-18 (ბაროუზი-17, ოლუნდი-15), 1:2 კესლერი-19 (ვ. მიტჩელი-9, ბაროუზი-18).

### კვირის სამი ვარსკვლავი

როგორც მოსალოდნელი იყო, გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "ვაშინგტონ კეპიტალზის" ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი**. რუსი ფორვარდი ამ სეზონში პირველი ჰოკეისტია, ვინც 50-შაიბიან ზღვარს გადააბიჯა. ეს "ბოსტონთან" მატჩში მოხდა, რომელიც "ვაშინგტონმა" 10:2 მოიგო, ხოლო ოვეჩკინმა ხუთი ქულით გამოიჩინა თავი. სულ კი, გასულ კვირას რუსმა თავდამსხმელმა 10 ქულა დააგროვა.

კვირის მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ნიუ ჯერსის" მეკარეს, **მარტინ ბროდოს** ერგო, რომელიც საშუალოდ მატჩში 0.98 შაიბას უშვებდა და ამით "დევილზს" 3-დან 3 შეხვედრა მოაგებინა. "ნიუ ჯერსი" აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერი გახდა.

რაც შეეხება გასული კვირის მესამე ვარსკვლავს, ეს გახლავთ "სან ხოსეს" ფორვარდი **ჯო ტორნტონი**. ის წინა შვიდი დღის მეორე ბომბარდირი გახდა 2 გოლითა და 5 პასით.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუ ჯერსი* | 69 | 40 | 23 | 6 | 86 |
| 2. მონრეალი* | 70 | 38 | 23 | 9 | 85 |
| 3. კაროლინა* | 71 | 37 | 29 | 5 | 79 |
| 4. პიტსბურგი | 70 | 39 | 24 | 7 | 85 |
| 5. ოტავა | 70 | 38 | 25 | 7 | 83 |
| 6. რეინჯერსი | 70 | 37 | 24 | 9 | 83 |
| 7. ბოსტონი | 69 | 36 | 25 | 8 | 80 |
| 8. ფილადელფია | 69 | 35 | 26 | 8 | 78 |
| 9. ბაფალო | 70 | 32 | 27 | 11 | 75 |
| 10. ვაშინგტონი | 70 | 32 | 30 | 8 | 72 |
| 11. ფლორიდა | 71 | 32 | 31 | 8 | 72 |
| 12. აილენდერსი | 70 | 32 | 31 | 7 | 71 |
| 13. ტორონტო | 70 | 30 | 30 | 10 | 70 |
| 14. ატლანტა | 70 | 30 | 32 | 8 | 68 |
| 15. ტამპა ბეი | 69 | 26 | 35 | 8 | 60 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 69 | 45 | 18 | 6 | 96 |
| 2. დალასი* | 72 | 42 | 25 | 5 | 89 |
| 3. კალგარი* | 69 | 36 | 23 | 10 | 82 |
| 4. სან ხოსე | 69 | 40 | 21 | 8 | 88 |
| 5. ანაჰაიმი | 71 | 39 | 25 | 7 | 85 |
| 6. მინესოტა | 70 | 37 | 26 | 7 | 81 |
| 7. ვანკუვერი | 69 | 35 | 24 | 10 | 80 |
| 8. კოლორადო | 70 | 37 | 27 | 6 | 80 |
| 9. ნეშვილი | 70 | 35 | 27 | 8 | 78 |
| 10. ფინიქსი | 69 | 34 | 30 | 5 | 73 |
| 11. ჩიკაგო | 69 | 33 | 29 | 7 | 73 |
| 12. კოლამბუსი | 70 | 31 | 28 | 11 | 73 |
| 13. ედმონტონი | 69 | 33 | 31 | 5 | 71 |
| 14. სტ. ლუისი | 69 | 29 | 30 | 10 | 68 |
| 15. ლოს ანჯელესი | 71 | 27 | 38 | 6 | 60 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 95 (54+41) |
| მალკინი (პიტ) | 92 (38+54) |
| იგინლა (კალ) | 81 (41+41) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 81 (33+48) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 81 (19+62) |
| ალფრედსონი (ოტა) | 79 (37+42) |
| დაციუკი (დეტ) | 79 (25+54) |
| სპეცა (ოტა) | 78 (27+51) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 77 (36+41) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 76 (45+31) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 54 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 45 |
| იგინლა (კალ) | 41 |
| მალკინი (პიტ) | 38 |
| ალფრედსონი (ოტა) | 37 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 36 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 36 |
| ნეში (კოლამ) | 35 |
| შარპი (ჩიკ) | 34 |
| გაბორიკი (მინ) | 34 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სავარი (ბოს) | 62 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 62 |
| მალკინი (პიტ) | 54 |
| დაციუკი (დეტ) | 54 |
| ჰ. სედინი (ვან) | 53 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 52 |
| სპეცა (ოტა) | 51 |
| გეტცლაფი (ანა) | 51 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 51 |
| გომესი (რეინ) | 51 |

## NBA. რეგულარული

# ვინ შეაჩერებს რაკეტებს?



ბოსტონის დიდი ტრიო

შეიძლება ვილაცას მობეზრდა "ჰიუსტონის" რეკორდებზე ახალი ამბების კითხვა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - "რაკეტებმა" ზედიზედ მე-19 (!) გამარჯვება მოიპოვეს (თანაც, ბოლო 10 შეხვედრა 10 და მეტი ქულით, რაც "ნიუ ჯერსის" მიერ 2003-04 წლებში დამყარებული რეკორდის გამეორებაა). ამიტომაც ღირს ჰიუსტონელთა ფენომენზე ორი სიტყვის თქმა.

ჩინელი ცენტრის **იაო მინის** ტრავმამ თითქოს უფრო შეკრა გუნდი, რომელიც ერთ-ერთი ლიდერის არყოფნაში, ყველა მატჩში არნახული თავდადებით თამაშობს. გარდა ამისა, მეტოქეებისთვის საუბედუროდ, **რიკ ადელმანის** გუნდური მანქანა, ტრადიციისამებრ, რეგულარულის ბოლოს მთელი სიმძლავრით ამოქმედდა. ამ ფაქტორებს დაუმატეთ **ტრეისი მაკგრეიდის** მრავალმხრივი ნიჭი, წინა ხაზზე ფორვარდების ფენომენალური შეთამაშება, **რაფერ ელსტონის** პროგრესი, რომელსაც მეორე ახალგაზრდობა ეწვია. საერთო ჯამში, გამოდის ფეთქებადსაშიში ნარევი, რომლის დამანგრეველ ეფექტს, როგორც აუტსაიდერები, ასევე ლიგის აღიარებული ფავორიტები, საკუთარ თავზე გრძნობენ.

რით იყო აღსანიშნავი "ნიუ ჯერსიზე" გამარჯვება ("ნეტსმა" თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 30 პროცენტი გამოიყენა)? ზედიზედ მე-19 მოგების წყალობით, "ჰიუსტონმა" NBA-ის ისტორიაში სიგრძის მიხედვით მესამე სერია გამოაცხო. ტეხასელებზე წინ არიან "მილუოკი" (20 მოგება, 1970-71 წლები) და "ლეიკერსი" (33 მოგება, 1971-72).

### ტურის გმირი: ბოსტონის დიდი ტრიო

"ბოსტონმა" "ფილადელფიასთან" 100 ქულა დააგროვა და აქედან 64 **კევინ გარნეტის, რეი ალენისა** და **პოლ პირსის** ანგარიშზე მოდის. მათვე გუნდს 23 მოხსნა და 16 შედეგიანი პასი შესძინეს. "სიქსერზს" "სელტიქსის" შეჩერება არ შეეძლო, რადგან ტრავმირებული **უილი გრინის** გარეშე თამაშობდა, ხოლო მატჩის მსვლელობისას **ანდრე მილერიც** დაკარგა. ასეც მოხდა: როცა "ბოსტონთან" საწყის მონაკვეთს 0:15 წააგებ, შემდეგ წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მანამდე საკუთარ მოედანზე ზედიზედ რვა მატჩი გაქვს მოგებული.

### ტურის ანტიგმირი: აიზია ტომასი

აქ საქმე იმაში არ არის, რომ ნიუიორკელებმა ტეხასში თითქმის 30 ქულა წააგეს. არც იმაში, რომ სტუმრებს **ჯეისონ კიდის** ნეიტრალიზაციის გეგმა არ ჰქონიათ. "ნიქსის" სირცხვილი მისი მთავარი მწვრთნელის, **აიზია ტომასის** არაადეკვატურ საქციელში გამოიხატა, რომელსაც საერთოდ არ ჰქონია იუმორის გრძნობა. ლეგენდარული კალათბურთელი სერიოზულად გაბრაზდა ტეხასურ დამხმარე ჯგუფზე. დიდ შესვენებაზე მოედანზე გავიდა 65-დან 91 წლამდე ასაკის 15 ქალბატონი, რომლებიც ერთმანეთში ბჭობდნენ იმის შესახებ, როგორი ადვილი იქნებოდა "ნიქსის" დამარცხება წინასწარი ვარჯიშების გარეშეც კი. ტომასი პრესკონფერენციაზეც ვერ დაწყნარდა და რაღაცას საუბრობდა **"ზომიერების გრძნობაზე"** და **"უტაქტობაზე"...** სულ ტყუილად, ქალბატონები ჭეშმარიტებას ლაღადებდნენ.

### ტურის ციფრი: 8

"მაიამი ჰიტში" ტრავმების ეპიდემიაა და "კლიპერსთან" მატჩში გუნდის მთავარი მწვრთნელის, **პატ რაილის** განკარგულებაში რვა (!) კალათბურთელი იყო. გასაკვირი არ არის, რომ ლიგის ყველაზე წყალწაღებულმა გუნდმა ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო.

### ტურის ფრაზა

*"სუსტად ვითამაშე. შესაძლებლობების 50 პროცენტიც არ მიჩვენებია. ძალიან უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით, - განაცხადა* ***ლებრონ ჯეიმსმა*** *"პორტლენდთან" შესრულებული მორიგი ტრიპლ-დაბლის შემდეგ, თანაც "კლივლენდის" ლიდერმა კარიერაში მე-100 ორმაგი დუბლი მიითვალა. - საოცარია, რომ ასეთი სტატისტიკა მქონდა. იქნებ სამსაჯო მაგიდასთან არ დაითვალეს სწორად?"*

კვირის მოთამაშეები

# ისევ ტიმაკი

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ჰიუსტონის" ლიდერი **ტრეისი მაკგრეიდი** და "შარლოტ ბობკეტსის" მცველი **ჯეისონ რიჩარდსონი** დაასახელა.

მაკგრეიდიმ დასავლეთში აჯობა ყველას. სწორედ ტი-მაკის ყველაზე დიდი წვლილია იმაში, რომ "ჰიუსტონმა" გასულ კვირას სამიდან სამი შეხვედრა მოიგო და გამარჯვებათა სერია 18 მატჩამდე აიყვანა.

28 წლის ტრეისიმ საშუალოდ 32.3 ქულა, 7.7 შედეგიანი პასი და 5.0 მოხსნა დააგროვა. "ნიუ ორლეანთან" მატჩში მაკგრეიდიმ 41 ქულა მიითვალა და მისთვის ეს იყო სეზონში მეოთხე შეხვედრა, როცა მცველმა 40 ქულას გადააჭარბა.

აღმოსავლეთში საუკეთესო რიჩარდსონს მაკგრეიდიზე უფრო მოკრძალებული სტატისტიკა ჰქონდა - 28.5 ქულა, 6.5 მოხსნა და 3.0 შედეგიანი პასი. "ბობკეტსმა" ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და ახლა თავისი არსებობის ისტორიაში სარეკორდო 5-მატჩიანი მოგებათა სერია აქვს.

გარდა ამ ორი კალათბურთელისა, კვირის ლაურეატობაზე პრეტენზიას **კევინ გარნეტი, კენდრიკ პერკინსი** (ორივე - "ბოსტონი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **ტაიშონ პრინსი** ("დეტროიტი"), **ბაირონ დევისი** ("გოლდენ სტეიტი") და **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი") აცხადებდნენ.


ტრეისი მაკგრეიდი

კვირის მოთამაშეები

# უეიდმა დაამთავრა



"მაიამი ჰიტის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდის ლიდერი **დუეინ უეიდი** სეზონის დარჩენილ მატჩებში მოედანზე ვერ გავა. მაიამელთა მცველს უახლოეს დღეებში მარცხენა მუხლზე ელექტროტალღური თერაპია ელის. ეს პროცედურა ქირურგიულ ჩარევას არ ითვალისწინებს და 30 წუთი გრძელდება. ამის შემდეგ კი, აღდგენითი პროცესი დაახლოებით ერთი თვე გრძელდება ხოლმე.

ის, რომ უეიდი ნაადრევად დაასრულებდა სეზონს, პრაქტიკულად, წინასწარ იყო ცნობილი. შეგახსენებთ "ჰიტის" მთავარი მწვრთნელის **პატ რაილის** სიტყვებს, რომელიც ამბობდა, რომ შესაძლოა გუნდის ხელმძღვანელობამ დასვენების საშუალება მისცეს დუეინს, მით უმეტეს, რომ "მაიამის" პლეი ოფში მოხვედრის შანსები აღარ დარჩა.

რაილის გუნდის პრობლემები მხოლოდ უეიდის ტრავმით არ ამოიწურა. რეგულარულის გუშინდელ მატჩში, "ჰიტს" ძირითადის სამი კალათბურთელი დააკლდა - მცველი **მარკუს ბენქსი**, ფორვარდი **უდონის ჰასლემი** და ცენტრი **ერლ ბარონი**. მას სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები აქვთ.

ასე რომ, "კლიპერსთან" შეხვედრისას რაილის განკარგულებაში მხოლოდ 7 კალათბურთელი იყო.

**კლივლენდი-პორტლენდი 88:80**

14:25, 25:18, 23:19, 26:18

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (24 ქ. 11 პ. 10 მ. 2 დ), ჯო სმიტი (18 ქ), ვარეჯაო (16 ქ. 9 მ), დელონტე უესტი (10 ქ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (25 ქ. 10 მ), როი (15 ქ. 7 მ 3 პ), უებსტერი (17 ქ. 10 მ).

**ფილადელფია-ბოსტონი 85:100**

20:26, 27:27, 13:25, 23:24

**ფილადელფია:** ა. მილერი (22 ქ. 8 პ. 2 ჩ), იგუოდალა (17 ქ. 7 პ), ჯეის. სმიტი (12 ქ. 3 დ), ტ. იანგი (11 ქ), ლ. უილიამსი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქ. 12 მ), რ. ალენი (21 ქ), პირსი (17 ქ).

**ჰიუსტონი-ნიუ ჯერსი 91:73**

22:15, 24:13, 24:19, 21:26

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (19 ქ), სკოლა (12 ქ), ალსტონი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (13 ქ. 8 მ), რ. ჯეფერსონი (12 ქ), დ. ჰარისი (10 ქ).

**დალასი-ნიუ იორკი 108:79**

32:15, 22:16, 26:27, 28:21

**დალასი:** ნოვიცკი (18 ქ. 8 მ. 2 ჩ), ტერი (18 ქ. 5 პ), ჯოშ ჰოვარდი (14 ქ. 3 ჩ), მ. ალენი (10 ქ. 2 დ).

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (21 ქ. 13 მ), ლი (14 ქ), ჯ. კროუფორდი (13 ქ), ფ. ჯოუნსი (10 ქ. 3 ჩ).

**სან ანტონიო-დენვერი 107:103**

27:23, 28:35, 29:22, 23:23

**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქ. 18 მ. 3 დ), ტ. პარკერი (16 ქ), ჯინობილი (13 ქ. 14 პ. 3 მ. 2 ჩ), კურტ ტომასი (13 ქ), ბ. ბოუენი (11 ქ. 2 ჩ), ბონერი (10 ქ).

**დენვერი:** აივერსონი (28 ქ), ჯეი. არ. სმიტი (22 ქ. 6 მ), ენტონი (18 ქ. 7 მ), კენ. მარტინი (16 ქ. 2 ჩ), ე. კარტერი (10 ქ).

**მაიამი-კლიპერსი 98:99**

23:29, 24:29, 33:15, 18:26

**მაიამი:** რ. დევისი (27 ქ. 6 პ. 3 ჩ), დ. კუკი (23 ქ), მერიონი (17 ქ. 17 მ. 4 ჩ), ბლაუნტი (11 ქ), ჯ. უილიამსი (11 ქ).

**კლიპერსი:** მობლი (29 ქ. 6 მ), ტორნტონი (22 ქ. 10 მ), მაგეტი (22 ქ), დიკაუ (10 ქ).

**ორლანდო-ატლანტა 123:112**

38:26, 36:27, 25:32, 24:27

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (26 ქ. 16 მ), თურქოღლუ (23 ქ. 13 პ. 10 მ), რ. ლუისი (22 ქ. 6 მ), ბოგანსი (19 ქ), ნელსონი (13 ქ. 6 მ), აროიო (11 ქ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (27 ქ. 11 პ), ბიბი (23 ქ. 6 პ. 2 ჩ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 12 მ. 2 დ), ს. სტაუდმაიერი (16 ქ), მერვინ უილიამსი (11 ქ. 9 მ. 2 დ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ბოსტონი | 62 | 50 | 12 | 80.6 |
| 2. x-დეტროიტი | 63 | 46 | 17 | 73.0 |
| 3. ორლანდო* | 65 | 41 | 24 | 63.1 |
| 4. კლივლენდი | 64 | 37 | 27 | 57.8 |
| 5. ტორონტო | 62 | 34 | 28 | 54.8 |
| 6. ვაშინგტონი | 62 | 30 | 32 | 48.4 |
| 7. ფილადელფია | 64 | 30 | 34 | 46.9 |
| 8. ატლანტა | 63 | 26 | 37 | 41.3 |
| 9. ნიუ ჯერსი | 64 | 26 | 38 | 40.6 |
| 10. ჩიკაგო | 63 | 25 | 38 | 39.7 |
| 11. შარლოტი | 63 | 24 | 39 | 38.1 |
| 12. ინდიანა | 63 | 24 | 39 | 38.1 |
| 13. მილუოკი | 63 | 23 | 40 | 36.5 |
| 14. ნიუ იორკი | 64 | 18 | 46 | 28.1 |
| 15. მაიამი | 62 | 11 | 51 | 17.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 53 | 44 | 19 | 69.8 |
| 2. ლეიკერსი* | 53 | 44 | 19 | 69.8 |
| 3. ჰიუსტონი | 63 | 43 | 20 | 68.3 |
| 4. იუტა* | 64 | 42 | 22 | 65.6 |
| 5. ნიუ ორლეანი | 62 | 42 | 20 | 67.7 |
| 6. ფინიქსი | 63 | 41 | 22 | 65.1 |
| 7. დალასი | 64 | 41 | 23 | 64.1 |
| 8. გ. სტეიტი | 62 | 39 | 23 | 62.9 |
| 9. დენვერი | 63 | 37 | 26 | 58.7 |
| 10. პორტლენდი | 64 | 33 | 31 | 51.6 |
| 11. საკრამენტო | 63 | 28 | 35 | 44.4 |
| 12. კლიპერსი | 62 | 21 | 41 | 33.9 |
| 13. სიეტლი | 63 | 16 | 47 | 25.4 |
| 14. მემფისი | 62 | 15 | 47 | 24.2 |
| 15. მინესოტა | 62 | 14 | 48 | 22.6 |

*- დივიზიონის ლიდერი

x - პლეიოფის საგზური

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 30.9 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.1 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 26.8 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 25.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 24.6 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.5 |
| მარკუს კემბი (დენ) | 13.9 |
| კრის კამანი (კლი) | 13.1 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-ორლ) | 12.3 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 11.7 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.5 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.0 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 10.4 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 10.3 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.7 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.7 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | 2.4 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.0 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 2.0 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენ) | 3.9 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 3.1 |
| კრის კამანი (კლი) | 2.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.3 |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. სეზონის წინ

# გლოკი ჰემილტონს ედრება



ტიმო გლოკი

ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** ბრწყინვალე დებიუტი ფორმულა ერთში უფრო მისი გუნდის დამსახურებაა და არა მისი შესაძლებლობებისა, - ამბობს დიდი პრიზების ცირკის ახალბედა, "ტოიოტას" გერმანელი პილოტი **ტიმო გლოკი**.

გასულ სეზონში, ფორმულა ერთის ისტორიაში პირველმა შავკანიანმა პილოტმა ოთხი ეტაპი მოიგო და საბოლოოდ, მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს, "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს**. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მის ჩრდილში მოექცა მისივე თანაგუნდელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ესპანეთიდან, **ფერნანდო ალონსო**.

შარშან, პირველი ეტაპის წინ, ჰემილტონს ბევრი გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 22 წლის ბრიტანელი თავის პირველივე სეზონში ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. გლოკს დებიუტი გაცილებით მოკრძალებულ შესაძლებლობათა გუნდში, "ტოიოტაში" ექნება.

*"რა თქმა უნდა, რაც შარშან ჰემილტონმა შეძლო, მე იმავეს ვერ გავიმეორებ. ეს შეუძლებელია. უბრალოდ, ლუისი ხელსაყრელ მომენტში, საჭირო ადგილზე მოხვდა. მას შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ამაში ხელი გუნდმა შეუწყო. ჩვენი სპორტი ინდივიდუალური კია, მაგრამ გუნდს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. თუ გუნდისგან კონკურენტუნარიანი ტექნიკით უზრუნველყოფილი არ ხარ, მაშინ ვერც შესაძლებლობათა მაქსიმუმს გამოავლენ. შარშან ლუისი სწორედ რომ იდეალურ გარემოში მოხვდა, რამაც თავის გამოჩენის საშუალება მისცა"*, - ამბობს გლოკი, ვინც შარშან GP2 სერიის ჩემპიონი გახდა, ორი წლის წინთ კი იმავე სერიაში ჰემილტონის კონკურენტი იყო.

გლოკი დარწმუნებულია, რომ თავისი ნიჭისა და ცოდნის წყალობით, "ტოიოტას" შედეგების გაუმჯობესებაში დაეხმარება. *"ჩემი აზრით, ისეთივე აგრესიული მანერა მაქვს, როგორიც ჰემილტონს. ეს მე შარშან, GP2 სერიაში გამოსვლისას დავამტკიცე. უფრო ადრე კი ამავე სერიაში ლუისის მეტოქე ვიყავი. მან რამდენიმე რბოლაში მაჯობა, მეც რამდენჯერმე მოვუგე. დარწმუნებული ვარ, პილოტირების მხრივ, მასზე არაფრით ნაკლები არ ვარ. ფორმულა ერთში გასწრება ძალიან ძნელია, მაგრამ თუ შანსი მექნება, აუცილებლად ვეცდები მის გამოყენებას. საერთოდ კი, ფორმულა ერთში დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად შეძლებ აგრესიულობასა და სიფრთხილეს შორის ოქროს შუალედის გამონახვას"*, - ამბობს გლოკი, ვისაც ფორმულა ერთის ოთხ ეტაპზე უასპარეზია, დიდი პრიზების ცირკში პირველ სრულ სეზონს კი წელს ჩაატარებს.

ფორმულა ერთის გუნდებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუჯეტი "ტოიოტას" აქვს, მაგრამ სიმდიდრე მის შედეგებზე აბსოლუტურად არ აისახება - ჩემპიონატში დებიუტიდან (2002 წელს) მოყოლებული, გუნდს ერთი რბოლაც არ მოუგია, მისი პილოტი კი კვარცხლბეკზე ბოლოს ორი წლის წინათ ავიდა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იაპონური საჯინიბო მაჩანჩალებს შორის ყოფნას შეეგუება. როგორც გუნდის საინჟინრო შტაბი ირწმუნება, ახალი ბოლიდით (TF108) გლოკი და მისი იტალიელი თანაგუნდელი **იარნო ტრული** ფავორიტებს საკმაო პრობლემებს შეუქმნიან და კვარცხლბეკისთვის ბრძოლას შეძლებენ.

გლოკი მიიჩნევს, რომ ჩემპიონატის ფავორიტები ამჯერადაც "ფერარი" და "მაკლარენი" იქნებიან. "ტოიოტა" კი მეორე ჯგუფში შესვლას ეცდება, სადაც დამკვიდრებულები არიან "უილიამსი", "რენო", "ბეემვე" და "რედ ბული". იაპონურ გუნდში თვლიან, რომ ამ მიზნის მიღწევა გლოკსა და ტრულის ხელეწიფებათ.

## მძლეოსნობა

პეკინი 2008

# გებრემ მარათონზე უარი თქვა

მარათონულ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ავტორი, სახელოვანი ეთიოპიელი მორბენალი **ჰაილე გებრსელასიე** ამბობს, რომ პეკინში მარათონულ დისტანციაზე ასპარეზობას არ აპირებს, რადგან ამ ქალაქის გამონაბოლქვით გაჯერებული ჰაერი მის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქადის.

ამის მიუხედავად, გებრე, ვისაც ქრონიკული ასთმა აწუხებს, არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, პეკინში წასვლა მაინც გადაწყვიტოს და იქ 10 000 მეტრზე იასპარეზოს.

*"პეკინის ჰაერი ჩემს ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქადის. იქ მარათონზე რომც გამოვიდე, ფინიშს მაინც ვერ მივაღწევ, ამის საშუალებას ალერგიული ფილტვები არ მომცემს. ასეთ დაბინძურებულ ჰაერზე 42 კილომეტრის გარბენა ჩემთვის შეუძლებელია. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, პეკინში ასპარეზობაზე უარის თქმას მაინც არ ვაპირებ. ვეცდები, 10 000 მეტრზე გამოსვლის უფლება მოვიპოვო"*, - როიტერთან სატელეფონო საუბარში განაცხადა გებრსელასიემ.

საწარმოო და საავტომობილო გამონაბოლქვით დაბინძურებული ჰაერი ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რომლის მოგვარებაც პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებს მოუწევთ. თუ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ძვრები არ მოხდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) პრეზიდენტი **ჟაკ როგე** ზოგიერთი ოლიმპიური ტურნირის (მათ შორის მართონისაც) გასამართი დროის შეცვლას აპირებს.

თავისი განცხადების მიუხედავად, გებრე საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც მოგვიანებით, მას შემდეგ მიიღებს, რაც ჰოლანდიაში, ჰენგელოს ტურნირზე იასპარეზებს (24 მაისს). სწორედ ჰენგელოში გაირკვევა, დაეუფლება თუ არა გებრე 10 000 მეტრზე საპეკინო საგზურს. შეგახსენებთ, რომ მას ამ დისტანციაზე უკვე მოპოვებული აქვს ოლიმპიური ოქროს ორი მედალი. და თუ ამჯერად, ამ დისტანციაზე პეკინში გამოსვლის უფლებას ვერ მოიპოვებს (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ის ალბათ, მარათონს დაუბრუნდება. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ 34 წლის მორბენალი პეკინის ოლიმპიადაზე საერთოდ ვერ ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ მარათონის რეკორდი ორი საათი, ოთხი წუთი და 26 წამია და ის გებრემ შარშან, ბერლინში დაამყარა. 10 000 მეტრზე ოლიმპიური ოქროები მან ატლანტასა (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიადებზე მოიპოვა, ათენში (2004) კი მეხუთე ადგილს დასჯერდა.

მარათონს ეთიოპიელი სპორტსმენებისთვის განსაკუთრებული ხიბლი აქვს. ამ დისტანციაზე ეთიოპიელებმა ოქრო პირველად რომში (1960) მოიპოვეს. თანაც, ლეგენდარულმა **აბებე ბიკილამ** ეს ფეხშიშველმა შეძლო. მანვე მომდევნო ოლიმპიადაზე (ტოკიო) კიდევ ერთი ოქრო მოიპოვა, ოღონდ ამჯერად ეს სპორტული ფეხსაცმლით შემოსილმა გააკეთა.

და ისევ გებრეს შესახებ. მან 10 000 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ოთხჯერ მოიპოვა, სხვადასხვა დისტანციებზე კი მსოფლიოს რეკორდები 21-ჯერ აქვს გაუმჯობესებული.

## TV სპორტი

### 12 მარტი. ოთხშაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერი-ლივერპული.
15:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:40 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერი-ლივერპული.
23:40 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ბირმინგემი (LIVE).
01:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 სპორტდოსიე.
08:29 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერი-ლივერპული.
12:53 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ნიუკასლი.
14:52 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ატლეტიკო.
16:29 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ფიორენტინა.
18:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო.
20:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:31 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. V ტური. ცსკა-უნიკახა (LIVE).
23:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-დერბი (LIVE).
02:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:11 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:37 სპორტდოსიე.
03:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო (LIVE).
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ატლეტიკო.

#### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
12:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია (LIVE).
13:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:15 უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
14:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია.
15:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ბორმიო. იტალია (LIVE).
16:30 უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
17:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. III ეტაპი (LIVE).
19:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო ადრიატიკო. I ეტაპი.
20:00 უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. დავოსი. შვეიცარია.
22:45 მოტოსპორტი. ტესტ-დრაივი. ჟენევა. შვეიცარია.
23:30 მულტისპორტი.
23:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:45 გოლფი. PGA-ს ტური.
00:45 გოლფი. ევროპული ტური.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა. კანი-ველინგტონი.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:55 მულტისპორტი.
02:00 უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
03:00 მულტისპორტი.
03:15 მოტოსპორტი. ტესტ-დრაივი. ჟენევა. შვეიცარია.
04:00 ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი.
14:00 არენა-ფეხბურთი. ამერიკის ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
15:00 ახალი ამბები.
16:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ვალმალენკო. იტალია (LIVE).
18:00 უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები.
19:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
23:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი (LIVE).
01:30 პრო-რესტლინგი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

##### 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ინტერი-ლივერპული 0:1 (0:2)**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, რივასი, კივუ, კამბიასო, ხ. ძანეტი, ვიეირა (77. პელე), სტანკოვიჩი (84. ხიმენესი), იბრაჰიმოვიჩი (80. სუასო), კრუსი.

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, ჰიიპია, ფაბიო აურელიო, მასკერანო (87. პენანტი), ლუკასი, ბაბელი (61. ბენაიუნი), ჯერარდი, კუიტი (81. რიისე), ფერნანდო ტორესი.

**გოლი:** 0:1 ფერნანდო ტორესი (64)
**გაძევება:** ბურდისო (50. ინტერი)
**მაყურებელი:** 82 955
**არბიტრი:** ტომ ჰენინგი ოვრებო (ნორვეგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ინტერი
პირველი ჯარიმა: ინტერი
პირველი კუთხური: ლივერპული
პირველი გაფრთხილება: ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 15 (2) | დარტყმა | 8 (4) |
| 15 | ჯარიმა | 16 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 5 | გაფრთხილება | 4 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

#### გერმანია

**კოტბუსი-შტუტგარტი 0:1**

**კოტბუსი:** ტრემელი, რადელიჩი, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ს. ანგელოვი, ბასილა, ტ. როსტი, ციბიგი, რივიჩი (51. დ. სიორენსენი), სკელა (78. შაო), პაპადოპულოსი (64. ბ. იელიჩი).

**შტუტგარტი:** ულრიხი, ოსორიო, ფერნანდო მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰიტცლშპერგერი, ჰილბერტი, ბაშთურქი, მარიკა (90. და სილვა), რადუ (84. ბეკი).

**გოლი:** 0:1 ფერნანდო მეირა (30)
**გაფრთხილება:** 3-0; **დარტყმა:** 10(4)-14(2); **კუთხური:** 3-7; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 20-10; **ბურთის ფლობა:** 35%-65%
**მაყურებელი:** 13 150

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 23 | 14 | 8 | 1 | 41-11 | 50 |
| 2. ვერდერი | 23 | 13 | 4 | 6 | 51-34 | 43 |
| 3. ჰამბურგი | 23 | 11 | 9 | 3 | 34-17 | 42 |
| 4. ლევერკუზენი | 23 | 12 | 5 | 6 | 41-23 | 41 |
| 5. შალკე | 23 | 10 | 8 | 5 | 36-24 | 38 |
| 6. შტუტგარტი | 23 | 12 | 1 | 10 | 39-38 | 37 |
| 7. კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 29-31 | 36 |
| 8. ვოლფსბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 39-35 | 33 |
| 9. აინტრახტი | 23 | 8 | 9 | 6 | 27-30 | 33 |
| 10. ჰანოვერი | 23 | 9 | 5 | 9 | 33-39 | 32 |
| 11. ჰერტა | 23 | 9 | 4 | 10 | 26-29 | 31 |
| 12. ბოხუმი | 23 | 8 | 6 | 9 | 35-36 | 30 |
| 13. დორტმუნდი | 23 | 8 | 5 | 10 | 35-39 | 29 |
| 14. ჰანზა | 23 | 6 | 5 | 12 | 21-32 | 23 |
| 15. არმინია | 23 | 5 | 4 | 14 | 21-47 | 19 |
| 16. დუისბურგი | 23 | 5 | 3 | 15 | 23-37 | 18 |
| 17. ნიურნბერგი | 23 | '4 | 6 | 13 | 24-36 | 18 |
| 18. კოტბუსი | 23 | 3 | 8 | 12 | 23-40 | 17 |

#### საფრანგეთი

**ლანსი-ლილი 1:2**

**ლანსი:** რუნიე, დემონი, ა. კულიბალი, ჰილტონი, ლორენტი, მანგანი, კოვაჩევიჩი, ბუკარი, კარიერი (74. სი. კეიტა), მონტერუბიო (65. მონე-პაკე), დინდანე.

**ლილი:** სილვა, ბერია, რამი, ფრანკარი, ემერსონი, მაკუნი, კაბეიე, ბასტოსი, ლიხტშტაინერი (70. დებუში), ობრანიაკი (69. დუმონი), მირალა (89. იულა).

**გოლები:** 0:1 ბასტოსი (17), 0:2 ბერია (83), 1:2 ჰილტონი (86)
**გაფრთხილება:** 3-0
**მაყურებელი:** 37 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 28 | 18 | 4 | 6 | 54-26 | 58 |
| 2. ბორდო | 28 | 15 | 7 | 6 | 48-29 | 52 |
| 3. ნანსი | 28 | 12 | 12 | 4 | 31-18 | 48 |
| 4. მარსელი | 28 | 12 | 9 | 7 | 39-28 | 45 |
| 5. ლე მანი | 28 | 12 | 5 | 11 | 32-35 | 41 |
| 6. ნიცა | 28 | 9 | 13 | 6 | 24-20 | 40 |
| 7. ლორიანი | 28 | 9 | 11 | 8 | 23-27 | 38 |
| 8. ვალანსი | 28 | 10 | 7 | 11 | 32-27 | 37 |
| 9. მონაკო | 28 | 10 | 7 | 11 | 29-30 | 37 |
| 10. რენი | 28 | 10 | 7 | 11 | 29-33 | 37 |
| 11. ლილი | 28 | 7 | 15 | 6 | 28-24 | 36 |
| 12. სტ. ეტიენი | 28 | 10 | 6 | 12 | 30-30 | 36 |
| 13. კაენი | 28 | 9 | 9 | 10 | 29-36 | 36 |
| 14. ოსერი | 28 | 10 | 6 | 12 | 25-35 | 36 |
| 15. სტრასბური | 28 | 9 | 8 | 11 | 29-30 | 35 |
| 16. ლანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 30-33 | 33 |
| 17. პსჟ | 28 | 7 | 10 | 11 | 24-29 | 31 |
| 18. სოშო | 28 | 7 | 10 | 11 | 25-33 | 31 |
| 19. ტულუზა | 28 | 6 | 11 | 11 | 25-33 | 29 |
| 20. მეცი | 28 | 4 | 6 | 18 | 19-49 | 18 |

#### ინგლისი

##### ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| საუთჰემპტონი-პლიმუთი | 1:0 |
| ბარნსლი-იფსვიჩი | 4:1 |
| ბრისტოლი-უოტფორდი | 0:0 |
| ბარნლი-ჩარლტონი | 1:0 |
| კოლჩესტერი-ქარდიფი | 1:2 |
| ნორვიჩი-[illegible] | 0:1 |
| პრესტონი-ქელზი | 2:1 |
| შეფილდი-კოვენტრი | 2:1 |
| საუთჰემპტონი-ლესტერი | 1:0 |
| ქუინზ პარკი-ბლეკპული | 3:2 |

##### I ლიგა

| | |
|---|---|
| კარლაილი-ლუტონი | 2:1 |
| კრიუ-პორტ ვეილი | 0:2 |
| დონკასტერი-ჯილინგემი | 2:1 |
| ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 2:1 |
| ლიდსი-ჩელტენემი | 1:2 |
| ლეიტონი-სუინდონი | 2:1 |
| ოლდემი-ბორნმუთი | 2:0 |
| საუთენდი-ნოტინგემი | 1:1 |
| სუონსი-ტრანმერი | 1:1 |
| უოლსოლი-ბრაიტონი | 1:2 |
| იოვილი-მილუოლი | 0:1 |

##### II ლიგა

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ჰიტერბორო | 1:2 |
| ბერი-როტერემი | 3:0 |
| დაგენემი-მაკლსფილდი | 0:1 |
| გრიმსბი-ბარნეტი | 4:1 |
| მენსფილდი-ჰერეფორდი | 0:1 |
| ნოტსი-ლინკოლნი | 0:1 |
| შრუსბერი-დარლინგტონი | 0:0 |
| სტოკპორტი-როჩდეილი | 2:0 |
| უიკომბი-რექსჰემი | 2:1 |

##### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ჰისტონი | 3:1 |
| ალტრინჩემი-კროული | 2:3 |
| გრავესენდი-რაშდენი | 0:3 |
| გრეისი-ბარტონი | 0:0 |
| ჰალიფაქსი-ტორკი | 3:2 |
| უეიმაუთი-ფარსლი | 0:0 |

#### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ვენლო-ტვენტე | 0:2 |

#### შოტლანდია

| | |
|---|---|
| გრეტნა-სტ. მირენი | გადაიდო |

##### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| კლაიდი-მორტონი | 1:1 |
| დანდი-ლივინგსტონი | 2:0 |
| დანფერმლაინი-ჰამილტონი | 1:1 |
| სტ. ჯონსტონი-ქუინი | 2:1 |
| პარტიკი-სტირლინგი | გადაიდო |

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-კოუდენბითი | 4:5 |
| როსი-ეირი | 2:4 |

##### III დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფორფარი-არბროთი | 1:0 |
| ალბიონი-სტრანრაერი | გადაიდო |
| ისტ სტირლინგი-დამბარტონი | გადაიდო |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ქარსოუსი-ნიუი | გადაიდო |

#### ფინეთის ლიგის თასი

| | |
|---|---|
| კუოპიო-ჰიკ | 1:2 |

### კალათბურთი

#### ULEB-ის თასი

##### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ხიმკი-ხუვენტუდი | 73:96 |
| ლუკოილი-დინამო (მ) | 75:89 |
| ცრ. ზვეზდა-ბეშიქთაში | 80:80 |
| კიევი-ტუროვი | 59:71 |
| ზადარი-ვალენსია | 74:69 |
| ერტლანდი-უნიქსი | 80:78 |
| ჰემოფარმი-ხირონა | 71:80 |
| გალათასარაი-გრან კანარია | 99:74 |

### ჰოკეი

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 3:2 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| დავოსი-ცუგი | 1:1 |
| ფრიბურგი-ბერნი | 3:3 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 0:1 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 3:1 |
| ჰიკ-ვვ71 | 2:1 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 2:2 |



ლივერპულს ისევ ტორესმა მოაგებინა

კალათბურთი

## ბატლერი ამ კვირას დაბრუნდება

"ვაშინგტონ უიზარდსის" ფორვარდმა კერონ ბატლერმა სრულფასოვანი ვარჯიშები განაახლა. დედაქალაქური გუნდის ერთ-ერთი ლიდერი 18 თებერვლის შემდეგ არ გასულა მოედანზე და სავარაუდოდ, ის უკვე ამ კვირას შეძლებს თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევას.

*"თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. სირბილის დროს ფეხის ტკივილი აღარ მაწუხებს. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა"*, - აცხადებს ბატლერი.

## კარი აღარ ითამაშებს?

შესაძლოა, დუეინ უეიდის ბედი გაიზიაროს "ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ედი კარიმ**. ამ კალათბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებს და თუ გაირკვევა, რომ სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, ის წლევანდელ სეზონს ნაადრევად დაემშვიდობება.

ორი დღის წინ, კარიმ გამოკვლევა ჩაიტარა, რომელმაც მარჯვენა მუხლის დაზიანება აღმოაჩინა. წინასწარი ინფორმაციით, კალათბურთელს სამკვირიანი მკურნალობის კურსი დაუნიშნეს, რათა ოპერაცია სეზონის დასრულების შემდეგ გაკეთდეს, თუმცა ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

## ილგაუსკასს ოლიმპიადაზე არ უშვებენ

როგორც უკვე ვწერდით, "კლივლენდ კავალიერზის" ლიტველმა ცენტრმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა** პირველად მოისურვა თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაში და პეკინში გამოსვლაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა ლიტველი ცენტრი ოლიმპიადაზე შეიძლება მაინც ვერ მოხვდეს. "კლივლენდის" ხელმძღვანელობა აპირებს, აუკრძალოს ილგაუსკასს ნაკრებში თამაში, რადგან კალათბურთელს ტრავმებისკენ აქვს მიდრეკილება.

ამ სავარაუდო გადაწყვეტილებაში დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ ილგაუსკასის კონტრაქტი არ ითვალისწინებს კომპენსაციას ეროვნული ნაკრების მატჩებში მიღებული ტრავმის გამო. ლიტვურმა მხარემ "კავალიერზს" სპეციალური კომპენსაცია შესთავაზა, მაგრამ კლუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ თავიანთ რიგებში ჯანმრთელი კალათბურთელის ხილვა სურს.

## აივერსონი თითმოტეხილი თამაშობს

სერიოზული ტრავმის მიუხედავად, თამაშს აგრძელებს "დენვერ ნაგეტსის" ვეტერანი მცველი **ალენ აივერსონი**. ჩატარებული რენტგენის შედეგების მიხედვით, NBA-ის ვარსკვლავს ხელზე თითი აქვს მოტეხილი.

იმის გამო, რომ "დენვერი" პლეი-ოფში მოსახვედრად იბრძვის, აივერსონი შესვენებას არ აპირებს და უახლოეს მატჩებში თავის გუნდს დაეხმარება. გუშინ, ალენმა "სან ანტონიოს" წინააღმდეგ ითამაშა და 28 ქულით ორივე გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო.

ოლიმპიზმი

## როგე ვარსკვლავ ფეხბურთელებს იწვევს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადებზე საფეხბურთო ტურნირის პრესტიჟის გაზრდაზე იზრუნებს. სოკ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, ზაფხულის თამაშებზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას.

*"ჩემი ოცნებაა, ოლიმპიადაზე პლანეტის ყველა საუკეთესო ფეხბურთელი იყოს წარმოდგენილი, რადგან სხვა სახეობებში საუკეთესო სპორტსმენები გამოდიან და მხოლოდ ფეხბურთში თამაშობენ 23 წლამდე ახალგაზრდები"*, - აცხადებს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე**.

## პოლიციამ ტერორისტები გაანადგურა

ჩინეთის პოლიციამ ტერორისტთა ჯგუფი გაანადგურა, რომელიც, პეკინის ოლიმპიადის ჩაშლის მიზნით, ტერაქტებს გეგმავდა. პროვინცია სიანძიანის ქალაქ ურუმჩიში პოლიციური რეიდი განხორციელდა, რომლის დროსაც ამოღებულ იქნა მასალები, რომელიც ამტკიცებს, რომ ტერორისტები პეკინის ოლიმპიადის ჩაშლას აპირებდნენ.

*"ჯგუფის მიზანი ნათელი იყო და ამიტომაც, ტერორისტების ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მივიღეთ"*, - განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა.

## პეკინი ათენზე იაფი დაჯდა

2008 წლის ოლიმპიადის ორგანიზებაზე დახარჯული სრული თანხის ოდენობა მაისში გახდება ცნობილი, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება იმის თქმა, რომ პეკინის თამაშებზე გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯა, ვიდრე ოთხი წლის წინათ, ათენში. ამაში დარწმუნებულია პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **ლიუ ცზინმინი**.

თავდაპირველი გათვლებით, საორგანიზაციო კომიტეტი 1.6 მილიარდი დოლარის დახარჯვას აპირებდა, მაგრამ მზადების პროცესში ბიუჯეტი 2 მილიარდამდე გაიზარდა.

ჰოკეი

## იგინლა კალგარის გოლეადორია

"კალგარი ფლეიმზს" ახალი სნაიპერი ჰყავს. კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი 30 წლის **ჯერომ იგინლას** დაუგროვდა. "სენტ ლუის ბლუზთან" მატჩის პირველ პერიოდში გატანილი შაიბის შემდეგ, ვეტერან ფორვარდის ანგარიშზე 365 გოლი მოდის, რაც "კალგარის" ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია.

ამ რეკორდის დასამყარებლად იგინლას 847 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

ფორმულა 1

## სუპერ აგური გაიყიდა

იაპონური გუნდის, "სუპერ აგურის" პრესცენტრმა ოფიციალურად გამოაცხადა საჯინიბოს გაყიდვის შესახებ. გუნდის ახალი მფლობელი გახდა კომპანია Magma Group, რომელმაც წარმატებით განახორციელა "ჰონდასთან" მოლაპარაკებები. ეს უკანასკნელი "სუპერ აგურის" ტექნიკურ აღჭურვასა და გუნდისთვის ძრავების მიწოდებაზე იზრუნებს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ საჯინიბოს პილოტები არ შეიცვლებიან.

## ფერარი 2009 წელზეც ზრუნავს

"ფერარის" სპორტულმა დირექტორმა **სტეფანო დომენიკალიმ** ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი გუნდი უკვე 2009 წლის სეზონის ბოლიდზე მუშაობს.

*"ახალმა რეგლამენტმა შესაძლოა შესამჩნევად შეცვალოს ძალთა თანაფარდობა ჩემპიონატში. ამის გამო, ჩვენ უკვე ერთი თვეა 2009 წლისთვის გასნაზღვრული ბოლიდის ტესტებს ვატარებთ. ჩვენი გუნდის ნაწილი პარალელურად F2008-ის დახვეწაზეც მუშაობს. ხალხი საკმარისად გვყავს და ასეთი დაძაბული რეჟიმის მიუხედავად, ახალი თანამშრომლების დამატებას არ ვაპირებთ"*, - ამბობს დომენიკალი.

ჩოგბურთი



მარცხნიდან: სამპრასი, ბილი ჯინ კინგი და ფედერერი

ვარსკვლავი

# ფედერერი დანებებას არ აპირებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს, ამ სეზონში მის კარიერაში დაღმასვლის პროცესი დაიწყო. უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ ზედიზედ ნაწნევი ორი მარცხი მას მოტივაციის ახალ წყაროდ გამოადგება.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელი მაესტრო ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში გამოეთიშა, მერე კი, დუბაის ტურნირზე პირველივე წრეში ბრიტანელ **ენდი მარეისთან** წააგო. ამ სეზონში მან სულ ორ ტურნირზე ითამაშა და ავსტრალიაში ნაწნევი მარცხის შემდეგ, ზედიზედ მეორე თამაში დუბაიში წააგო. ბევრმა ეს დიდი სლემის 12 ტიტულის მფლობელის კარიერის დასასრულის დასაწყისად ჩათვალა. მაგრამ...

*"შვეიცარიაში ახლა ლამის ყველა ჩემზე ლაპარაკობს. ბევრი თვლის, რომ ჩემს კარიერას წერტილი დაესვა. მაგრამ მათ არ იციან ამ ორი მარცხის მთავარი მიზეზის შესახებ"*, - განაცხადა ფედერერმა, ვინც გუშინ, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე სახელდახელოდ მოწყობილ კორტზე, 19 000 მაყურებლის თვალწინ, საჩვენებელი შეხვედრა გამართა ამერიკელ **პიტ სამპრასთან** და ის სამ სეტში, 6:3, 6:7(4:7), 7:6(8:6) დაამარცხა.

ორი სახელოვანი ჩოგბურთელის მორიგმა საჩვენებელმა დაპირისპირებამ ჩოგბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მათი თამაშის სანახავად, ტრიბუნაზე არაერთმა ცნობილმა ადამიანმა მოიყარა თავი, რომელთა შორისაც კინოვარსკვლავების გარდა, გოლფის ამერიკელი "მეფე", ფედერერის მეგობარი **ტაიგერ ვუდსიც** იმყოფებოდა.

ფედერერმა განაცხადა, რომ ავსტრალიის ღიას შემდეგ, ვირუსული მონონუკლეიოზით დაავადდა, რამაც სავარჯიშო რიტმიდან ამოაგდო. ამის შედეგი კი დუბაის ტურნირის პირველივე წრეში ნაგემი მარცხი გახდა. შვეიცარიელი ამ კვირაში მასტერსის სერიის პირველ ტურნირზე, ინდიან ველსზე ასპარეზობას შეუდგება და იმედოვნებს, რომ მისი წაგებათა სერია კალიფორნიაში შეწყდება.

*"საერთოდ, მარცხი სხვა ყველაფერზე მეტად მიძლიერებს მოგების ჟინს. ახლა ჩემი მიზანია, ყველას დავუმტკიცო, რომ ჩემი ჩამოწერა ნაადრევია. რა დასამალია, რომ ახლა ჩემთვის უჩვეულოდ ძლიერი ზეწოლის ქვეშ მომიწევს თამაში. მაგრამ მე ეს მომწონს. მიხარია, როცა ცენტრალურ კორტზე სათამაშოდ გავდივარ და იქ უამრავი ქომაგი მხვდება, მამხნევებს. არავინ იფიქროს, რომ ამდენმა გამარჯვებამ მოტივაცია გამინელა. პირიქით, გამარჯვება ახლაც ისევე მწყურია, როგორც მაშინ, პროფესიულ კორტზე პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი"*, - ამბობს ფედერერი, ვინც უკვე 215 კვირაა, რეიტინგში პირველობას არავის უთმობს.

შვეიცარიელი ამბობს, რომ მისთვის ამ სეზონში მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებაა. უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზეც აპირებს გამოსვლას და რა თქმა უნდა, იქაც მისი მიზანი გამარჯვება იქნება.

და მაინც, რვა წელია ფედერერს სეზონი ასე უხეიროდ არ დაუწყია...

ველოსპორტი

## პარიზი-ნიცა

პარიზი-ნიცას 66-ე რბოლა
პროლოგი. ამიის გარშემო (4.6 კმ)

1. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 5.28 (50.487 კმ/სთ); 2. მარკელ ირისარი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.04; 3. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.05; 4. ბრედლი მაკგი (ავსტრალია, CSC) 0.05; 5. ვილიამ ბონე (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.06; 6. დენი პეიტი (აშშ, სლიპსტრიმი) 0.06; 7. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 0.07; 8. ანდრიი გრივკო (უკრაინა, მილრამი) 0.08; 9. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, CSC) 0.08; 10. ტრენტ ლაუ (ავსტრალია, სლიპსტრიმი) 0.09...

პირველი ეტაპი
ამიიდან ნევერამდე (93.5 კმ)

1. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკსტეპი) 2:21.29 (39.651 კმ/სთ); 2. ჟერომ პინო (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) 0.02; 3. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.02; 4. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ) 0.02; 5. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, CSC) 0.02; 6. ენრიკო ფრანძოი (იტალია, ლიკიგაზი) 0.04; 7. მირკო ლორენცეტო (იტალია, ლამპრე) 0.04; 8. ბერნჰარდ აიზელი (ავსტრია, ჰაი როუდი) 0.04; 9. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 0.04;10. ალექსანდრ კუშინსკი (ბელარუსი, ლიკიგაზი) 0.07...

მეორე ეტაპი
ნევერიდან ბელევილემდე (201 კმ)

1. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკსტეპი) 5:29.47 (36.57 კმ/სთ); 2. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 3. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) იგივე დროში; 4. მიქაელ ალბაზინი (შვეიცარია, ლიკიგაზი) იგივე დროში; 5. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ) 0.03; 6. მატეო ტოსატო (იტალია, ქვიკსტეპი) 0.03; 7. მირკო ლორენცეტო (იტალია, ლამპრე) 0.03; 8. ენრიკო ფრანცოი (იტალია, ლიკიგაზი) 0.03; 9. მანუელე მორი (იტალია, სონიე დიუვალი) 0.03; 10. ვისენტე რეინესი (ესპანეთი, ჰაი როუდი) 0.03...

კლასიფიკაცია ორი ეტაპის შემდეგ

1. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 7.56.34; 2. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკსტეპი) 0.03; 3. ჟერომ პინო (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) 0.23; 4. კარსტენ კროონი (ჰოლანდია, CSC) 0.23; 5. ტრენტ ლაუ (ავსტრალია, სლიპსტრიმი) 0.29; 6. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 0.30; 7. დავიდ მილარი (ბრიტანეთი, სლიპსტრიმი) 0.30; 8. მატეო ტოსატო (იტალია, ქვიკსტეპი) 0.32; 9. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.33; 10. ნიკი ტერპსტრა (ჰოლანდია, მილრამი) 0.36...


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა